

საბანკო მომსახურების პირობები

1. ზოგადი ნაწილი

- 1.1. მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს საბანკო მომსახურების პირობებს (შემდგომში – პირობები).
- 1.2. **ბანკს** და **კლიენტს** შორის ურთიერთობები რეგულირდება **ხელშეკრულებით** (შემდგომში - **ხელშეკრულება საბანკო მომსახურების შესახებ** ან **ხელშეკრულება**), რომელიც შედგება:
 - 1.2.1. **კლიენტის** მიერ შევსებული განაცხადისგან (შემდგომში – **განაცხადი**);
 - 1.2.2. წინამდებარე **პირობებისაგან**, რომელიც განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge;
 - 1.2.3. ასევე, ნებისმიერი დამატებითი დანართისგან და/ან **განაცხად(ებ)ისაგან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ და/ან **ბანკის** მიერ მომავალში შეთავაზებულ მომსახურებასა თუ პროდუქტს და რომელიც საჭირო იქნება **კლიენტის** მიერ დამატებითი და/ან **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისათვის. ასეთ შემთხვევაში ყოველი დამატებითი პროდუქტის გაწერა/მომსახურების ჩართვა მოხდება შესაბამისი **განაცხად(ებ)ის** შევსების საფუძველზე თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. **ბანკი კლიენტს** ახალი სახის მომსახურებას გაუწევს იმ დროისათვის **ბანკში** არსებული შესაბამისი წესებით და პირობებით. **კლიენტის** მიერ ახალი პროდუქტით სარგებლობის შემთხვევაში იგულისხმება, რომ იგი ეთანხმება იმ დროისათვის **ბანკში** არსებულ შესაბამისი მომსახურების პირობებს.
- 1.3. ამ დოკუმენტში განსაზღვრულია შემდეგი საბანკო პროდუქტებითა და მომსახურებით სარგებლობის პირობები:
 - 1.3.1. სტანდარტული მიმდინარე ანგარიში;
 - 1.3.2. უნივერსალური მიმდინარე ანგარიში;
 - 1.3.3. საბანკო პლასტიკური ბარათი;
 - 1.3.4. ონლაინ გადახდებით მომსახურება;
 - 1.3.5. ინტერნეტ-ბანკით მომსახურება;
 - 1.3.6. მობილ-ბანკით მომსახურება;
 - 1.3.7. Tskapp აპლიკაციით მომსახურება;
 - 1.3.8. SMS-ბანკით მომსახურება;
 - 1.3.9. ტელეფონ-ბანკით მომსახურება;
 - 1.3.10. იმეილ-ბანკით მომსახურება;
 - 1.3.11. მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურება;
 - 1.3.12. ავტომატური გადახდებით მომსახურება;
 - 1.3.13. ვალუტის გაცვლა;
 - 1.3.14. კრედიტი;
 - 1.3.15. კურიერ-სერვისით მომსახურება;
 - 1.3.16. ფულადი გზავნილების სისტემა „ელვა“-ს მომსახურება.
- 1.4. თუ **კლიენტს** არ გააჩნია **1.3. პუნქტში** ჩამოთვლილი რომელიმე პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის უფლება, მას არ ეხება **პირობებში** ამ პროდუქტის განმსაზღვრელი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები **კლიენტისათვის** ამოქმედდება პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის უფლების მინიჭებასთან ერთად.
- 1.5. **კლიენტის** მიერ აღნიშნულ პირობებში აღწერილი რომელიმე პროდუქტით/მომსახურებით (ან მისი ნაწილის) სარგებლობას **ბანკი** განიხილავს, როგორც მტკიცებულებას იმისა, რომ **კლიენტი** ეთანხმება წინამდებარე **პირობებს**.
- 1.6. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** უკვე სარგებლობს **1.3. პუნქტში** აღნიშნული რომელიმე მომსახურება, მაშინ ეს მომსახურება მას მიეწოდება საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 1.7. **ბანკის** მიერ შეთავაზებული ყველა სახის მომსახურების მიღებისა და სარგებლობისათვის **კლიენტი** ვალდებულია:
 - 1.7.1. ყურადღებით გაეცნოს **პირობებს**;
 - 1.7.2. შეავსოს ან/და ხელი მოაწეროს **განაცხადს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - 1.7.3. **ბანკს** გადასცეს **განაცხადი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და წარმოადგინოს პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, როგორც ეს მითითებულია **განაცხადში**; და გაეცნოს, შეავსოს ან/და ხელი მოაწეროს და **ბანკს** დაუბრუნოს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, **განაცხადი** ან ფორმა, რომელიც საჭიროა კონკრეტული სახის საბანკო პროდუქტის/მომსახურების გამოსაყენებლად.
- 1.8. **ბანკი** იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე **პირობებში** გათვალისწინებული წესები ან/და **პირობების** სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები და პირობები იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, **საბანკო** პრაქტიკასთან და შესაბამის კანონმდებლობასთან.
- 1.9. **ბანკი** იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე, თუ **კლიენტმა** საერთოდ ან დროულად არ შეავსო, ხელი არ მოაწერა ან **ბანკს** არ დაუბრუნა რომელიმე ზემოაღნიშნული დოკუმენტი **ბანკისათვის** მისაღები ფორმით და შინაარსით. ამასთან, **კლიენტის განაცხადის** და სხვა თანდართული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ **ბანკს** შეუძლია ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს განაცხადი და უარი თქვას **კლიენტის** მიერ მოთხოვნილი **საბანკო** პროდუქტების/მომსახურების მიწოდებაზე მიზეზის გაცხადების გარეშე. **ბანკი** უფლებას იტოვებს, შეამოწმოს **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია. **კლიენტი** ეთანხმება **ბანკის** მიერ ამგვარი შემოწმებების განხორციელების შესაძლებლობას.
- 1.10. **კლიენტი** თანხმობას აცხადებს, რომ **ბანკმა** კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისთვის მომსახურების ერთჯერადად ან მრავალჯერადად გაწევის და აღნიშნული მომსახურების ფარგლებში, მის მიერ ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ერთჯერადად და მრავალჯერადად უზრუნველყოფის (მათ შორის შესაბამისი ინფორმაციის ერთჯერადად და მრავალჯერადად მიღების) მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს და გამოიყენოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან **ბანკისათვის** აუცილებელი **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.
- 1.11. **ბანკის** მიერ საგადახდო მომსახურების განხორციელების წესები მოცემულია წინამდებარე **პირობებში** და **ბანკის** ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge, ამასთან **ბანკის** ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ პირობებს და წინამდებარე **პირობებს** შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე **პირობებს**.
- 1.12. კონკრეტული საგადახდო მომსახურების ფარგლებში **კლიენტისათვის** ინფორმაციის მიწოდება შეიძლება განახორციელოს **ბანკის** თანამშრომელმა ზეპირად, ხოლო დისტანციური საბანკო მომსახურების მიღებისას **კლიენტს** შეუძლია იხელმძღვანელოს **ბანკის** ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge განთავსებული წესებით და წინამდებარე **პირობებით**.

- 1.13. კონკრეტული გადახდის ოპერაციის დეტალების შესახებ **კლიენტს** ინფორმაციის მიღება შეუძლია **ბანკის** სერვის ცენტრის, ან/და სატელეფონო ცენტრის საშუალებით, ასევე გადახდის ოპერაციის ტიპიდან გამომდინარე **კლიენტზე** შეიძლება გაიცეს ამონაწერი, ცნობა, ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით და პირობებით.
- 1.14. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** დამატებითი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე, **დავალების** (მიუხედავად იმისა შესრულდება თუ არა **დავალება**) რეკვიზიტები ან/და **ბანკში** არსებული მისი ნებისმიერი მონაცემი/ინფორმაცია გადასცეს პირს, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია (**ბანკის** მიერ **კლიენტის** დავალებით განხორციელებული ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურება), აგრეთვე ნებისმიერ მესამე პირს, რომელიც დაკავშირებულია **დავალების** შესრულებასთან.

2. განმარტებები და ინტერპრეტაცია

- 2.1. პირობებში გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

ანგარიშ(ებ)ი	ბანკში კლიენტის არსებული სტანდარტული და/ან უნივერსალური მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი, რომელ(ებ)იდანაც ხდება საბანკო ოპერაციების წარმოება. ამასთან, კლიენტის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული საბანკო პროდუქტ(ებ)ის, მომსახურების ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით ბანკში დადგენილი პირობების შესაბამისად გახსნილი ფიზიკური პირების მომსახურე მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი, რომელზეც ოპერაციების წარმოება დაშვებულია ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მათ შორის თანხის ჩარიცხვა/შემოტანა ან/და აღნიშნულ ანგარიშზე არსებული თანხის გადარიცხვა ბანკში არსებულ კლიენტის სხვა ანგარიშ(ებ)ზე.
ამონაწერი ბანკი	ანგარიშზე ჩატარებული ოპერაციების ჩამონათვალი. სს საქართველოს ბანკი, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869, სათავო ოფისი მდებარე მისამართზე გაგარინის 29ა, თბილისი, 0105, საქართველო. ვებ გვერდის მისამართი: www.bankofgeorgia.ge, ელექტრონული ფოსტის მისამართი: welcome@bog.ge, რეგისტრაციის ნომერი: 06/5-07, საბანკო ლიცენზიის #86.
ბარათი	ბანკის მიერ ემიტირებული საერთაშორისო პლასტიკური ბარათი („საგადამხდელო სისტემა Visa, Mastercard და ა.შ.“) რომელიც დაკავშირებულია კლიენტის უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშთან და რომელსაც კლიენტი იყენებს ბანკში იმ დროისათვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების შესაბამისად.
ბანკომატიდან თანხის განაღდებას ლიმიტი ბანკიდან განაღდებას ლიმიტი	ბანკომატიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში გასანაღდებელი თანხის მოცულობა. ზოგადად, აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 24 საათს. ბარათზე დაშვებული ფულის განაღდებას მაქსიმალური დღიური ლიმიტი სს „საქართველოს ბანკის“ გარდა სხვა საბანკო დაწესებულებებში.
დავალება	ნებისმიერი დავალება, რომელსაც კლიენტი აძლევს ბანკს უშუალოდ და/ან დისტანციური საბანკო მომსახურების გამოყენებით, წვდომის კოდ(ებ)ის საშუალებით ბანკში გამოგზავნის გზით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
დამატებითი ბარათი	ბარათი , რომელსაც ბანკი გასცემს კლიენტზე და/ან კლიენტის მიერ დასახელებულ სხვა პირზე (შემდგომში - დამატებითი ბარათის მფლობელი). დამატებითი ბარათი არ გაიცემა და დამატებითი ბარათის ხელშეკრულებით განსაზღვრული დებულებები არ გავრცელდება ბანკის მიერ შეთავაზებულ ბარათებზე , რომლებიც ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს ან აქ განსაზღვრული ბარათის კონკრეტული პირობებისგან განსხვავებულ პირობებს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული შესაბამის დანართში (კონკრეტულ პირობებში).
დისტანციური საბანკო მომსახურება	საბანკო პროდუქტების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც კლიენტს ეძლევა განსაზღვრული ოპერაციების წარმოების/ინფორმაციის მიღების საშუალება ბანკში მოუსვლელად. განაცხადის შევსების დღისათვის დისტანციურ საბანკო მომსახურებებში შედის შემდეგი საბანკო პროდუქტები: ბარათით სარგებლობა, ონლაინ გადახდები, ინტერნეტ-ბანკი, მობილ-ბანკი, SMS-ბანკი, ტელეფონ-ბანკი, იმეილ-ბანკი, კურიერ-სერვისით მომსახურება , კრედიტით სარგებლობა, Tskapp აპლიკაცია. მომავალში დისტანციური მომსახურების სახით ბანკმა კლიენტს შეიძლება შესთავაზოს დამატებითი ტიპის მომსახურებები.
კლიენტი	ფიზიკური პირი, რომლის სახელი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია განაცხადში .
მომსახურება მხარე/მხარეები	ბანკის მიერ ამ პირობების შესაბამისად შეთავაზებული საბანკო მომსახურება. ბანკი ან/და კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი – კონტექსტის შესაბამისად.
ოვერდრაფტი ოპერაცია	კლიენტის მიერ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების გადახარჯვა. კლიენტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა ან განაღდება საბანკო ბარათის , ბარათის ნომრის, PIN-ის ან სხვა წვდომის კოდის გამოყენებით.
საბანკო დღე	თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, დღე (შაბათის ან კვირის გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.
წვდომის კოდები	კოდები, პაროლები, კლიენტის სახელი, საიდენტიფიკაციო კოდი, უნივერსალური იდენტიფიკატორები და/ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ბანკმა შესაძლოა მიაწოდოს კლიენტს სხვადასხვა მომსახურებებთან უსაფრთხო წვდომისათვის.
უნივერსალური იდენტიფიკატორები	ბანკის მიერ კლიენტისათვის მიწოდებული მონაცემების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც კლიენტი , რეგისტრირდება ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში და რომელთა საშუალებით შესაძლებლობა ეძლევა ისარგებლოს ბანკის რიგი დისტანციური არხებით/სერვისებით;

შესყიდვის ლიმიტი	კლიენტის მიერ საცალო მაღაზიებში ან მომსახურების სხვა ობიექტებში საქონლის ან მომსახურების შეძენაზე დაწესებული მაქსიმალური დღიური ლიმიტი.
ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სიტემა	სისტემა, რომელშიც რეგისტრირდება კლიენტის ავტორიზაციის მეთოდი და კლიენტის უნივერსალური იდენტიფიკატორები, რომელთა გამოყენებითაც კლიენტი ისარგებლებს ბანკის რიგი დისტანციური არხებით/სერვისებით.
ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურება	დისტანციურ საბანკო მომსახურებაში შემავალი სერვისების/დისტანციური არხების ის ნაწილი, რომელზე წვდომაც ხორციელდება ცენტრალიზებულად, ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში კლიენტის მიერ რეგისტრირებული უნივერსალური იდენტიფიკატორების გამოყენებით. დისტანციურ ცენტრალიზებულ საბანკო მომსახურებაში შედის ინტერნეტ-ბანკი, მობილ-ბანკი, ტელეფონ ბანკი, კრედიტით სარგებლობა, Tskapp აპლიკაცია. მომავალში დისტანციური ცენტრალიზებულ საბანკო მომსახურების სახით ბანკმა კლიენტს შეიძლება შესთავაზოს დამატებითი ტიპის მომსახურებები.
ხარჯვის ლიმიტი ჯგუფის კომპანია, ჯგუფის კომპანიები	ზარათიდან თანხის ხარჯვის (განადღებინად) საერთო მოცულობა. სს „სადაზღვევო კომპანია – BCI“, სს „ბი ჯი კაპიტალი“, და/ან სს „ჯორჯიან ქარდი“ (კონტექსტის შესაბამისად).
2.2.	ინტერპრეტაცია
2.2.1.	პირობებში სიტყვა „პირობი“ მოიცავს ფიზიკურ პირებს, კორპორაციებს, ამხანაგობებს და სხვა იურიდიულ პირებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს და მემკვიდრეებს;
2.2.2.	პირობებში სათაურები ჩასმულია და თავები დანომრილია მხოლოდ მოხერხებულობის მიზნით და არ მოახდენს გავლენას წინამდებარე პირობების და/ან მთლიანი ხელშეკრულების ინტერპრეტაციაზე.
3.	მომსახურება
3.1.	ფიზიკური პირების მომსახურე მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი, სტანდარტული მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი და უნივერსალური მიმდინარე ანგარიშ(ებ)ი
შენიშვნა:	ხელშეკრულებაში მოცემული დებულებები ეხება ფიზიკური პირების მომსახურე მიმდინარე ანგარიშებს, და/ან სტანდარტულ მიმდინარე ანგარიშებს და/ან უნივერსალურ მიმდინარე ანგარიშებს კონტექსტის შესაბამისად.
3.1.1.	კლიენტს ბანკში შეუძლია ჰქონდეს რამდენიმე ანგარიში ;
3.1.2.	კლიენტს ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების საწარმოებლად გადაეცემა 22-სიმბოლოიანი, საერთაშორისო სტანდარტით რეგისტრირებული (IBAN-International Bank Account Number) ანგარიშის ნომერი;
3.1.3.	ანგარიშ(ებ)ი მრავალვალუტიანია, კერძოდ: ერთი და იმავე 22-სიმბოლოიანი ანგარიშის ნომრით ფიზიკური პირების მომსახურე მიმდინარე ანგარიშისა და სტანდარტული მიმდინარე ანგარიშის წარმოება შესაძლებელია ნებისმიერ ვალუტაში, ხოლო უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის წარმოება – ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში, აშშ დოლარებში, ევროებში და გირვანქა სტერლინგებში. ბანკი იტოვებს უფლებას, მაგრამ არ არის ვალდებული, მომავალში კლიენტს შესთავაზოს უნივერსალური მიმდინარე ანგარიშზე ოპერაციების წარმოება სხვა ვალუტებშიც;
3.1.4.	მიუხედავად იმისა, რომ (22-სიმბოლოიანი ნომრის მქონე) ანგარიში მრავალვალუტიანია, კლიენტი ყოველთვის უნდა გადაიხდის მხოლოდ ერთი ანგარიშის მომსახურების სააბონენტო საკომისიოს, ანგარიშის ტიპის შესაბამისად.
3.1.5.	ბანკი ვალდებულია:
3.1.5.1.	დროულად ჩარიცხოს ანგარიშზე შესული თანხები;
3.1.5.2.	კლიენტის მიერ ბანკისთვის წარდგენილი შესაბამისი საგადახდო დავალების საფუძველზე ანგარიშიდან შესაბამისი ოდენობის თანხა დანიშნულებისამებრ გადარიცხოს, აღნიშნული საგადახდო დავალების ბანკისთვის წარდგენიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან კლიენტის მიერ 18:00 სთ-ის შემდეგ წარმოდგენილი გამავალი სავალუტო გადარიცხვები, ასევე 15:45 სთ-ის შემდეგ 10 000 (ათი ათასი) ლარამდე და 16:55 სთ-ის 10 000 (ათი ათასი) ლარს ზემოთ წარმოდგენილი გადარიცხვები ეროვნულ ვალუტაში, მიღებულად ჩაითვლება მომდევნო საბანკო დღეს ;
3.1.5.3.	ჩამოწეროს კლიენტის დავალებით , ხოლო კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავალების გარეშე, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან მათ კრედიტორების ანგარიშ(ებ)ზე ჩასარიცხად.
3.1.5.4.	მიიღოს კლიენტისაგან და მისცეს მას ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული;
3.1.5.5.	კლიენტს მოთხოვნისთანავე გადასცეს ანგარიშის ამონაწერი ბანკში მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად. ამონაწერის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, კლიენტის მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, მასში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად.
3.1.6.	ბანკს უფლება აქვს:
3.1.6.1.	დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით.
3.1.6.2.	თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს ოპერაცია ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;
3.1.6.3.	კლიენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დახუროს ანგარიში ;
3.1.6.4.	უაქცეპტოდ ჩამოწეროს ანგარიშ(ებ)ზე შეცდომით ჩარიცხული თანხა და გადაახდევინოს კლიენტს ჯარიმა აღნიშნული თანხის/მისი ნაწილის გამოყენებისათვის გამოყენებული თანხის 0,5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის თითოეული დღისათვის;
3.1.6.5.	ანგარიშ(ებ)იდან ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწეროს კლიენტს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშ(ებ)ის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი სააბონენტო საკომისიო მოსაკრებლები, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები;
3.1.6.6.	კლიენტის წინასწარი შეტყობინების გარეშე დახუროს კლიენტის ის ანგარიშ(ებ)ი , რომელიც აკმაყოფილებენ ქვემოთგანსაზღვრულ ყველა პირობას:
3.1.6.6.1.	მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ანგარიშ(ებ)ზე არ ფიქსირდება ბრუნვა;

- 3.1.6.6.2. ანგარიშ(ებ)ზე არ არის ფულადი ნაშთი და არ არის დაშვებული/წარმოშობილი არაავტორიზებული ოვერდრაფტი;
- 3.1.6.6.3. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული ანგარიშ(ებ)ის მომსახურების საკომისიო;
- 3.1.6.6.4. ანგარიშ(ებ)თან არ არის დაკავშირებული არც ერთი სახის საბანკო კრედიტი (ამ პუნქტით განსაზღვრული დებულება არ გავრცელდება ოვერდრაფტზე);
- 3.1.6.6.5. ანგარიშ(ებ)თან დაკავშირებული ყველა ბარათის, მათ შორის დამატებითი ბარათის მოქმედების ვადა მინიმუმ 1 (ერთი) თვის გასულია. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ ანგარიშ(ებ)თან დაკავშირებული ბარათი საკრედიტო ტიპისაა (ის ბარათ(ებ)ი, რომლებზეც დაშვებულია ხარჯვის საკრედიტო ლიმიტი) მისი მოქმედების ვადა მინიმუმ 6 (ექვსი) თვის გასული უნდა იყოს.
- 3.1.6.7. მესამე პირის მიერ ანგარიშ(ებ)ზე თანხის შეცდომით ჩარიცხვის/შეტანის შემთხვევაში: ა) კლიენტსა და შესაბამის მესამე პირს შორის დავის მოგვარებამდე დაბლოკის აღნიშნული თანხა; ან/და ბ) ჩამოჭრას შეცდომით ჩარიცხული თანხა ანგარიშ(ებ)იდან და დაუბრუნოს შესაბამის მესამე პირს.

შენიშვნა: ხელშეკრულების ამ პუნქტით განსაზღვრული ანგარიშ(ებ)ის დახურვის პირობები ვრცელდება ყველა სახის ანგარიშ(ებ)ზე მიუხედავად იმისა, თუ როგორ არეგულირებს აღნიშნულ საკითხს ბანკსა და კლიენტს შორის არსებული/მომავალში გასაფორმებელი ხელშეკრულება/დოკუმენტი, თუ აღნიშნულ ხელშეკრულებაში/დოკუმენტში არ არის კონკრეტული მითითება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებით/დოკუმენტით დადგენილ ანგარიშ(ებ)ის დახურვის პირობებს უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ამ პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან.

- 3.1.7. კლიენტი ვალდებულია:
 - 3.1.7.1. შეცდომით ჩარიცხული თანხების გამოყენების შემთხვევაში დაუბრუნოს ბანკს აღნიშნული თანხა და გადაუხადოს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0,5%-ის ოდენობით მისი სარგებლობის ყოველ დღეზე;
 - 3.1.7.2. პასუხი აგოს განაცხადის შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება წერილობით შეატყობინოს ბანკს 5(ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში;
 - 3.1.7.3. ბანკისთვის წარდგენილ ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს ან/და ინფორმაციაში განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილების ან/და გაუქმების შესახებ წერილობითი ფორმით შეატყობინოს ბანკს, აღნიშნული გარემოებების დადგომიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში. აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების ვალდებულება ერთმნიშვნელოვნად ვრცელდება ბანკისთვის წარდგენილ ყველა იმ დოკუმენტზეც, რომლითაც კლიენტს გაცემული აქვს მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება. კლიენტის მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს ნებისმიერი სახით დამდგარ ზიანზე;
 - 3.1.7.4. ბანკში იმ დროისათვის მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;
 - 3.1.7.5. გადაუხადოს ბანკს ანგარიშზე არსებული ოვერდრაფტის (არაავტორიზებული ოვერდრაფტის) სრული თანხა;
 - 3.1.7.6. გადაუხადოს ბანკს ანგარიშზე არსებული ოვერდრაფტით (არაავტორიზებული ოვერდრაფტით) სარგებლობის საკომისიო ბანკში იმ დროისათვის მოქმედი ტარიფების შესაბამისად.
- 3.1.8. კლიენტს უფლება აქვს:
 - 3.1.8.1. რეგულარულად განახორციელოს ოპერაციები მის ანგარიშზე ბანკში არსებული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. მათ შორის მისცეს ბანკს დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, განახორციელოს ფულის გადარიცხვები, ვალუტის გაცვლა, ფულის განაღდება და სხვა;
 - 3.1.8.2. ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობისას ფულადი გადარიცხვების პირობებით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაახდევინოს ბანკს ჯარიმა ვადაგადაცილებული თანხის არანაკლებ 0,5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული საბანკო დღისათვის;
 - 3.1.8.3. ყოველი მომდევნო თვის არა უგვიანეს მეხუთე კალენდარული დღისა ბანკში მიიღოს მიმდინარე თვის ამონაწერი;
 - 3.1.8.4. წაუყენოს ბანკს პრეტენზიები ამონაწერის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში;
 - 3.1.8.5. წერილობით შეატყობინოს ბანკს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
 - 3.1.8.6. განსაზღვროს ან/და შეცვალოს მრავალვალუტური ანგარიშის და ამ ანგარიშზე არსებულ ყველა ბარათის ძირითადი ვალუტა.
- 3.1.9. ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული ოპერაციები:
 - 3.1.9.1. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მიიღოს და იმოქმედოს მისი დავალებების შესაბამისად, რომელსაც კლიენტი ბანკს მიაწოდებს წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული საშუალებით ან ბანკისთვის მისაღები სხვა ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტის დავალებები წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, კლიენტის მიერ არ არის ხელმოწერილი, ბანკს აქვს უფლება მიიღოს და განახორციელოს იგი, თუ დაცულია ბანკში დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა;
 - 3.1.9.2. კლიენტს მუდმივად უნდა ჰქონდეს თავისუფალი სახსრები ანგარიშზე სანამ:
 - 3.1.9.2.1. სარგებლობს მუდმივი საგადასახადო დავალებისა და/ან ავტომატური გადახდებით მომსახურებით;
 - 3.1.9.2.2. კლიენტი ანაღდება ფულს ბანკომატიდან და/ან ახორციელებს ბანკმატით შეთავაზებულ აქტიურ ოპერაციებს და/ან მომსახურებას;
 - 3.1.9.2.3. კლიენტი ახორციელებს ოპერაციას ბარათით;
 - 3.1.9.2.4. კლიენტი სთხოვს ბანკს განახორციელოს ოპერაცია ელექტრონული საშუალებით ან ტელეფონის მეშვეობით;
 - 3.1.9.2.5. ვადა უწყვეტ ნებისმიერი სხვა ოპერაციის განხორციელებას, რომლის თანხებიც ჯერ არ არის ანგარიშიდან ჩამოჭრილი.
 - 3.1.9.3. ბანკმატით ან სწრაფი დეპოზიტური მომსახურებით (თუ და როდესაც ასეთი იქნება ხელმისაწვდომი) განხორციელებული გადახდების შესაბამისი თანხების ჩამოჭრა ანგარიშ(ებ)იდან ვერ დაიწყება ოპერაციის მომდევნო საბანკო დღემდე;
 - 3.1.9.4. კლიენტის ანგარიშის ძირითადი ვალუტის ცვლილების შემთხვევაში ბანკი ამ ანგარიშზე საბანკო ოპერაციას არ განახორციელებს კლიენტის მიერ აღნიშნული ცვლილების თაობაზე მოთხოვნის ბანკში წარდგენის საბანკო დღეს.
 - 3.1.9.5. კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ.
- 3.1.10. უარი ფულადი შენატანის მიღებაზე:
 - 3.1.10.1. ზოგიერთ შემთხვევაში ბანკმა შეიძლება არ მიიღოს ანგარიშზე შენატანი და შესაძლოა მოსთხოვოს კლიენტს ანგარიშის დახურვა.
- 3.1.11. ანგარიშის დახურვა:
 - 3.1.11.1. თუ ბანკი თვლის, რომ კლიენტმა ანგარიში უნდა დახუროს, კლიენტს გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კლიენტს მოეთხოვება ანგარიშის დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ კლიენტი არ დახურავს ანგარიშს, ბანკს უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები ანგარიშზე (ისეთი გადახდების

გარდა, რომლებიც აუცილებელია ანგარიშზე რიცხული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს კლიენტს ანგარიშზე რიცხული ნაშთი;

- 3.1.11.2. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს **ბანკს ანგარიშის** დახურვა. თუმცა, **ბანკს** უფლება აქვს კლიენტისგან მოითხოვოს წინასწარი წერილობითი დასტური აღნიშნული **დავალების** შესრულებამდე;
- 3.1.11.3. დაუშვებელია კლიენტის ეროვნულ ვალუტაში არსებული უკანასკნელი **ანგარიშის** დახურვა მანამ, სანამ კლიენტს **ბანკში** გახსნილი აქვს **ანგარიში** უცხოურ ვალუტაში;
- 3.1.11.4. კლიენტს **ბანკის** შეხედულებისამებრ ენობება **ანგარიშის** დახურვაზე უარი **საბანკო მომსახურების ხელშეკრულებით** განსაზღვრული კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებით.
- 3.1.11.5. **ბანკში** არსებული კლიენტის ყველა უნივერსალური **ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტს გამოუერთოს ყველა ტიპის **დისტანციურ საბანკო მომსახურებას**, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა კლიენტს **ბანკში** სტანდარტული მიმდინარე **ანგარიშ(ებ)ი**.
- 3.1.12. კლიენტის მიერ **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდით დადასტურება:
- 3.1.12.1. **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად **ბანკი** უფლებამოსილია შეთავაზოს კლიენტს, კლიენტის ხელმოწერის ნაცვლად **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდის საშუალებით დადასტურება, რაც გულისხმობს, რომ:
 - 3.1.12.1.1. **ბანკი, კლიენტის** მიერ დასახელებულ/წინასწარ განსაზღვრულ მობილური ტელეფონის ნომერზე, კლიენტს გაუზიარებს შესაბამის **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) მონაცემს (მონაცემი განისაზღვრება **ბანკის** შეხედულებისამებრ) და SMS კოდს;
 - 3.1.12.1.2. კლიენტის მიერ SMS კოდის **ბანკისათვის** მიწოდებით (SMS კოდს კლიენტი **ბანკის** შესაბამის თანამშრომელს მიაწვდის ზეპირად) კლიენტის მიერ დასტურდება, რომ იგი სრულად გაეცნო შესაბამის **ოპერაციას, დავალებას** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტს (მათ შორის გარიგებას) ეთანხმება მასში მოცემულ პირობების/ინფორმაციის სისწორეს და სურს აღნიშნული **ოპერაციის, დავალების** შესრულება ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმება/შედგენა;
 - 3.1.12.1.3. გაგზავნილი SMS კოდის კლიენტის მიერ დასახელების შემთხვევაში, **ბანკი** განახორციელებს SMS კოდის პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას და **ოპერაციის, დავალების** ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმებასთან დაკავშირებული პროცესის დასრულებას;
 - 3.1.12.1.4. **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდით დადასტურება **მხარეთა** შორის ურთიერთობებში უთანაბრდება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას;
 - 3.1.12.1.5. SMS კოდის საშუალებით დასადასტურებელი **ოპერაციის, დავალების** ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) ჩამონათვალს/სახეებს განსაზღვრავს **ბანკი** საკუთარი შეხედულებისამებრ;
 - 3.1.12.1.6. **ოპერაციის, დავალების** ან/და **მომსახურების** ფარგლებში **ბანკის** მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდით დადასტურებისას, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** კლიენტს უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტით;
- 3.1.12.2. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ შესაძლო ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ დასახელებული/წინასწარ განსაზღვრული იქნება ის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც SMS-ის გაგზავნამაც შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნული ზიანი/ზარალი.
- 3.1.12.3. SMS კოდით დადასტურებული **განაცხადის** საფუძველზე **ანგარიშ(ებ)ის** გახსნის, **ბარათის** დამზადების შემთხვევაში/შემთხვევებში კლიენტი ხელშეკრულების დადებით ეთანხმება და ადასტურებს, რომ:
 - 3.1.12.3.1. **ანგარიშ(ებ)ზე** განთავსებული ფულადი სახსრების წარმომადგობის წყარო არის პირადი დანაზოგ(ებ)ი;
 - 3.1.12.3.2. მხოლოდ თავად წარმომადგენს **ანგარიშ(ებ)ის** საბოლოო მესაკუთრეს/მფლობელს.

3.2. ზოგადი პირობები დისტანციური საბანკო მომსახურების შესახებ

- 3.2.1. ქვემოთ მოცემული ზოგადი პირობები შეეხება **დისტანციურ საბანკო მომსახურების** ყველა ტიპს მას შემდეგ, რაც ამგვარი **მომსახურება** ხელმისაწვდომი გახდება კლიენტისათვის. წინამდებარე **დისტანციური საბანკო მომსახურების პირობები** ემატება და არ გამოირიცხავს კონკრეტულ პირობებს, რომლებიც ეხება **დისტანციურ საბანკო მომსახურების** კონკრეტულ ტიპს. ამასთან, ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება **დისტანციურ საბანკო მომსახურების** კონკრეტულ პირობებს;
- 3.2.2. **ბარათით** სარგებლობის უფლება ენიჭებათ მხოლოდ უნივერსალური მიმდინარე **ანგარიშის** მფლობელებს, ხოლო ინტერნეტ-ბანკით, მობილ-ბანკით, Tskapp აპლიკაციით და ტელეფონ-ბანკით სარგებლობის უფლებას კლიენტი იძენს **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** რეგისტრაციისთანავე. ამასთან:
 - 3.2.2.1. **ბარათი კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს** გადაეცემა **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის შესაბამისად;
 - 3.2.2.2. ინტერნეტ-ბანკით, მობილ-ბანკით, Tskapp აპლიკაციით, კრედიტით და ტელეფონ-ბანკით სარგებლობის უფლების გააქტიურება კლიენტის მიერ ხორციელდება **უნივერსალური იდენტიფიკაციის** გამოყენების გზით, ხოლო ინტერნეტ-ბანკით **მომსახურების** შემთხვევაში, ასევე საჭიროა კლიენტის მიერ **განაცხადის** შევსება ან **ბანკის** პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით შესაბამისი წესით თანხმობის დაფიქსირება;
 - 3.2.2.3. მობილ-ბანკით და Tskapp აპლიკაციით სარგებლობის უფლების გააქტიურება კლიენტის მიერ ხორციელდება სმარტფონში შესაბამისი აპლიკაციის ჩამოტვირთვის და **უნივერსალური იდენტიფიკაციის** გამოყენების გზით. Tskapp აპლიკაციის გადმოწერა შესაძლებელია Google Play Store დან ან ვებ-გვერდიდან: www.tskapp.ge;
 - 3.2.2.4. SMS-ბანკით სარგებლობის უფლება კლიენტს ენიჭება ავტომატურად, როგორც სტანდარტული, ისე უნივერსალური ანგარიშის გახსნისთანავე და ამ უფლების გააქტიურება მოხდება მხოლოდ კლიენტის მიერ შესაბამისი **განაცხადების** შევსების საფუძველზე.
- 3.2.3. კლიენტი პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს **დისტანციურ საბანკო მომსახურებით** სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას **დავალებაზე** ან აღნიშნული **დავალების** შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. კლიენტმა არ უნდა დატოვოს **დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან** დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ, მანამ სანამ იგი ჩართულია ქსელში. გარდა ამისა, კლიენტი ვალდებულია:
 - 3.2.3.1. უსაფრთხოდ შეინახოს ყველა **წვდომის კოდი** და არ მისცეს მისი გამოყენების საშუალება მესამე პირებს;
 - 3.2.3.2. **წვდომის კოდების** მიღებისთანავე დაიმახსოვროს და დაუყოვნებლივ გაანადგუროს ისინი;
 - 3.2.3.3. არასოდეს გაუზიაროს დეტალები **წვდომის კოდ(ებ)ის** შესახებ მესამე პირს; (აღნიშნულ შემთხვევაში მესამე პირებად არ განიხილება **ბანკის** ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ გადაცემენ კლიენტს **წვდომის კოდ(ებ)ს**, ან კლიენტის დავალების საფუძველზე ახორციელებენ **წვდომის კოდ(ებ)ის** შეცვლას ან **წვდომის კოდ(ებ)ის** გააქტიურებას. ასევე ნებისმიერ

- სხვა შემთხვევაში, როდესაც **ბანკის** თანამშრომლის დაშვება **წვდომის კოდ(ებ)თან** აუცილებელია კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის ან/და შესაბამისი **მომსახურების** განხორციელებისათვის);
- 3.2.3.4. არასოდეს ჩაწეროს **წვდომის კოდ(ები)** ისეთ პროგრამულ უზრუნველყოფაში, რომელიც ავტომატურად ინახავს ინფორმაციას (მაგალითად, კომპიუტერის „პაროლის შენახვის“ ფუნქცია ან ინტერნეტის სხვა მსგავსი ფუნქცია);
- 3.2.3.5. არასოდეს არ დაწეროს **წვდომის კოდები** ისე, რომ მესამე პირებმა შეძლონ მათი ამოცნობა.
- შენიშვნა:** თუ **კლიენტს** აქვს ეჭვი, რომ მესამე პირისათვის ცნობილია მისი **წვდომის კოდები** ან უსაფრთხოების სხვა დეტალები, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს **ბანკს** ამის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ **ოპერაციაზე**, რომელიც განხორციელდება მის **ანგარიშზე** აღნიშნული **წვდომის კოდების** ან უსაფრთხოების სხვა დეტალების გამოყენებით.
- 3.2.4. **კლიენტმა** არ უნდა გამოიყენოს **დისტანციური საბანკო მომსახურება**, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი **ანგარიშის** გადახარჯვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება ხარჯვის შეთანხმებული **ლიმიტის** გადაჭარბება;
- 3.2.5. **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერ **ოპერაციაზე**, რომელსაც იგი განახორციელებს **დისტანციური საბანკო მომსახურებით** აღნიშნული **მომსახურების** გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ;
- 3.2.6. **ბანკი** მიმართავს ყველა ზომას რათა **კლიენტი** უზრუნველყოს **დისტანციური საბანკო მომსახურებით**, მაგრამ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული **მომსახურებით** **კლიენტის** უზრუნველყოფა **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნული გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხდება **ბანკის** სისტემის ან **დისტანციური საბანკო მომსახურების** შეფერხება სისტემის განახლების და გაუმჯობესების მიზეზით;
- 3.2.7. **კლიენტის** და/ან საკუთარი ინტერესების დასაცავად, **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს **კლიენტის** მიერ **დისტანციური საბანკო მომსახურების** ან მისი ნაწილის გამოყენება. **ბანკი** პირველი შესაძლებლობისთანავე გაუზავნის **კლიენტს** შეტყობინებას აღნიშნულის თაობაზე. **ბანკს** აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს **დისტანციური საბანკო მომსახურება** ან მისი ნაწილი;
- 3.2.8. **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს კონკრეტული **დისტანციური საბანკო მომსახურების** სააბონენტო საკომისიო;
- 3.2.9. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** განახორციელოს ყველა ზეპირი ან ელექტრონული მითითება, რომელსაც **კლიენტი** გასცემს (ან ჩანს, რომ გასცა) **დისტანციური საბანკო მომსახურების** მეშვეობით;
- 3.2.10. **კლიენტი** თანახმაა და უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, **კლიენტის** მიერ დისტანციური არხების მეშვეობით გაგზავნილი **დავალების** (განაცხადის) საფუძველზე, უზრუნველყოს **კლიენტისათვის** დამატებითი **ანგარიშის** გახსნა **ბანკში** დადგენილი პირობების შესაბამისად, თუ **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** მიმართვის მომენტისათვის **კლიენტს ბანკში** უკვე გახსნილი აქვს **ანგარიში**;
- 3.2.11. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დისტანციური არხების მეშვეობით ვადიანი დეპოზიტის ანგარიშის გახსნამდე **ბანკი** უზრუნველყოფს **კლიენტისათვის** კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების გაცნობას შესაბამისი დისტანციური არხის გამოყენებით, **კლიენტის** მიერ დისტანციური არხების საშუალებით გაცემული დასტური ხელშეკრულების პირობებზე უთანაბრდება შესაბამის ხელშეკრულებაზე **კლიენტის** ხელმოწერას და აღნიშნული ხელშეკრულება ჩაითვლება სამართლებრივი ძალის მქონედ **ბანკის** მიერ დისტანციური არხის მეშვეობით **კლიენტის** დასტურის მიღების მომენტიდან;
- 3.2.12. **ბანკის** მხრიდან არ ჩაითვლება **ხელშეკრულების** დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული რაიმე ზარალზე, როდესაც:
- 3.2.12.1. **დისტანციური საბანკო მომსახურების** (ან მისი ნაწილის) განხორციელება შეუძლებელია **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;
- 3.2.12.2. **კლიენტის** უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, **წვდომის კოდები**) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი არაავტორიზებული გამოყენება გამოწვეული იყო **ბანკის** უხეში გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით ან განზრახვი ბრალით;
- 3.2.12.3. **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი **დავალებ(ებ)ი**;
- 3.2.12.4. **კლიენტმა ბანკს** მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია;
- 3.2.12.5. **კლიენტსა** **ბანკს** შორის სატელეფონო ან ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე მხარე.
- 3.2.13. **ბანკს** შეუძლია შეეცვალოს **3.2. პუნქტში** აღწერილი პირობები, ასევე **პირობების** შესაბამის დანართებსა თუ პუნქტებში მოყვანილი დებულებები ნებისმიერ დროს იმისათვის, რომ შეუსაბამოს იგი საბაზრო პირობებს, **ბანკში** დადგენილ ახალ წესებს და შესაბამის კანონმდებლობას;
- 3.2.14. **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობისათვის საჭირო **უნივერსალური იდენტიფიკატორების** რეგისტრაცია **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**, ასევე მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღება და აღდგენა, მობილური ტელეფონის ნომრის ჩანაცვლება **კლიენტმა** შეიძლება განახორციელოს **ბანკის** სერვისცენტრის, **საბანკო** პროგრამის ან/და ბანკომატის მეშვეობით, **ბანკის** შეხედულებისამებრ. ბანკომატის მეშვეობით აღნიშნული **ოპერაცია** წარმოებს აქტიური (მოქმედი) **ბარათის** გამოყენებით;
- 3.2.15. **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** რეგისტრირებული **უნივერსალური იდენტიფიკატორების**:
- 3.2.15.1. მომხმარებლის სახელი – **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების** მისაღებად, ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო, **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემის** მიერ ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრული ერთ-ერთ პარამეტრი, რომელიც უნიკალურია. ამასთან, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს **კლიენტის** მიერ, **ბანკის** შესაბამისი დისტანციური არხის გამოყენებით, **ბანკის** მიერ განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად;
- 3.2.15.2. პაროლი – **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების** მისაღებად ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო ერთ-ერთ პარამეტრი, რომელიც **კლიენტს** გადაეცემა **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში** რეგისტრაციისთანავე, **ბანკის** მიერ შერჩეული დისტანციური არხის ან კომუნიკაციის სხვა არხის საშუალებით. პაროლი, რომელიც თავდაპირველად გადაეცემა **კლიენტს** ექვემდებარება სავალდებულო ცვლილებას **კლიენტის** მიერ ცენტრალიზებული **დისტანციური საბანკო მომსახურების** მისაღებად ნებისმიერი დისტანციური არხის პირველივე გამოყენებისას. ამასთან, შესაბამისი **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობის პერიოდში **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს **ბანკში** დადგენილი პირობების შესაბამისად შეეცვალოს არსებული პაროლი შესაბამისი დისტანციური არხის გამოყენებით;
- 3.2.15.3. მობილური ტელეფონის ნომერი ან დიჯიტალური (რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც მატერიალური, ასევე პროგრამული აპლიკაციის ფორმის) – რომელზეც **კლიენტი** იღებს **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურებით** განსაზღვრული **ოპერაციების** წარმოებისთვის საჭირო ერთჯერად **წვდომის კოდებს**. ამასთან, შესაბამისი **დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობის პერიოდში **კლიენტი** უფლებამოსილია, ხოლო **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, ნებისმიერ დროს **ბანკში** დადგენილი პირობების შესაბამისად შეეცვალოს მობილური ტელეფონის ნომერი ან დიჯიტალური, **ბანკის** შესაბამისი დისტანციური არხის გამოყენებით (მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომრის შემთხვევაში) ან **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრში განხორციელებული შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

ბანკის გადაწყვეტილებით ერთჯერადი **წვდომის კოდები კლიენტს** შეიძლება მიეწოდოს, როგორც მობილური ტელეფონის ნომრის, ისე დიჯიტალური მეშვეობით ერთდროულად.

- 3.2.16. **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების** მისაღებად **კლიენტს** შესაძლოა განესაზღვროს ავტორიზაციის განხორციელების ვალდებულება მარტივი (სახელის და პაროლის გამოყენება ან სახელისა და ერთჯერადი **წვდომის კოდის** გამოყენება) ან რთული (სახელის, პაროლის და ერთჯერადი **წვდომის კოდის** გამოყენება) ავტორიზაციის მეთოდით. ავტორიზაციის მეთოდი ყოველი შესაბამისი დისტანციური არხით/სერვისით სარგებლობისათვის ასევე რეგისტრირდება **ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში**;
- 3.2.17. მატერიალური ფორმის დიჯიტალური **კლიენტს** გადაეცემა **ბანკის** სერვისცენტრში დიჯიტალური საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო პროგრამული აპლიკაციის ფორმის დიჯიტალური სარგებლობა/გააქტიურება **კლიენტს** შეუძლია შესაბამისი აპლიკაციის ჩამოტვირთვისა (რისთვისაც აუცილებელია ინტერნეტთან წვდომა) და **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების** სარგებლობისათვის გადაეცემული სახელით და ერთჯერადი **წვდომის კოდებით**;
- 3.2.18. პროგრამული აპლიკაციის ფორმის დიჯიტალური სარგებლობა (ერთჯერადი **წვდომის კოდების** მიღება) შესაძლებელია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის როუმინგის გააქტიურებისა და ინტერნეტთან წვდომის გარეშე). **კლიენტს** ერთდროულად შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ ერთ-ერთი ფორმის დიჯიტალური სარგებლობით. პროგრამული აპლიკაციის ფორმის დიჯიტალური გააქტიურება ავტომატურად გამოიწვევს მატერიალური ფორმის დიჯიტალური დეაქტივაციას, რომლის ხელახლა აქტივაციაც (შესაბამისად პროგრამული აპლიკაციის ფორმის დიჯიტალური დეაქტივაცია) შესაძლებელია **ბანკის** სერვისცენტრში.

3.3. ბარათების კონკრეტული პირობები

შენიშვნა: ქვემოთ მოცემული დებულებები ეხება წინამდებარე პირობების შესაბამისად **ბანკის** მიერ, **კლიენტზე** და **კლიენტის** მოთხოვნის შესაბამისად **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე** გაცემულ ყველა სახის **ბარათს**, თუ კონტექსტი სხვაგვარად არ განსაზღვრავს.

- 3.3.1. **ბარათ(ებ)ს ბანკი** დაამზადებინებს **კლიენტის** მიერ შევსებული **განაცხადის** საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს **კლიენტს** სარგებლობაში **ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების** საწარმოებლად. **ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას. **ბარათის** PIN-კოდს **ბანკი კლიენტს** გადასცემს დალუქული კონვერტის ან **კლიენტის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS შეტყობინების მეშვეობით;
- 3.3.2. **დამატებითი ბარათი, დამატებითი ბარათის მფლობელები**
- 3.3.2.1. **კლიენტს** შეუძლია **ბანკისგან** მოითხოვოს მისი ოჯახის წევრ(ებ)ისათვის და სხვა დაკავშირებულ პირთათვის **დამატებითი ბარათის**, PIN-ის და საჭიროების შემთხვევაში სხვა **წვდომის კოდების** გაცემა. **დამატებითი ბარათის** გაცემაზე **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში, **კლიენტი** ვალდებულია გააცნოს **დამატებითი ბარათის მფლობელს** აღნიშნული პირობები. ამასთან **კლიენტი** ვალდებულია, გადაიხადოს **დამატებითი ბარათის** და **წვდომის კოდების** გამოყენებით განხორციელებული **ოპერაციების** საფასური და სხვა შესაბამისი ხარჯები. აღნიშნული **ოპერაციის** ხარჯები მოიცავს **ანგარიშიდან** ჩამოჭრილ თანხებს **დამატებითი ბარათის ბანკში** დაბრუნების შემდეგ;
- 3.3.2.2. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, გადასცეს გარკვეული სახის ინფორმაცია **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს**. ეს ინფორმაცია მოიცავს დეტალებს **ანგარიშ(ებ)ის** შესახებ, აგრეთვე, სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია **დამატებითი ბარათ(ებ)ის** სათანადო გამოყენებისთვის.
- 3.3.3. **კლიენტმა განაცხადში** უნდა აირჩიოს **ანგარიშ(ებ)იდან** თანხების გახარჯვის სქემა: აირჩიოს, ან არ აირჩიოს ძირითადი ანგარიში. (ძირითადი ანგარიშის არ არჩევის შემთხვევაში ძირითად ანგარიშად მიჩნეული იქნება ქართული ლარი). **კლიენტის** აღნიშნულ არჩევანზე დამოკიდებული იქნება ერთ **ბარათზე** მიბმული სხვადასხვა სავალუტო **ანგარიშ(ებ)იდან** თანხების გახარჯვის სქემა, კერძოდ -**ოპერაცია** პირველ რიგში განხორციელდება ამ **ოპერაციის** შესაბამისი ვალუტის **ანგარიშიდან**, თუ ამ **ანგარიშზე** თანხები იქნება არასაკმარისი ან სრულად ამოწურული, თანხების საჭირო ნაწილი თავდაპირველად ჩამოიჭრება ძირითადი ანგარიშიდან, ხოლო შემდეგ დანარჩენი **ანგარიშ(ებ)იდან** შემდეგი თანმიმდევრობით: ქართული ლარი, აშშ დოლარი, ევრო. ვალუტის კონვერტაცია მოხდება შესაბამისი **საბანკო დღის** ბოლოს არსებული **ბანკის** კომერციული გაცვლითი კურსით.
- 3.3.4. თუ საოპერაციო თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, **საბანკო ოპერაცია** განხორციელდება მომდევნო **საბანკო დღეს**.
- 3.3.5. **ბანკი** იღებს ვალდებულებებს:
- 3.3.5.1. დაამზადოს და **კლიენტს** სარგებლობაში გადასცეს **ბარათ(ებ)ი**, **ბარათის** შესახებ **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის შესაბამისად;
- 3.3.5.2. **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან** თანხების ჩამოწერა განხორციელოს **განაცხადში კლიენტის** მიერ არჩეული გახარჯვის სქემის შესაბამისად;
- 3.3.5.3. **კლიენტს (დამატებითი ბარათის მფლობელს)** მისი მოთხოვნისთანავე გადასცეს **ანგარიშის ამონაწერი ბანკში** მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად;
- 3.3.5.4. **ბარათის** ანულისების ან მისი ხმარებიდან ამოღების შემთხვევაში დაუბრუნოს **კლიენტს ანგარიშზე** რიცხული ნაშთი **ბარათის** ჩაბარებიდან 14 (თოთხმეტი) **საბანკო დღის** განმავლობაში, **ბარათის** ჩაუბარებლობის შემთხვევაში **ბანკი** პასუხს არ აგებს **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე.
- 3.3.6. **ბანკს** უფლება აქვს:
- 3.3.6.1. აუცილებლობის შემთხვევაში, **ბარათის** მოქმედების ვადაში შეცვალოს **ბარათი** ახლით, რის შესახებაც **ბარათის** მფლობელს ატყობინებს 14 (თოთხმეტი) **საბანკო დღით** ადრე;
- 3.3.6.2. ბლოკირება გაუკეთოს **ბანკში** არსებულ **კლიენტის** სხვა **ანგარიშ(ებ)ს** და მათზე რიცხული თანხები მიმართოს (არაავტორიზებული) **ოვერდრაფტის** დასაფარავად **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში;
- 3.3.6.3. გაუგზავნოს **კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს** შეტყობინება **ბანკისათვის ბარათის** დაბრუნების მოთხოვნით, თუ **ოპერაციების** ჩატარებისას მის ქმედებაში შეამჩნევს უკანონობას;
- 3.3.6.4. **ბარათის** დაკარგვის შემთხვევაში **კლიენტს ანგარიშიდან** ჩამოაწეროს **ბარათის** დაკარგვიდან **ბანკში** შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში **ბარათით** ჩატარებული **ოპერაციების** ექვივალენტი სახსრები;
- 3.3.6.5. **კლიენტის** ან/და **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის, აგრეთვე **კლიენტის** გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს **ბარათის** მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები **ბანკისადმი კლიენტის** დავალიანების ამოსაღებად;

- 3.3.6.6. შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება არაკანონიერი **ოპერაციების** ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA International-ისა და Mastercard International-ის საგადამხდელო სისტემების მიერ **ბარათის** არაკანონიერი გამოყენების შესახებ დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;
- 3.3.6.7. გააუქმოს **ბარათი** ან/და დახუროს შესაბამისი **ანგარიში კლიენტის** მიერ **ბარათის (დამატებითი ბარათის)** დამზადების შესახებ **განაცხადის** წარდგენის დღიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში **ბარათის მფლობელის** გამოუცხადებლობის ან/და შესაბამის **ანგარიშზე** საბანკო **ოპერაციების** განუხორციელებლობის შემთხვევაში;
- 3.3.6.8. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს **კლიენტს ბარათ(ებ)ის** გაცემასა და/ან აღდგენაზე;
- 3.3.6.9. **ანგარიშიდან ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად უაქცეპტოდ ჩამოაწეროს **კლიენტს** საბანკო **ოპერაციების** წარმოებისათვის, ასევე, **ანგარიშისა და ბარათისათვის/დამატებითი ბარათისათვის ბანკში** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, **ბარათ(ებ)ის** დაკარგვის შემთხვევაში გაწეული დანახარჯები, (არაავტორიზებული) **ოვერდრაფტით** სარგებლობის საფასური, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები;
- 3.3.6.10. **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოაწეროს **კლიენტზე** გაცემული ყველა **ბარათით/დამატებითი ბარათით** ჩატარებული, აგრეთვე საგადამხდელო სისტემა VISA International-ისა და Mastercard International-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი **ოპერაციების** ექვივალენტი სახსრები **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად. ჩატარებული **ოპერაციის** შესაბამისი თანხების ასახვა (ვალუტის გაცვლა) მოხდება **განაცხადში** არჩეული სქემის (**3.3.3. პუნქტი**) შესაბამისად **ოპერაციის** ასახვის მომენტში **ბანკში** მოქმედი კურსით.
- 3.3.6.11. VISA International-ისა და Mastercard International-ის საგადამხდელო სისტემის **ბარათებით** ანგარიშსწორებისას თანხის კონვერტაციის შემთხვევაში გადახდევინოს **კლიენტს** კონვერტაციის საკომისიო:
- 3.3.6.11.1 VISA International **ბარათებით** ანგარიშსწორების შემთხვევაში - **ოპერაციის** 4%-ის ოდენობით.
- 3.3.6.11.2 Mastercard International **ბარათებით** ანგარიშსწორების შემთხვევაში - **ოპერაციის** 2%-ის ოდენობით.
- 3.3.7. **კლიენტი** იღებს ვალდებულებებს:
- 3.3.7.1. **განაცხადის** შევსებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში **ანგარიშ(ებ)ზე** ჩარიცხოს თანხები ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით **ბარათის** ტიპისათვის **ბანკში** დადგენილი აუცილებელი შენატანის ოდენობით;
- 3.3.7.2.
- 3.3.7.3. შეინახოს **ბარათის** გამოყენებით წარმოებულ **ოპერაციებზე** არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი **ბანკს** სადავო საკითხების წარმოშობისას;
- 3.3.7.4. **ბარათის** დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს**. ყოველი ზეპირი განაცხადი უნდა დადასტურდეს **ბანკში** პირადი მისვლით და წერილობით განცხადებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, **ბანკი** პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს **კლიენტს** (წერილობითი განცხადება **ბანკში** უნდა დაფიქსირდეს ზეპირი განცხადებიდან ერთი **საბანკო დღის** განმავლობაში). დაგვიანების შემთხვევაში, **ბანკის** მიერ **ბარათის** დაკარგვის შესახებ განაცხადის მიღებამდე მესამე პირების მიერ **ბარათით** წარმოებულ ყველა **ოპერაციაზე** პასუხს აგებს **კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი**;
- 3.3.7.5. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს იგი **ბანკს**;
- 3.3.7.6. **ბანკის** მიერ **ბარათის** გაუქმების ან ხმაირებიდან ამოღების შემთხვევაში დააბრუნოს **ბარათი** შეტყობინებიდან არა უგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- 3.3.7.7. **ბარათით** შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, არ მოითხოვოს სავაჭრო წერტილიდან შეძენილი საქონლის ღირებულება ნაღდი ფულის სახით. ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით შესაბამის ანგარიშზე;
- 3.3.7.8. ჩაატაროს **ბარათით ოპერაციები** მოცემული პირობების შესაბამისად;
- 3.3.7.9. გააცნოს **დამატებითი ბარათის მფლობელს** პირობები;
- 3.3.7.10. **ბარათის** დაკარგვის შემთხვევაში იხელმძღვანელოს **პირობებით** და **ბანკის** მიერ **ბარათის** დაკარგვის შესახებ შეტყობინების მიღებამდე პასუხი აგოს მესამე პირების მიერ **ბარათით ოპერაციების** ჩატარებაზე;
- 3.3.7.11. გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები;
- 3.3.7.12. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს **ოპერაციების** წარმოებისათვის, ასევე, **ანგარიშისა და ბარათ(ებ)ის** მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში აანაზღაუროს **ბარათ(ებ)ის** დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები.
- 3.3.7.13. **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულად დაფაროს საბარათე **ანგარიშზე** საბოლოო **ამონაწერთ** განსაზღვრული დავალიანება.
- 3.3.8. **კლიენტს** უფლება აქვს:
- 3.3.8.1. **ბარათით** ჩაატაროს **ოპერაციები ხარჯის ლიმიტის** ფარგლებში;
- 3.3.8.2. წაუყენოს **ბანკს** პრეტენზიები **ამონაწერის** მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- 3.3.8.3. ყოველი მომდევნო თვის არა უგვიანეს მეხუთე კალენდარული დღისა **ბანკში** მიიღოს მიმდინარე თვის **ამონაწერი**;
- 3.3.8.4. გააპროტესტოს მაქსიმუმ 5 (ხუთი) **ოპერაცია**, რომელიც ჩატარებულია **ბარათის** გამოყენების გარეშე საფოსტო კავშირის მომსახურებით ან ინტერნეტ ქსელით. **ბანკის** მიერ პრეტენზიები ზემოხსენებული ტიპის **ოპერაციებზე** მიიღება მხოლოდ დაკარგული **ბარათის** განახლების შემთხვევაში;
- 3.3.8.5. თავდებდა დადგეს **ბანკის** წინაშე **დამატებითი ბარათის** გაცემისას;
- 3.3.8.6. წერილობით შეატყობინოს **ბანკს ბარათის** ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს მისი განახლება.
- 3.3.9. **მხარეთა** პასუხისმგებლობა:
- 3.3.9.1. **ბანკი** პასუხისმგებელია: ა) **კლიენტის** წინაშე **ანგარიშზე ოპერაციების** წარმოების სისწორესა და დროულობაზე წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; ბ) **ანგარიშზე** წარმოებული **ოპერაციების** შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 3.3.9.2. **ბანკი** არ აგებს პასუხს: ა) მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ასეთი დაყოვნება გამოწვეული იყო **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზით; ბ) **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ოპერაციის** კანონიერებაზე. გ) **ბარათის** მოქმედების შეჩერებაზე. **ბანკი** თავისუფლდება ასევე მატერიალური პასუხისმგებლობისგან, თუ მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები ვერ განხორციელდა ტექნიკური ხარვეზის გამო (ელექტროკვების ან ქსელის დაზიანება/გათიშვა, საპროცესინგო ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანება, საგადამხდელო სისტემის ტექნიკური ხარვეზი);
- 3.3.9.3. **ბანკი** არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ **ბარათის** დაკარგვისას **კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის** მხრიდან დარღვეული იქნება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **ბანკის** ინფორმირების წესები;
- 3.3.9.4. **კლიენტი** პასუხისმგებელია: ა) **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული ყველა არაკანონიერი **ოპერაციის**ათვის. ბ) **კლიენტი** ვალდებულია აუნაზღაუროს **ბანკს** ზიანი, რომელიც წარმოიქმნება **ბარათის მფლობელის** მიერ მოცემული **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის გამო.
- 3.3.10. Visa international და Mastercard international საერთაშორისო ბარათების გამოყენების ზოგადი წესები
- 3.3.10.1. **კლიენტი** ვალდებულია:

- 3.3.10.1.1. ხელი მოაწეროს **ბარათს** მისი მიღებისთანავე. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** არ მოაწერს ხელს **ბარათს** ან ხელმოწერების შეუსაბამობის შემთხვევაში **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს, ჩამოართვას ან შეუზღუდოს **კლიენტს** საბანკო **ბარათის**, PIN-ის ან სხვა **წვდომის კოდების** გამოყენების შესაძლებლობა;
- 3.3.10.1.2. უსაფრთხოდ შეინახოს **ბარათი** ნებისმიერ დროს და არ მისცეს მესამე პირებს მისი გამოყენების შესაძლებლობა;
- შენიშვნა:** **წვდომის კოდების** მიღებისას რეკომენდებულია, მათი დამახსოვრება და **წვდომის კოდ(ებ)ის** შემცველი დოკუმენტების დაუყოვნებლივ განადგურება.
- 3.3.10.1.3. არასოდეს არ დაწეროს **წვდომის კოდი** ისე, რომ მესამე პირებმა შეძლონ მათი მოპოვება;
- 3.3.10.1.4. ყოველთვის დაიცვას **ბარათით** სარგებლობის წესები.
- 3.3.10.2. **კლიენტს** არ აქვს უფლება:
- 3.3.10.2.1. გამოიყენოს **ბარათი** საქართველოს და/ან სხვა ქვეყნის შესაბამისი იურისდიქციით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;
- 3.3.10.2.2. გამოიყენოს **ბარათი** მის ძალაში შესვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც **კლიენტი** მიიღებს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ **ბანკმა** გააუქმა საბანკო **ბარათი**;
- 3.3.10.2.3. გამოიყენოს **ბარათი** თუ მისი გამოყენების შედეგად **ანგარიშიდან** თანხის გამოტანა მოხდა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე;
- 3.3.10.2.4. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს იგი **ბანკს**. **ბანკს**, ან **ბანკის** სახელით მოქმედ ნებისმიერ პიროვნებას უფლება აქვს ნებისმიერ დროს დაიბრუნოს **ბარათი** (კერძოდ, **ბანკს** შეუძლია გააუქმოს **ბარათი** და სთხოვოს ნებისმიერ მესამე მხარეს დააკავოს **ბარათი**, თუ **კლიენტი** მის გამოყენებას შეეცდებოდა).
- 3.3.11. **ბარათის** გამოყენება
- 3.3.11.1. **ოპერაციები**
- 3.3.11.1.1. **ბარათის** გამოყენება შესაძლებელია PIN-ის მეშვეობით ბანკომატებიდან ნაღდი ფულის გამოსატანად ან/და თვითმომსახურების ტერმინალებით რიგი **ოპერაციების** განსახორციელებლად **განადგების ლიმიტის** ფარგლებში, საქართველოში და საზღვარგარეთ, აგრეთვე ბანკომატებით შეთავაზებული აქტიურ **ოპერაციები** და/ან მომსახურება;
- შენიშვნა:** PIN-ის სამჯერ ზედიზედ არასწორად შეყვანის შემთხვევაში ბანკომატმა შეიძლება დააკავოს **ბარათი**.
- 3.3.11.1.2. **ბანკი** აწესებს **ხარჯვის ლიმიტებს**, რომელიც დროდადრო შეიძლება შეიცვალოს;
- 3.3.11.1.3. **ბარათის** გამოყენება შესაძლებელია საქონლის ან მომსახურების შესაძენად ისეთ საცალო მაღაზიებში, სადაც შეიძლება VISA ან MasterCard ბარათებით გადახდა;
- 3.3.11.1.4. **ანგარიშზე** არსებული თანხებიდან **ბანკი** ჩამოჭრის **ბარათის** გამოყენებით განხორციელებული **ოპერაციების** შესაბამის თანხებს **კლიენტის** მიერ გადასახდელი ყველა ფინანსური ხარჯის (სხვადასხვა მომსახურების საფასურის) დასაფარად.
- 3.3.11.2. **გადახდების ავტორიზაცია**
- 3.3.11.2.1. **ბანკი** უფლებამოსილია არ გასცეს ავტორიზაცია/არ შეასრულოს **დავალება**, თუ:
- 3.3.11.2.2. **ბარათი** დაიკარგა ან მოპარულ იქნა;
- 3.3.11.2.3. **ბანკს** აქვს საფუძველი იფიქროს, რომ საბანკო **ბარათი** დაიკარგა ან მოპარულ იქნა;
- 3.3.11.2.4. **კლიენტი** არღვევს **პირობებს** (**ბარათით** სარგებლობის წესებს);
- 3.3.11.2.5. **ბანკის** მიერ ავტორიზებული ყველა (ჯერ ჩამოუჭრელი თანხების ჩათვლით) **ოპერაციის** გათვალისწინებით **ანგარიშზე** საკმარისი თანხები არ არსებობს;
- 3.3.11.2.6. მას შემდეგ, რაც **კლიენტი** განახორციელებს **ოპერაციას ბარათის** გამოყენებით მას არ აქვს უფლება მოსთხოვოს **ბანკს** ამ **ოპერაციის** შეჩერება. **ბანკი** გააუქმებს **ოპერაციას**, რომელიც **ავტორიზებულია**, მაგრამ ჯერ არ არის გადახდილი იმ შემთხვევაში, თუ **ბანკს** გააჩნია სათანადო მტკიცებულება იმისა, რომ **ოპერაცია** გაუქმდა.
- 3.3.11.3. **ხარჯები**
- 3.3.11.3.1. **ბარათის** ყოველი გამოყენებისთვის ხარჯების გადახდა მოხდება **ბანკში** დადგენილი ტარიფების შესაბამისად. აღნიშნული ტარიფები შეიძლება დროდადრო შეიცვალოს **კლიენტთან** შეთანხმების გარეშე – **ბანკში** მიღებული წესების მიხედვით;
- 3.3.11.3.2. **ბარათის** ყოველი გამოყენებისთვის ხარჯების გადახდა მოხდება **ბანკში** დადგენილი ტარიფების შესაბამისად. აღნიშნული ტარიფები შეიძლება დროდადრო შეიცვალოს **კლიენტთან** შეთანხმების გარეშე – **ბანკში** მიღებული წესების მიხედვით.
- 3.3.11.4. **ახალი ბარათის/დამატებითი ბარათის დამზადება**
- 3.3.11.4.1. ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** შეიძლება დამზადდეს **ბანკის** მიერ ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ ან **კლიენტის** მიერ შესაბამისი **განაცხადის** ან **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკის** მიერ ცალმხრივად განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა წესით წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე;
- 3.3.11.4.2. თუ **კლიენტი** აღარ სურს ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** დამზადება, იგი ვალდებულია **ბარათის** ვადის გასვლამდე არანაკლებ 1 თვით ადრე გაუზავნოს **ბანკს** აღნიშნული შეტყობინება;
- 3.3.11.4.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** ავტომატურად დაუშვადოს, როგორც ახალი **ბარათი**, **ბარათის** მოქმედების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის დროს, აგრეთვე **დამატებითი ბარათი**;
- 3.3.11.4.4. ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** ავტომატურად დამზადების შემთხვევაში **ბანკი** **კლიენტს** გაუზავნის შესაბამის შეტყობინებას, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინებაში **ბანკი** განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც **კლიენტი** უფლებამოსილია გაააქტიუროს ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** და აგრეთვე, ადგილს ან საკომუნიკაციო არხს სადაც **კლიენტს** შეუძლია დაადგინოს ადგილი, სადაც **კლიენტს** ექნება საშუალება მიიღოს ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი**. ამასთან, ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** გააქტიურება განხორციელდება **ბანკის** მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად;
- 3.3.11.4.5. ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** ავტომატურად დამზადება მოხდება **კლიენტის** ხარჯით. ამასთან, თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს **ბარათისათვის/დამატებითი ბარათისათვის** ბანკში დადგენილი საკომისიოს მოცულობას **ბანკი** ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** დამზადებისთანავე ჩამოაჭრის **კლიენტს**;
- 3.3.11.4.6. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** შეტყობინებებში განსაზღვრულ ვადაში არ განახორციელებს ახალი **ბარათის/დამატებითი ბარათის** მიღებას/გააქტიურებას, **ბანკის** მიერ ჩამოჭრილი საკომისიო **კლიენტს** უკან არ დაუბრუნდება თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს;
- 3.3.11.4.7. თუ **კლიენტის** მოთხოვნის საფუძველზე ან **ანგარიშზე** შესაბამისი თანხების არარსებობის გამო **კლიენტისათვის** ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** არ დამზადებულა, **ბანკი** **ბარათის/დამატებითი ბარათის** ვადის გასვლიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში შეაჩერებს **ანგარიშ(ებ)ზე** აქტივის ოპერაციებს (თანხების გატანა, გადარიცხვა ან ნაშთის სხვაგვარად შემცირება),

თუ ამ დრომდე კლიენტის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე **ბანკს** მისთვის ახალი **ბარათი/დამატებითი ბარათი** არ დაუმზადებია.

3.3.11.5. **დახურული ანგარიშიდან თანხების გატანის შეზღუდვა**

3.3.11.5.1. თუ **კლიენტის ბარათს** ვადა გაუვა და არ მოხდება ახალი **ბარათის** დამზადება, **ბარათი** გაუქმდება, მოხდება მისი ამოღება, ან მოხდება **კლიენტის** უნივერსალური მიმდინარე **ანგარიშ(ებ)ის** დახურვა (ან სხვა რაიმე მიზეზით მისი გარდაქმნა სტანდარტულ მიმდინარე **ანგარიშად**) **კლიენტს** 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში ეკრძალება **ანგარიშიდან** თანხების გადარიცხვა, გატანა ან **ანგარიშზე** არსებული სახსრების სხვაგვარად გამოყენება. **ბანკს** შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ გააუქმოს ამგვარი შეზღუდვა. თუ **ბანკს** მიაჩნია ან ეჭვი აქვს, რომ დახურულ **ანგარიშზე** დარიცხვა შეიძლება მოხდეს აღნიშნული შეზღუდვის პერიოდის შემდეგ, **ბანკს** შეუძლია გააგრძელოს აღნიშნული პერიოდი კიდევ 14 (თოთხმეტი) დღით.

3.3.11.6. **ბარათის დაკარგვა**

3.3.11.6.1. თუ **ბარათი** მოპარული ან დაკარგულია ან **კლიენტს** ეჭვი აქვს, რომ ვიღაცამ იცის მისი PIN-ი ან სხვა **წვდომის კოდი**, დაუყოვნებლივ უნდა დარეკოს **ბანკში** შემდეგ ნომერზე: (+995 32) 31-49-99; 31-58-04, 31-69-47 ან გამოცხადდეს **ბანკში** პირადად;

3.3.11.6.2. თუ **ბარათის** გამოყენება არალეგალურად მოხდა, **კლიენტის** მიერ **ბანკის** შეტყობინებამდე - **ბარათის** დაკარგვის ან მოპარვის შესახებ, ან იმის შესახებ, რომ ვიღაცამ იცის მისი PIN-ი ან სხვა **წვდომის კოდები**, **კლიენტი** ვალდებული იქნება აანაზღაუროს ამგვარი უკანონო გამოყენების შედეგად გადასახდელი თანხა მთლიანად;

3.3.11.6.3. თუ **ბარათის** გამოყენება მოხდა მესამე პირის მიერ **კლიენტის** ნებართვით, **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს ასეთი პირის მიერ **ბარათით** განხორციელებული ყველა **ოპერაციის** თანხა;

3.3.11.6.4. როგორც კი **ბანკი** მიიღებს შეტყობინებას **ბარათის** დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ, **ბანკი** დაბლოკავს **ბარათს**. თუ **კლიენტი** იპოვის **ბარათს** იგი ვალდებულია გამოცხადდეს **ბანკში** და წერილობით განაცხადოს ბლოკირების მოხსნის შესახებ, ხოლო **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **კლიენტის** განცხადების საფუძველზე მოხსნას ბლოკირება, თუ იმ პერიოდისთვის **ბარათი** არ იქნება გაუქმებული ან ვადაგასული;

3.3.11.6.5. **კლიენტი** არ არის ვალდებული **ბარათის** უკანონო გამოყენებით გამოწვეულ ზარალზე, თუ მას არ ჰქონდა მიღებული **ბარათი**;

3.3.11.6.6. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი თუ მესამე პირი არ მიიღებს ბარათს, PIN-ს ან სხვა **წვდომის კოდებს**, ბანკომატის გაუმართაობაზე, გაფიცვას ან დავაზე, ან ნებისმიერ სხვა ვითარებაზე, რომელიც გავლენას ახდენს **ბარათის**, PIN-ის ან სხვა **წვდომის კოდის** გამოყენებაზე და რომელსაც **ბანკი** უშუალოდ ვერ აკონტროლებს. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების ქმედებაზე, **ბარათის** გაუქმებასთან ან ამოღებასთან დაკავშირებით;

3.3.11.6.7. **კლიენტი ბანკის** წინაშე პასუხისმგებელი იქნება **ანგარიშთან** დაკავშირებულ ყველა ვალდებულებაზე, მათ შორის იმ ვალდებულებებზეც, რომლებიც წარმოიშვა **ბარათის** ან/და **ბარათის** ნომრის ან/და **ბარათის** მოქმედების ვადის ან/და PIN-ის ან/და სხვა **წვდომის კოდების** გამოყენებიდან.

3.3.11.7. **ინფორმაციის გაცემა**

3.3.11.7.1. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს** მისცეს შესაბამის მესამე მხარეს ინფორმაცია **ბარათის**, PIN-ის ან სხვა **წვდომის კოდის** დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ; ან იმ მიზნით, რომ **ბანკმა** შესაძლოს საკუთარი ვალდებულებები (მოიცავს ვალდებულებებს Visa International-ის ან/და MasterCard International-ის საერთაშორისო საგადასხდელი სისტემების წინაშე).

3.3.11.8. **ბარათ(ებ)ის გამოყენების უფლების გაუქმება**

3.3.11.8.1. **ბარათი** ძალაშია იმ თვის ბოლომდე, რომელიც მითითებულია **ბარათზე**;

3.3.11.8.2. თუ **ბანკი** საჭიროდ ჩათვლის მას ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს, ამოიღოს ან აკრძალოს **ბარათის** გამოყენება. **კლიენტი ბანკისგან** მიიღებს შეტყობინებას ამგვარი ქმედების განხორციელებამდე ან ამგვარი ქმედების განხორციელებიდან უმოკლეს ვადაში;

3.3.11.8.3. თუ **კლიენტის** მიერ **ბარათის** გამოყენება შეჩერებული ან შეზღუდულია რაიმე მიზეზით, რაც მოიცავს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მიცემულ ინსტრუქციას არ გაიტანოს თანხები **ანგარიშიდან ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე, **კლიენტს** აღარ ექნება უფლება გამოიყენოს **ბარათი**;

3.3.11.8.4. **კლიენტმა** შეიძლება შეწყვიტოს **ბარათის** გამოყენება (ან **დამატებითი ბარათის მფლობელის** მიერ **დამატებითი ბარათის** გამოყენება) **ბანკში** წერილობითი შეტყობინების გაგზავნით და **ბარათის** და **დამატებითი ბარათ(ებ)ის ბანკისთვის** დაბრუნებით;

3.3.11.8.5. **კლიენტის** ან **ბანკის** მიერ **ბარათ(ებ)ის** გამოყენების შეწყვეტის შემდეგ **კლიენტი** ვეღარ ისარგებლებს **ბარათ(ებ)ით**, ხოლო **ბანკი** უფლებამოსილია **ანგარიშ(ებ)ს** მოემსახუროს სტანდარტული მიმდინარე **ანგარიშის** პირობების შესაბამისად.

3.3.11.9. **ბარათ(ებ)ის ამოღების და ანგარიშ(ებ)ის დახურვის შემთხვევაში**

3.3.11.9.1. **კლიენტმა** უნდა გააუქმოს ნებისმიერი მუდმივი საგადასახადო დავალება, ავტომატური გადახდები ასევე საცალო გამყიდველთან ან მომსახურების მომწოდებელთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა სადებეტო **დავალება (ბანკს** არ შეუძლია ამის განხორციელება **კლიენტის** სახელით);

3.3.11.9.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს **ანგარიშზე** დარიცხული ნებისმიერი თანხა ნებისმიერ დაგვიანებით დარიცხულ თანხასთან ერთად;

3.3.11.9.3. **ბანკი** გააგრძელებს დაგვიანებული თანხების დარიცხვას, მანამ სანამ არ მოხდება **ბანკისთვის** თანხების სრულად გადახდა;

3.3.11.9.4. **კლიენტმა ბანკს** აგრეთვე უნდა აუნაზღაუროს **ხელშეკრულების** ძალაში შესვლასთან დაკავშირებული ხარჯი, ასევე ყველა ხარჯი, რომელსაც **ბანკი** გაიღებს **ხელშეკრულების** ადმინისტრირებისათვის, თუ **კლიენტი** არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. **კლიენტი** ვალდებული იქნება გადაიხადოს ნებისმიერი ხარჯი დაკავშირებული თანხების ვადაგადაცილებისათვის ან მსგავსი გადასახდელი თანხები.

3.3.11.10. **ზოგადი**

3.3.11.10.1. **ბანკი** არ იღებს ვალდებულებას, თუ მას არ შეუძლია **კლიენტს** მიაწოდოს **ბარათთან** დაკავშირებული მომსახურების რაიმე ტიპი მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო (მაგალითად, გაფიცვა, ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა ან მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა);

3.3.11.10.2. თუ **ბანკი** მიმდინარე მომენტისათვის არ აწესებს ან ახდენს რაიმე პირობის გადავადებას, **ბანკს** შეუძლია მოგვიანებით დააწესოს ამგვარი პირობები;

3.3.11.10.3. **ბარათის** გამოყენება რეგულირდება **საბანკო** კანონმდებლობით და **ბანკსა** და საერთაშორისო საგადასხდელი სისტემებს Visa International ან/და MasterCard International-ს შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.

3.3.12. უკონტაქტო პლასტიკური **ბარათები** და მათი გამოყენების განსაკუთრებული პირობები

3.3.12.1. უკონტაქტო პლასტიკურ **ბარათზე** ჩატვირთული უკონტაქტო აპლიკაციის საშუალებით შესაძლებელია გადახდა განხორციელდეს სავაჭრო ობიექტებსა და სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული ტერმინალების შესაბამის არეში **ბარათის** დაფიქსირებით;

- 3.3.12.2. უკონტაქტო აპლიკაციის გამოყენება ხორციელდება ლიმიტის (უკონტაქტო აპლიკაციის გამოყენება შესაძლებელია შეიზღუდოს როგორც თანხობრივად ისე ტრანზაქციების რაოდენობით) ფარგლებში, რომელსაც **ბანკის** შეთავაზების საფუძველზე ირჩევს **კლიენტი**;
- 3.3.12.3. უკონტაქტო აპლიკაციის ლიმიტით განსაზღვრული თანხის ოდენობის შემცირების/ამოწურვის შემთხვევაში მისი შევსება (სრულად ან ნაწილობრივ) ხორციელდება უკონტაქტო პლასტიკური **ბარათის ანგარიშიდან**, ავტომატურად, **კლიენტის** მიერ PIN-ის გამოყენებით უკონტაქტო პლასტიკური **ბარათის ანგარიშზე** რიცხული ნაშთის შემოწმების ან **ოპერაციის** განხორციელების შემთხვევაში
- 3.3.12.4. თუ **კლიენტი** გადახდას ახორციელებს MasterCard-ის ტიპის **ბანკის** უკონტაქტო **ბარათით** - 45 (ორმოცდახუთი) ლარის ფარგლებში, ან **ბანკის** Visa **ბარათით** - 50 (ორმოცდაათი) ლარის ფარგლებში (უკონტაქტო აპლიკაციის თანხის ლიმიტი), სავაჭრო ობიექტებსა და სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული ტერმინალების შესაბამის არეში უკონტაქტო პლასტიკური **ბარათის** დაფიქსირებით და გადახდის განხორციელების მომენტისათვის უკონტაქტო აპლიკაციის თანხის ლიმიტის ოდენობა ნაკლებია კონკრეტული გადახდის განხორციელებისათვის საჭირო თანხის ოდენობაზე, მითითებული გადახდა განხორციელდება უკონტაქტო პლასტიკური **ბარათის ანგარიშიდან** (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ **ანგარიშზე** თანხები იქნება არსაკმარისი ან სრულად ამოწურული) ისე, რომ **კლიენტს** არ მოეთხოვება PIN-ის დაფიქსირება;
- 3.3.12.5. **ბანკი** უფლებამოსილია უკონტაქტო პლასტიკური **ბარათის** გამოყენებისას უკონტაქტო პლასტიკური **ბარათის ანგარიშზე** დაუშვას **ოვერდრაფტი** უკონტაქტო აპლიკაციის ლიმიტის ოდენობით;
- 3.3.12.6. უკონტაქტო პლასტიკური **ბარათის** გამოყენებისას **კლიენტის ანგარიშზე არავტორიზებული ოვერდრაფტის** წარმოქმნისთანავე, **ბანკი** უფლებამოსილია დაბლოკოს **კლიენტის** უკონტაქტო პლასტიკური **ბარათის ანგარიშები** ან/და უკონტაქტო აპლიკაცია (მათ შორის მგზავრობის საფასურის გადახდისათვის) საკუთარი შეხედულებისამებრ;
- 3.3.12.7. უკონტაქტო პლასტიკური **ბარათისათვის** ძირითადი **ანგარიშია** ქართული ლარი, თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს **კლიენტის** ხარჯზე, კონვერტაციის თარიღისათვის **ბანკში** დაწესებული კომერციული კურსით.
- 3.3.13. **ბარათის** 3D უსაფრთხოების მომსახურების პირობები
- 3.3.13.1. Visa International ან/და MasterCard International **ბარათის** მფლობელ პირებს, შესაბამისი განაცხადის შევსების საფუძველზე შეუძლიათ ისარგებლონ **ბარათის** 3D უსაფრთხოების მომსახურებით, რომელიც მოიცავს განაცხადით განსაზღვრულ მობილურ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონული ხელსაწყო დიჯიტალსზე ერთჯერადი კოდის გაგზავნას, რომელიც გამოყენებულ იქნება ინტერნეტ ტრანზაქციების უსაფრთხო შესრულების განსახორციელებლად;
- 3.3.13.2. **ბარათის** 3D უსაფრთხოების მომსახურება მოქმედებს შესაბამისი **ბარათის** ვადის ბოლომდე.

3.4. ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების კონკრეტული პირობები

3.4.1. ტერმინთა განსაზღვრებები: **3.4. პუნქტში** მოყვანილი სიტყვები შემდეგნაირად განიმარტება:

ანგარიშ(ებ)ი	კლიენტის ანგარიშ(ებ)ი , რომლ(ებ)ისთვისაც გააქტიურებულია ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების შესაბამისი სახე.
გადახდა	გადახდები, რომლებიც კლიენტმა უნდა აწარმოოს ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების ფარგლებში და რომლის შესაბამისი თანხების ჩამოჭრის უფლებაც ბანკს აქვს კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან , ხოლო თუ კლიენტის მიერ შესაბამის განაცხადში მითითებული იქნა კონკრეტული ანგარიშ(ებ)ი , მაშინ კონკრეტული ანგარიშ(ებ)იდან .
ელექტრონული შეტყობინება	ინტერნეტ-ბანკით მომსახურების შემადგენელი ნაწილი, რომლის საშუალებითაც ბანკი კლიენტს უგზავნის შეტყობინებებს შესაბამისი ინტერნეტ სისტემის მეშვეობით.
ინტერნეტ-ბანკის პირობები	ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები და/ან ნებისმიერი დამატებითი პირობები, რომლებიც შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს და რომელთა შესახებაც ბანკი აცნობებს კლიენტს ელექტრონული შეტყობინების საშუალებით.
მოხმარების წესები	ინტერნეტ-ბანკის ვებ-გვერდებზე მოცემული წესები და ინფორმაცია და/ან ნებისმიერი სხვა წესები, რომლებსაც გასცემს ბანკი ინტერნეტ-ბანკით მომსახურებასთან მიმართებაში, დროდადრო შეტანილი ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით.
ინფორმაცია	ინფორმაცია, რომელიც ბანკმა მიაწოდა ან მიაწვდის კლიენტს და რომლის მიწოდების პირობები კლიენტის მიერ მითითება შესაბამის განაცხადში ან/და განისაზღვრება ხელშეკრულების შესაბამისად.
ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების პირობები	3.4. პუნქტით გათვალისწინებული ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების კონკრეტული პირობები (მოიცავს ასევე, შესაბამის განაცხადს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ნებისმიერ ან ყველა სხვა დანართს თუ ინსტრუქციას, რომელიც შეიძლება მიაწოდოს ბანკმა კლიენტს . ეს პირობები ემატება იმ პირობებს (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების პირობებს), რომელთა მიღებაც კლიენტს მოეთხოვება (ნაწილობრივ ან მთლიანად) ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების შესაბამისი განაცხადის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსებამდე. რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების ამ პირობებს.

3.4.2. **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების** შემადგენელი ცალკეული დისტანციური არხით ან/სერვისით მომსახურების ფარგლები, **ოპერაციების** ჩამონათვალი და განხორციელების პირობები განისაზღვრება **ბანკის** მიერ და განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge. იმისათვის, რომ **კლიენტმა** შეძლოს:

- 3.4.2.1. მობილ-ბანკის და ts-kapp აპლიკაციის გამოყენება, **კლიენტს** უნდა გააჩნდეს სმარტფონი, წვდომა ინტერნეტთან და **უნივერსალური იდენტიფიკატორები**.
- 3.4.2.2. ტელეფონ-ბანკის გამოყენება, **კლიენტი** უნდა ფლობდეს ტელეფონის აპარატს და გააჩნდეს **უნივერსალური იდენტიფიკატორები**. ტელეფონ-ბანკით **მომსახურების** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებული სხვადასხვა მომსახურებით ავტომატური ტელეფონ-ბანკის სისტემის მეშვეობით ან ტელეფონ-ბანკით **მომსახურების** განმახორციელებელი **ბანკის** თანამშრომლის დახმარებით (შემდგომში - **ოპერატორი**) იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე **პირობების** დაკმაყოფილების შემდეგ **კლიენტი** აღნიშნული **მომსახურებით** სარგებლობისათვის დაუკავშირდება **ბანკს** ნომერზე: +995 32 2 444 444 (შემდგომში **ტელეფონ-ბანკის ნომერი**).
- შენიშვნა:** **ბანკი კლიენტს** სთავაზობს ტელეფონ-ბანკით **მომსახურებას ბანკის** სამუშაო საათებში. აღნიშნული პირობა შეიძლება დაირღვეს, თუ **ბანკში** საჭირო სისტემურ განახლებებთან დაკავშირებით სატელეფონო კავშირი დროებით გაითიშება. როდესაც ტელეფონ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობა შესაძლებელი გახდება სამუშაო საათების შემდეგ, **ბანკი** აღნიშნულის თაობაზე შეატყობინებს **კლიენტს**.
- 3.4.2.3. როდესაც **კლიენტი** უკავშირდება **ბანკს ტელეფონ-ბანკის ნომერზე**, აღნიშნული სატელეფონო ზარით **კლიენტი** ავტომატურად დაუკავშირდება **ბანკის** ტელეფონ-ბანკით **მომსახურებას**. თუ **კლიენტი** არ განახორციელებს არცერთ ავტომატურ ტელეფონ-ბანკით მომსახურების ინსტრუქციას, სისტემა **კლიენტს** დააკავშირებს **ოპერატორს**;
- 3.4.2.4. ინტერნეტ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობისას **კლიენტი** შედის ინტერნეტ-ბანკის გვერდზე და მიყვება შესაბამის **დავალებებს უნივერსალური იდენტიფიკატორის** გამოყენებით. ინტერნეტ-ბანკის ვებ გვერდის შესახებ ინფორმაციის მიღება **კლიენტს** შეეძლება **ბანკის** ოფიციალური ვებ გვერდიდან;
- 3.4.2.5. თუ რაიმე მიზეზის გამო ინტერნეტ-ბანკით **მომსახურება** შეზღუდულია, ინტერნეტ-ბანკით **მომსახურებით** შემდგომი სარგებლობისათვის **კლიენტი** უნდა მივიდეს **ბანკის** ოფისში სამუშაო საათების განმავლობაში ან დაუკავშირდეს **ბანკს** ტელეფონ-ბანკით **მომსახურების** საშუალებით;
- 3.4.2.6. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** წინასწარი შეტყობინების გარეშე ავტომატურად შეწყვიტოს **კლიენტის** ინტერნეტ-ბანკით **მომსახურება**, თუ:
- 3.4.2.6.1. **კლიენტს** აღარ აქვს **ბანკში** გახსნილი არცერთი ტიპის **ანგარიში**;
- 3.4.2.6.2. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული ინტერნეტ-ბანკით **მომსახურების** საკომისიო.
- 3.4.2.7. ინტერნეტ-ბანკით, ტელეფონ-ბანკით, ts-kapp აპლიკაციით და მობილ-ბანკით **მომსახურებისას ოპერაციის** განხორციელება ყოველთვის არ არის სინქრონული მიღებულ **დავალებასთან**. **კლიენტის დავალება** შეიძლება ვერ შესრულდეს ამ **დავალების** გაცემისთანავე. ზოგიერთი საკითხის დამუშავებას შეიძლება დაჭირდეს გარკვეული დრო, რაც შემთხვევებში კი განხორციელდეს მათი **ბანკისთვის** წარდგენიდან 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 3.4.3. ფულადი სახსრების გადარიცხვის და სხვა სახის **გადახდების** შესახებ **დავალებები ბანკის** მიერ შესასრულებლად მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული **დავალებები** შეესაბამება **კლიენტის ბანკთან** დადებულ **ხელშეკრულებას** და/ან **ბანკში** არსებულ შესაბამის წესებს ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით. აღნიშნული გადარიცხვები და **გადახდები** შესაძლოა არ განხორციელდეს **დავალების** მიღებისთანავე, მაგრამ **ბანკი** შესაბამის თანხებს სრული მოცულობით **კლიენტს ანგარიშ(ებ)იდან** ჩამოაჭრის ასეთი **დავალების** მიღებისთანავე. **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს გარკვეული ლიმიტები **კლიენტის** მიერ **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურებით** განხორციელებულ გადარიცხვებზე (როგორც **ბანკის** შიგნით, ასევე მის გარეთ). **ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული ლიმიტები ცვალოს პერიოდულად საკუთარი შეხედულებისამებრ;
- 3.4.4. **ბანკი** უფლებამოსილია დაუკავშირდეს **კლიენტს** მის **ანგარიშ(ებ)თან** დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. როდესაც **ბანკი** დაუკავშირდება **კლიენტს**, იგი არასოდეს დაუსვამს **კლიენტს** კითხვას და/ან მოსთხოვს მას ინფორმაციას **უნივერსალური იდენტიფიკატორების** შესახებ. **ოპერატორი კლიენტს** დაუსვამს კითხვებს **კლიენტის** შესახებ იმ ინფორმაციიდან, რომელიც არსებობს **ბანკში** (მაგ: **კლიენტის** მიერ განხორციელებულ **ოპერაციებზე**) და რომელიც **ოპერატორს** მისცემს **კლიენტის** იდენტიფიკაციის საშუალებას;
- 3.4.5. **კლიენტი** თანახმაა და აღიარებს, რომ მის მიერ ტელეფონ-ბანკით მომსახურებით სარგებლობის და/ან **ოპერატორთან** საუბრისას, წინამდებარე **პირობები** ვრცელდება **კლიენტსა** და **ბანკს** შორის არსებულ შესაბამის სატელეფონო საუბარზე, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შესაძლოა ეხებოდეს **კლიენტის ანგარიშ(ებ)ს** ან სხვა **ბანკის** მიერ იმ დროისათვის ან მომავალში **კლიენტისათვის** შეთავაზებულ პროდუქტებს;
- 3.4.6. უსაფრთხოების პირობები ტელეფონ-ბანკით მომსახურებისათვის
- 3.4.6.1. **ბანკის** მიერ **კლიენტის** წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული **დავალებების** ჯერჯერობდა შესრულების დასადასტურებლად, ტელეფონ-ბანკით **მომსახურების** სერვისის გასაუმჯობესებლად და **კლიენტის** უსაფრთხოების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია აწარმოოს **კლიენტის ბანკთან** არსებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერი. **კლიენტი** თანახმაა და აღიარებს, რომ აღნიშნული გზით მოპოვებული მონაცემები შესაძლოა **ბანკის** მიერ გამოყენებულ იქნეს მტკიცებულების სახით, წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას და აქვს იურიდიული ძალა.
- 3.4.6.2. როდესაც **კლიენტი** დაუკავშირდება **ბანკს ტელეფონ-ბანკის ნომერზე**, მას შესაბამისი ოპერატორი მოსთხოვს **უნივერსალური იდენტიფიკატორების** დასახელებას.
- 3.4.6.3. **ოპერატორი** განახორციელებს **ბანკში** დაწესებულ პროცედურებს რათა მოახდინოს **კლიენტის** იდენტიფიცირება. **ბანკი** ვერ შეძლებს მოემსახუროს **კლიენტს** თუ მიიჩნევს რომ **კლიენტის** იდენტიფიცირება შეუძლებელია.
- 3.4.6.4. **კლიენტის** მიერ **უნივერსალური იდენტიფიკატორების** ზედიზედ სამჯერ არასწორად გამოყენების შემთხვევაში, **კლიენტი** ვეღარ შეძლებს ტელეფონ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობას. ტელეფონ-ბანკით **მომსახურებით** შემდგომი სარგებლობისათვის **კლიენტი** უნდა მივიდეს **ბანკის** ოფისში სამუშაო საათების განმავლობაში.
- 3.4.6.5. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევებზე, როდესაც სატელეფონო საუბარი **კლიენტს** და **ბანკს** შორის კომპრომეტირებულია მესამე პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **ბანკი** მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.
- 3.4.6.6. **კლიენტის** მიერ ამ უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დაეყრდნოს **კლიენტის** ზეპირ **დავალებებს**, **ბანკი** არ არის ვალდებული გადაამოწმოს ან მოახდინოს **კლიენტის** შემდგომი იდენტიფიკაცია. **კლიენტი** ვერ შეედავება **ბანკს** ასეთი პრეზუმციის გამო. **კლიენტს** ეკისრება სრული პასუხისმგებლობა უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და **უნივერსალური იდენტიფიკატორების** საიდუმლოდ შენახვაზე. **უნივერსალური იდენტიფიკატორებით** მესამე ან სხვა პირის მიერ სარგებლობა ჩაითვლება **უნივერსალური იდენტიფიკატორებით** **კლიენტის** მიერ სარგებლობად.

- 3.4.7. უსაფრთხოების პირობები ინტერნეტ-ბანკით, ts-kapp აპლიკაციით და მობილ-ბანკით მომსახურებისათვის;
- 3.4.7.1. შესაბამის ვებ გვერდზე შესვლისას კლიენტი ვალდებულია არ დატოვოს ტერმინალი ან სხვა მოწყობილობა რომელიდანაც იგი შევიდა აღნიშნულ ვებ გვერდზე ჩართული და არ დაუშვას მესამე პირის მიერ აღნიშნული ვებ გვერდით ან ტერმინალით ან სხვა მოწყობილობით სარგებლობა მანამ სანამ კლიენტი არ გავა აღნიშნული ვებ-გვერდიდან და არ დარწმუნდება რომ მესამე პირების მიერ მისი გამოყენება შეუძლებელია
- 3.4.7.2. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ინტერნეტ-ბანკით, ts-kapp აპლიკაციით ან მობილ-ბანკით მომსახურების არავტორიზირებული გამოყენების შესახებ ან ნებისმიერი არავტორიზირებული ოპერაციის ან დაგალების შესახებ, რომლის თაობაზეც კლიენტმა შეიტყო ან გაუჩნდა ეჭვი, ან როდესაც კლიენტს აქვს ეჭვი, რომ მესამე პირისთვის გახდა ცნობილი მისი უნივერსალური იდენტიფიკატორები. ბანკის მოთხოვნის საფუძველზე, კლიენტი ვალდებულია დახმარება გაუწიოს ბანკს და/ან სამართალდამცავ ორგანოებს ინტერნეტ-ბანკით, ts-kapp აპლიკაციით ან მობილ-ბანკით მომსახურების არავტორიზირებული გამოყენების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში. ბანკი უფლებამოსილია პოლიციას ან სხვა მესამე მხარეს მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტის ან მისი ანგარიშ(ებ)ის შესახებ, თუ ბანკის მიიჩნევს, რომ ამ ინფორმაციის მიწოდება დაეხმარება ზარალის თავიდან აცილებას ან ანაზღაურებაში, კლიენტი თანახმაა ბანკის მიერ ზემოაღნიშნული ინფორმაციის ამგვარ მიწოდებაზე;
- 3.4.7.3. უსაფრთხოების მიზნებისთვის ბანკმა შესაძლოა დააწესოს ლიმიტები კლიენტის მიერ განსახორციელებელი ოპერაციების რაოდენობას ან მოცულობაზე. ბანკი კლიენტს ამცნობს აღნიშნული ლიმიტების მოცულობის ცვლილების შესახებ შესაბამისი დისტანციური არხით;
- 3.4.7.4. კლიენტი ვალდებულია დროულად შეატყობინოს ბანკს საცხოვრებელი მისამართის შეცვლის შესახებ და/ან იმის შესახებ, თუ მისი აზრით ამონაწერში დამცველთა შეცდომა ან განხორციელებულია არავტორიზირებული ოპერაცია. კლიენტი ასევე ვალდებულია ყუარდლებით შეამოწმოს ოპერაციების ჩანაწერები და ანგარიშ(ებ)ის ამონაწერები. იგი ვალდებულია რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს.
- 3.4.8. ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული ოპერაციების და კლიენტის ანგარიშ(ებ)ის შესახებ ამონაწერები აისახება ბანკის მიერ გაცემულ ამონაწერში, კლიენტი უფლებამოსილია მიიღოს აღნიშნული ამონაწერი ინტერნეტ-ბანკით მომსახურების მეშვეობით. ბანკს ასევე შეუძლია კლიენტს მიაწოდოს ამონაწერი ანგარიშის შესახებ ელექტრონულად ან სხვა საშუალებით;
- 3.4.9. კლიენტი აღიარებს და თანახმაა არ გამოიყენოს ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურება უკანონო გზით ან ისე, რომ შელახოს სხვა მხარის უფლებები (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბანკს);
- 3.4.10. ბანკის მიერ კლიენტის დაგალების საფუძველზე გადარიცხვის ან სხვა სახის ოპერაციის განხორციელებისათვის კლიენტს უნდა ჰქონდეს საკამრისი თანხები შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე;
- 3.4.11. ხელშეკრულების დადებით, კლიენტი მიმართავს და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს: ა) დაეყრდნოს და იმოქმედოს ყველა დაგალების შესაბამისად, რომელიც ავტორიზებული ექნა ან ბანკი ჩათვლის, რომ ავტორიზებულია კლიენტის მიერ იმ შემთხვევაშიც კი თუ ასეთი დაგალება ეწინააღმდეგება ნებისმიერ დროს გაცემულ ნებისმიერ სხვა მანდატს კლიენტის ანგარიშებთან ან მის საქონლობასთან მიმართებაში ბ) ჩამოჭრას კლიენტის ანგარიშებიდან ნებისმიერი თანხა, რომელიც ბანკმა გადაიხადა ან გაიღო ნებისმერი დაგალების შესაბამისად, რაც მოიცავს ყველა მომსახურების ხარჯს ანგარიშების მართვასთან და კლიენტის დაგალების შესაბამისად განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით;
- 3.4.12. ბანკი დაგალებას მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა მოხდა ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების და უნივერსალური იდენტიფიკატორების გამოყენების მეშვეობით. ბანკი უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული შეამოწმოს დაგალების ნამდვილობა;
- 3.4.13. კლიენტი აღიარებს და თანახმაა, რათა ბანკმა განახორცილოს კლიენტის მიერ მიწოდებული ნებისმიერი დაგალება, რაც მოიცავს ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოჭრას, იმ შემთხვევაშიც თუ დაგალების ავტორიზაცია კლიენტის მიერ არ მომხდარა. ამასთან, არავტორიზირებულ ოპერაციაზე ან დაგალებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება კლიენტს;
- 3.4.14. იმ შემთხვევაში, თუ განსახორციელებელი ოპერაციის ან დაგალების ღირებულება ბანკის მიერ დაწესებულ ლიმიტებს აღემატება, ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, დაუკავშირდეს კლიენტს და შეამოწმოს ოპერაციის ან დაგალების ავტორიზაცია. ბანკი ასევე უფლებამოსილია ასეთი ოპერაციის განხორციელება შეაჩროს მანამ სანამ არ შეამოწმებს მის ავტორიზაციას;
- 3.4.15. ბანკი უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, შეაჩროს ან შეწყვიტოს ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურება კლიენტისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ასე მაგალითად, თუ ბანკს აქვს ეჭვი რომ ირღვევა უსაფრთხოების ნორმები ან ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების შეჩერება მიზანშეწონილია სხვა მიზეზების გამო;
- 3.4.16. ბანკი მიიღებს ზომებს, რათა კლიენტის შეატყობინოს ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების დროებით შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში ელექტრონული შეტყობინებების ან სხვა საშუალებით;
- 3.4.17. კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე ბანკი მიიღებს ყველა ზომას, რათა დროულად შეაჩროს ან გააუქმოს ნებისმიერი დაგალების განხორციელება. ამასთან, ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ბანკი არ მიმართავს შესაბამის ზომებს;
- 3.4.18. კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს ბანკისათვის ნებისმიერი დაგალების სწორი და სრული მიწოდება, ბანკი თავისუფლდება აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან;
- 3.4.19. ბანკი კლიენტს აუნაზღაურებს ნებისმიერი ისეთი დაგალების შედეგად განხორციელებული ოპერაციის თანხას, რომლის გაგზავნისას უნივერსალური იდენტიფიკატორების გამოყენება მოხდა კლიენტის ავტორიზაციის გარეშე, გარდა 3.4.20 პუნქტში მოყვანილი შემთხვევებისა. ამასთან, ბანკის მიერ კლიენტისათვის აღნიშნული თანხის ანაზღაურების შედეგად ბანკს აღარ ეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე.
- 3.4.20. კლიენტი პასუხისმგებელია ნებისმიერ დაუდევარი ქმედებით გამოწვეულ ზარალზე (მოიცავს ნებისმიერი ისეთი ოპერაციის თანხას, რომელიც განხორციელდა კლიენტის ავტორიზაციის გარეშე) რითაც კლიენტმა ხელი შეუწყო არავტორიზირებული ოპერაციის განხორციელებას, ან თაღლითურად იმოქმედა. დაუდევარი ქმედება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ხელშეკრულებაში მოყვანილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევას;
- 3.4.21. მას შემდეგ რაც კლიენტი ბანკს შეატყობინებს ინტერნეტ-ბანკით მომსახურებით სარგებლობის შედეგად განხორციელებული არავტორიზირებული ოპერაციის თაობაზე ან იმის შესახებ, რომ კოდეტი გახდა ცნობილი მესამე პირისათვის, ან კლიენტს გაუჩნდა ეჭვი აღნიშნულის თაობაზე კლიენტი აღარ იქნება პასუხისმგებელი არავტორიზირებულ დაგალებაზე, რომელიც განხორციელდება ასეთი შეტყობინების მიღებიდან საკამრისი დროის შემდეგ, რათა ბანკს ჰქონდეს საკამრისი დრო ინტერნეტ ბანკის მომსახურების შესაჩერებლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკს შეუძლია დაამტკიცოს, რომ კლიენტი მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით;
- 3.4.22. ბანკი მიმართავს ყველა ზომას, რათა უზრუნველყოს კლიენტისთვის ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურებით მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე ბანკის კომპიუტერულ სისტემაში არსებულ ინფორმაციასთან, ან იმ შემთხვევაში თუ

გარკვეული ინფორმაცია მესამე მხარის მიერ არის მიწოდებული, აღნიშნული ინფორმაციის სიზუსტე მესამე მხარის მიერ **ბანკისათვის** მიწოდებულ ინფორმაციასთან. პროდუქტის რთული სახეობისა და **ბანკის** კონტროლს მიღმა არსებულ გარემოებათა გამო **ბანკი** არ იძლევა გარანტიას **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების** მეშვეობით მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე. ინტერნეტ-ბანკით **მომსახურების** მეშვეობით ხელმისაწვდომი ზოგიერთი ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეზე **ბანკი** შესაძლოა იხსნიდეს პასუხისმგებლობას რის შესახებაც მითითებული იქნება შესაბამის ვებ-გვერდზე. თუ **კლიენტი** ეყრდნობა ამგვარ ინფორმაციას, მან უნდა გაითვალისწინოს ამგვარი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება;

- 3.4.23. **ბანკს კლიენტის** წინაშე არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ:
- 3.4.23.1. **კლიენტს** არ აქვს საკმარისი თანხა **ანგარიშ(ებ)ზე** ან გახარჯული აქვს **ანგარიშ(ებ)ზე** დაშვებული **ოვერდრაფტის** ლიმიტი;
- 3.4.23.2. სისტემა სათანადოდ არ მუშაობდა და **კლიენტმა ოპერაციის** დაწყებამდე იცოდა ან უნდა სცოდნოდა აღნიშნული სისტემური გაუმართაობის შესახებ;
- 3.4.23.3. **ბანკის** კონტროლს მიღმა არსებული პირები ან ვითარება ხელს უშლის **ოპერაციის** განხორციელებას, **ბანკის** მიერ მიღებული ზომების მიუხედავად;
- 3.4.23.4. **ბანკს** არ მიუღია სრულყოფილი **დავალება** კონკრეტული **ოპერაციის** თაობაზე;
- 3.4.23.5. **ოპერაციის** განხორციელებისათვის საჭირო **ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხები ან მათი ნაწილი დაბლოკილია;
- 3.4.23.6. **ოპერაცია** გადააჭარბებს **ანგარიშ(ებ)ის** ან **ბანკის** მიერ დაწესებულ ლიმიტს;
- 3.4.23.7. თანხები ექვემდებარება სამართლებრივ შეზღუდვას;
- 3.4.23.8. **კლიენტი** არღვევს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ პირობებს;
- 3.4.23.9. **ბანკმა** არ განახორციელა **ოპერაცია**, იმ შემთხვევაში თუ აქვს ეჭვი თაღლითობის ან უკანონო ქმედების შესახებ.
- 3.4.24. **ბანკის** ჩანაწერები, წარმოადგენს **კლიენტის ბანკთან ურთიერთობის** მადასტურებელ საბუთს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩანაწერი აშკარად უზუსტობა. **კლიენტი** აღიარებს **ბანკის** მიერ განხორციელებულ ჩანაწერებს როგორც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული დოკუმენტები არ წარმოადგენს ორიგინალს;
- 3.4.25. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა რომ „საქართველოს ბანკი“ და **ბანკის** ლოგო წარმოადგენს რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს. **ბანკს** აქვს ლიცენზია და ფლობს ყველა საავტორო უფლებას **ბანკის** ვებ-გვერდზე, რომლის მეშვეობითაც **კლიენტი** სარგებლობს ინტერნეტ-ბანკით **მომსახურებით**;
- 3.4.26. **კლიენტი** პასუხისმგებელია ნებისმიერ სატელეფონო ხარჯზე და/ან ნებისმიერ ისეთი სახის ხარჯზე, რომელიც გამოწვეულია **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობისას ინტერნეტ პროვაიდერის მოხმარებით. **ბანკი კლიენტს** ჩამოაჭრის შესაბამის თანხას **კლიენტის დავალების** საფუძველზე განხორციელებული **ოპერაციისთვის** შესაბამისი **ანგარიშ(ებ)ის** ან სხვა **ოპერაციის** მარეგულირებელი ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად;
- 3.4.27. **ხელშეკრულების** გაფორმების დღისათვის **ბანკს** განსაზღვრული აქვს კონკრეტული ტარიფები **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობისათვის. ამასთან, **ბანკი** იტოვებს უფლებას მომავალში შეცვალოს ამგვარი ტარიფები ან დააწესოს ახალი ტარიფები შემდგომში დამატებული **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურებისათვის**. **ბანკი კლიენტს** შეატყობინებს ნებისმიერ ტარიფების ცვლილების/დაწესების შესახებ ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, **ბანკის** ვებ-გვერდის ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ნებისმიერი **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურება** აღნიშნული ტარიფების ცვლილებამდე/დაწესებამდე. თუ **კლიენტი** გადაწყვეტს გააგრძელოს **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურებით** სარგებლობა ტარიფების ცვლილების/დაწესების შემდეგ, ამგვარად **კლიენტი** უფლებას აძლევს **ბანკს** ჩამოაჭრას შესაბამისი სატარიფო თანხა ნებისმიერ **ანგარიშ(ებ)იდან**;
- 3.4.28. ვებ-გვერდი, რომლითაც **კლიენტი** უკავშირდება ინტერნეტ-ბანკით **მომსახურებას** შეიძლება შეიცვალოს. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს ამგვარი ცვლილებები **კლიენტისათვის** შეტყობინების გაგზავნის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც **მხარეები** შეთანხმდნენ აღნიშნული ცვლილების შეტყობინების თაობაზე;
- 3.4.29. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუზღავნოს უსაფრთხო შეტყობინება **ცენტრალიზებული დისტანციური საბანკო მომსახურების** შეტყობინებების სისტემის მეშვეობით. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუზღავნოს შეტყობინება იმ **ანგარიშ(ებ)ის**, პროდუქტებისა და **მომსახურების** შესახებ, რომლებსაც **კლიენტი** იყენებს **ბანკში**, რაც მოიცავს ცენტრალიზებულ **დისტანციური საბანკო მომსახურებასთან** ან სხვა **საბანკო** სერვისებთან დაკავშირებულ საკითხებს;
- 3.4.30. **კლიენტი** თანხმა და აცხადებს, რომ მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა **კლიენტის** ინტერნეტ პროვაიდერისა და/ან ნავიგატორის მეშვეობით **ბანკის** ვებ-გვერდთან დაკავშირებისას. **კლიენტის** შესაბამისი მოწყობილობების დამონტაჟება, შენახვა და ოპერირება, რაც მოიცავს **კლიენტის** კომპიუტერს, მოდემს და პროგრამულ უზურნველყოფას, ასევე ინტერნეტზე წვდომას მისი პროვაიდერის მეშვეობით **კლიენტის** პასუხისმგებლობაა. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მოწყობილობების ან პროგრამული უზურნველყოფის გაუმართაობით გამოწვეულ ნებისმიერ შეუსრულებლობაზე. **ბანკი** აგრეთვე არ არის პასუხისმგებელი ვირუსზე ან სხვა მსგავს პრობლემაზე, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტ-ბანკით **მომსახურებასთან**. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომელიც გამოწვეულია **კლიენტის** პროგრამული უზურნველყოფის ან მოწყობილობის **ბანკის** სისტემასთან შეუსაბამისობით. **ბანკი** იტოვებს უფლებას შეცვალოს სისტემური მოწყობილობების მოთხოვნები. **ბანკი კლიენტს** გაუზღავნის შეტყობინებას აღნიშნული სისტემური მოწყობილობების მოთხოვნების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, თუ ამგვარი ცვლილება ხელს შეუშლის ან შეუზღუდავს **კლიენტს** ინტერნეტ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობას;
- 3.4.31. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ზარალზე ან ზიანზე, რომელიც მიადგა **კლიენტის** მონაცემებს, პროგრამულ უზურნველყოფას, კომპიუტერს, ტელეკომუნიკაციებს ან სხვა მოწყობილობებს და რაც გამოწვეულია **კლიენტის** მიერ ინტერნეტ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი ზარალის მიზეზი არის **ბანკის** დაუდევრობა ან განზრახ ქმედება. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე ელექტრონულ ვირუსზე ან ვირუსებზე, რომელიც შეიძლება აღმოაჩნდეს **კლიენტის** მოწყობილობებს. **ბანკის** რეკომენდირებით **კლიენტისათვის** სასურველია რეგულარულად გაუკეთოს სკანირება თავის კომპიუტერს, დისკებს და ინფორმაციის შესანახ სხვა მოწყობილობებს სათანადო ანტი-ვირუსის მეშვეობით, იმისათვის, რომ მოხდეს ვირუსის აღმოჩენა და წაშლა. ვირუსმა შესაძლოა გაანადგუროს **კლიენტის** პროგრამები, ფაილები, ასევე **კლიენტის** კომპიუტერი. გარდა ამისა, **კლიენტმა** შესაძლოა უნებლიედ გადააგზავნოს ვირუსი სხვა კომპიუტერებზე.
- 3.4.32. ზოგადი დებულებები
- 3.4.32.1. ამ **პირობების** სხვა მუხლების/პუნქტების დებულებები შეეხება **3.4. პუნქტის** პირობებს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამგვარი მუხლები გულისხმობს **მე-4 მუხლს** (**კლიენტის** განცხადებები), **მე-6 მუხლს** (გადასახადები), **მე-7 მუხლს** (ძალაში შესვლის თარიღი და ვადა), **მე-8 მუხლს** (მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა), **მე-9 მუხლს** (ინფორმაციის გამოყენება და გაცვლა/კონფიდენციალურობა) და **მე-10 მუხლს** (ზოგადი დებულებები).

3.5. SMS-ბანკით მომსახურების კონკრეტული პირობები

3.5.1. ტერმინთა განსაზღვრებები: **3.5. პუნქტში** მოყვანილი სიტყვები შემდეგნაირად განიმარტება:

გადახდა	გადახდები, რომლებიც კლიენტმა უნდა აწარმოოს SMS-ბანკით მომსახურების გამოყენებისთვის და რომლის შესაბამისი თანხების ჩამოჭრის უფლებაც ბანკს აქვს კლიენტის მიერ SMS-ბანკის განაცხადში მითითებული SMS-ბანკის ანგარიშ(ებ)იდან.
ინფორმაცია	ინფორმაცია, რომელიც ბანკმა მიაწოდა ან მიაწვდის კლიენტს თუ, როგორც და როდესაც კლიენტი მიუთითებს SMS-ბანკის განაცხადში კლიენტის ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებით (როგორც ეს ქვემოთ არის განსაზღვრული).
SMS-ბანკით მომსახურება	ნებისმიერი და ყველა სახის მომსახურება, რომელიც მიეწოდება და არჩეულია კლიენტის მიერ SMS-ბანკის განაცხადში და რომელიც მოიცავს კლიენტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას და გადახდების წარმოებას.
SMS-ბანკის განაცხადი	განაცხადი, რომელსაც ავსებს კლიენტი SMS-ბანკით მომსახურების ჩასართავად და რომელშიც მითითებულია აღნიშნული მომსახურებისთვის საჭირო კონკრეტული პარამეტრები.
SMS-ბანკით მომსახურების პირობები	3.5. პუნქტით გათვალისწინებული SMS-ბანკით მომსახურების კონკრეტული პირობები (მოიცავს ასევე, SMS-ბანკის განაცხადს) და ნებისმიერ ან ყველა სხვა დანართს თუ ინსტრუქციას, რომელიც შეიძლება მიაწოდოს ბანკმა კლიენტს. ეს პირობები ემატება იმ პირობებს (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დისტანციური საბანკო მომსახურების პირობებს), რომელთა მიღებაც კლიენტს მოეთხოვება (ნაწილობრივ ან მთლიანად) SMS-ბანკის განაცხადის შევსებამდე. რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება SMS-ბანკით მომსახურების ამ პირობებს.
მოკლე ტექსტური შეტყობინება	საქართველოში მოქმედი მობილური კავშირის პროვაიდერების მომსახურება მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ან/და სხვა მსგავსი ელექტრონული კომუნიკაციის მეთოდი, რომელსაც სთავაზობს ან შეიძლება შესთავაზოს აღნიშნული მობილური კავშირის პროვაიდერებმა.
ტელეფონი	მობილური ტელეფონი, რომელსაც ფლობს კლიენტი, რომელსაც აქვს ხმოვანი და მონაცემთა გაცვლის ფუნქცია და რომელსაც გააჩნია ბანკში რეგისტრირებული ტელეფონის ნომერი.
3.5.2.	SMS-ბანკით მომსახურების ფარგლები:
3.5.2.1.	ბანკი კლიენტს მიაწვდის SMS-ბანკით მომსახურებას კლიენტის მიერ SMS-ბანკის განაცხადში მითითებული მოთხოვნების და/ან შევსებული შესაბამისად;
3.5.2.2.	იმისათვის, რომ შეძლოს SMS-ბანკით მომსახურების გამოყენება, კლიენტს უნდა ჰქონდეს ტელეფონი და შესაბამისი ნომერი, რომლის მეშვეობითაც იგი გააგზავნის დავალებებს ან/და მიიღებს ინფორმაციას. გარდა ამისა, კლიენტმა ხელმოწერით ან პირობების 3.1.12 პუნქტით გათვალისწინებული სმს-კოდით უნდა დაადასტუროს SMS-ბანკით მომსახურების განაცხადი.
შენიშვნა:	კლიენტის დავალება შეიძლება ვერ შესრულდეს ამ დავალების გაცემისთანავე. ზოგიერთი საკითხის დამუშავებას შეიძლება დაჭირდეს გარკვეული დრო, რიგ შემთხვევებში კი განხორციელდეს მათი ბანკისთვის წარდგენიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა სამუშაო საათების შემდეგ მოხდა.
3.5.2.3.	ინფორმაციაზე დაყრდნობა და მოქმედების უფლებამოსილება:
3.5.2.3.1.	კლიენტს გაცნობიერებული აქვს, რომ ბანკისთვის მიწოდებული ტელეფონის ნომერი კლიენტის მფლობელობაშია და, თუ კლიენტი არ შეატყობინებს ბანკს ამ ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, აღნიშნული ტელეფონიდან გაგზავნილი/მიღებული ინფორმაცია ჩაითვლება კლიენტის მიერ გაგზავნილად/მიღებულად;
3.5.2.3.2.	კლიენტი ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ტელეფონის ნომრის ცვლილების, ტელეფონის დაკარგვის, კლიენტის მიერ ტელეფონზე მფლობელობის გაუქმების ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მიერ კლიენტისთვის SMS-ბანკით მომსახურების მიწოდებაზე;
3.5.2.3.3.	კლიენტი ნებისმიერ ვითარებაში პასუხისმგებელი იქნება ბანკში ტელეფონიდან გაგზავნილ დავალებებზე და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს: ა) შესარულოს დავალებები და დაამუშავოს ნებისმიერი ან ყველა ოპერაცია, მიიღოს SMS-ბანკით მომსახურების გადასახადი ან გადაუხადოს თანხები მესამე მხარეებს, ისე, როგორც ამას კლიენტი მოითხოვს; ბ) მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ განახორციელოს დავალებები, რაც, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებას და გადაცემას, იმ შემთხვევების გარდა, თუ ამგვარი დავალებების მიღებამდე კლიენტმა ბანკს შეატყობინა ტელეფონთან დაკავშირებული რაიმე ცვლილების შესახებ და ინფორმაცია ამგვარი ცვლილების შესახებ ბანკში წერილობით იქნა გაგზავნილი და ბანკში დაფიქსირდა. შესაბამისად, კლიენტი არ შეედავება ბანკს ამ უკანასკნელის მიერ დავალების შესასრულებად განხორციელებულ რაიმე ქმედებაზე.
3.5.3.	ინფორმაციის შენახვა და გამოყენება:
3.5.3.1.	კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ბანკს, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეუძლია ჩაიწეროს ნებისმიერი ან ყველა დავალება, რომელიც მიღებულ ან გაგზავნილ იქნა ტელეფონის მეშვეობით და შეინახოს ამგვარი ინფორმაცია იმ სახით და ფორმით, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს. კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკს შეუძლია დაეყრდნოს ასეთ ინფორმაციას და გამოიყენოს ნებისმიერი სასამართლო პროცესისას როგორც მტკიცებულება.
3.5.4.	მომსახურების შეთავაზების და ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება:
3.5.4.1.	კლიენტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას გააგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები კლიენტის ტელეფონზე SMS-ბანკის მომსახურების პირობების დაცვით, სანამ ბანკი სხვაგვარ წერილობით მითითებას არ მიიღებს კლიენტისგან;
3.5.4.2.	კლიენტს გაცნობიერებული აქვს და ადასტურებს, რომ მან წაიკითხა SMS-ბანკის მომსახურების პირობები, ასევე, წაიკითხავს ინფორმაციას ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელიც შევა აღნიშნულ პირობებში და გაეგზავნება კლიენტს;

- 3.5.4.3. **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს, რომ **ბანკს** შეუძლია მომავალში შეასწოროს ან შეცვალოს **SMS-ბანკის მომსახურების პირობები** ან/და **ხელშეკრულების** სხვა დებულებები და თანახმაა, უპირობოდ მიიღოს შეცვლილი **SMS-ბანკით მომსახურების პირობები**. ამასთან, **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს, რომ თუ **კლიენტი** გადაწყვეტს რაიმე **ოპერაციის** განხორციელებას ან **ოპერაციის** განხორციელების შესახებ **დავალების** გაცემას, **კლიენტზე** გავრცელდება **SMS-ბანკის მომსახურების** იმ დროისათვის **ბანკში** მოქმედი პირობები.
- 3.5.4.4. **კლიენტი** უფლებამოსილია **SMS-ბანკით მომსახურება** მიიღოს ერთზე მეტ ტელეფონის ნომერზე, რომელთაგან **კლიენტი** აირჩევს ძირითად ნომერს/ნომრებს და დამატებით ნომერს/ნომრებს.
- 3.5.4.5. **პირობების 3.5.4.4** პუნქტით გათვალისწინებულ ძირითადი ან/და დამატებითი ნომრ(ებ)ის მეშვეობით **SMS-ბანკით მომსახურების** რეგისტრაციის/ცვლილების სმს კოდით დადასტურება შესაძლებელია, როდესაც **კლიენტი** სარგებლობს ან/და ეთანხმება ისარგებლოს **ბანკის** არსებული და სამომავლო პროდუქტებით, **ანგარიშ(ებ)ზე** ნაშთის, სასესხო დავალიანების ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღების ჩათვლით. **პირობების 3.5.4.4** პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად ნომერზე იქნება შესაძლებელი ფულადი გზავნილების სისტემა „ელვა“-ს **გზავნილის** გაგზავნა.
- 3.5.5. **ბანკის** მიერ **SMS-ბანკის მომსახურების პირობების** შესრულება:
- 3.5.5.1. **ბანკი** შეეცდება შეასრულოს **კლიენტის**გან მიღებული ყველა **დავალება**. ამასთან, **ბანკი** არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მიღებული **დავალების** შესრულება არ დაყოვნდება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ **ბანკის** მიერ **დავალებების** შესრულება დამოკიდებულია სხვადასხვა ელექტრონულ ტექნოლოგიაზე, რომელსაც **ბანკს** **შუამავლები** აწვდიან. შესაძლებელია, **კლიენტის**გან **დავალების** მიღება და/ან **კლიენტისთვის ინფორმაციის** გადაგზავნა დაგვიანდეს. **ბანკი** არ იძლევა იმის გარანტიას, რომ **კლიენტისგან დავალებას** ყოველთვის მიიღებს. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, ზიანზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხარჯებზე, რომელიც **კლიენტმა** მიიღო ამგვარი დავციანების შედეგად;
- 3.5.5.2. **დავალებების** დამუშავება და შესრულება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები/ლიმიტი **კლიენტის SMS-ბანკის ანგარიშ(ებ)ზე**. თუ საკმარისი თანხები/ლიმიტი არ არსებობს, **ბანკი** არ არის ვალდებული შეასრულოს **დავალება**;
- 3.5.5.3. **ბანკი** არ აგებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და იგი არ იქნება მხარე არც ერთ ხელშეკრულებაში, რომელიც შეიძლება დადონ **კლიენტმა** და ამგვარი მომსახურების მოწოდებელმა. **კლიენტისთვის** ამგვარი მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მობილური სატელეფონო მომსახურების მოწოდებელი. **ბანკი** არ იქნება მხარე არანაირ დავაში, რომელიც შეიძლება წარმოიშვას **კლიენტსა** და აღნიშნულ მობილური სატელეფონო მომსახურების მოწოდებელს შორის;
- 3.5.5.4. **ბანკს** უფლება აქვს ჩამოჭრას **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან SMS-ბანკით მომსახურების** გადასახადი უაქცეპტო წესით ან თუ თანხები საკმარისი არ აღმოჩნდება, მიიღოს **კლიენტის** მიერ გადასახდელი თანხები ნებისმიერი ფორმით, როგორც საჭიროდ მიიჩნევს (მოიცავს თანხების ჩამოჭრას ნებისმიერი სხვა ანგარიშიდან, რომელიც **კლიენტს ბანკში** აქვს გახსნილი);
- 3.5.5.5. **ბანკი** დაეყრდნობა **კლიენტისგან მოკლე ტექსტური შეტყობინებით** მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ **დავალებას** და **ბანკი** არ იქნება ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნის პიროვნება ან **მოკლე ტექსტური შეტყობინების** ნამდვილობა. შესაბამისად, **კლიენტი** არანაირ ვითარებაში არ შეეძლება **ბანკს** იმის გამო, რომ იგი ეყრდნობა ამგვარ **დავალებებს**. **კლიენტი** პასუხისმგებელია **ტელეფონის** არავტორიზირებულ გამოყენებაზე მესამე პირების მხრიდან. მხოლოდ **კლიენტია** პასუხისმგებელი, შეატყობინოს **ბანკს** წერილობით **ტელეფონთან** დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნომრის შეცვლას და სხვა) შესახებ და **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი ან ვალდებული არანაირ ზარალზე, ზიანზე ან ხარჯზე, რომელიც **კლიენტს** მიადგა/გაიღო იმის გამო, რომ დროულად არ შეასრულა ზემოაღნიშნული;
- 3.5.5.6. **ბანკი** იტოვებს უფლებას, მაგრამ არ არის ვალდებული, პერიოდულად განახორციელოს ცვლილებები, გააუმჯობესოს ან/და შეცვალოს **SMS-ბანკის მომსახურება**;
- 3.5.5.7. **ბანკი** იტოვებს უფლებას პერიოდულად, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, დააწესოს დამატებითი გადასახადები **SMS-ბანკის მომსახურების** ნებისმიერ ან/და ყველა სახის **მომსახურებაზე**;
- 3.5.5.8. **კლიენტი ბანკს** მიაწვდის ყველა სახის ინფორმაციას და გაუწევს სათანადო სახის დახმარებას იმისათვის, რომ **ბანკმა** შეასრულოს **SMS-ბანკის მომსახურებით** გათვალისწინებული ვალდებულებები;
- 3.5.5.9. **ბანკს** შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, მიიღოს ნებისმიერი სახის **ოპერაციის** ან **დავალების** გაუქმების მოთხოვნა **კლიენტისგან** იმის გათვალისწინებით, თუ **ბანკს** ჯერ არ დაუწყია აღნიშნული **ოპერაციის** ან **დავალების** განხორციელება. **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი დავციანებულ გადასახადზე ან ხარჯზე (პირდაპირი თუ არაპირდაპირი), რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამგვარი გაუქმებით. **კლიენტი** არ შეეძლება **ბანკს** იმ მეთოდის ან ფორმის შესახებ, რომლითაც **ბანკმა** შეიძლება განახორციელოს ამგვარი გაუქმება.
- 3.5.6. ზარალის ანაზღაურება, პასუხისმგებლობის შეზღუდვა, გარანტიის არარსებობა
- 3.5.6.1. თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული **SMS-ბანკის მომსახურების** პირობებში ზარალის ანაზღაურების და პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ დებულებები, რომლებიც მითითებულია ქვემოთ მოყვანილ **მე-5 მუხლში** მისადაგება **SMS-ბანკის მომსახურებასა**;
- 3.5.6.2. **ბანკი SMS-ბანკის მომსახურებასთან** დაკავშირებით არ იძლევა არანაირ გარანტიას მესამე მხარის უფლებების დაურღვევლობასთან დაკავშირებით.
- 3.5.7. ზოგადი დებულებები:
- შენიშვნა:** ამ **პირობების** სხვა მუხლების/პირობების დებულებები მიესადაგება **SMS-ბანკით მომსახურების პირობებსა**. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამგვარი მუხლები გულისხმობს **მე-4 მუხლს (კლიენტის განცხადებები)**, **მე-6 მუხლს (გადასახადები)**, **მე-7 მუხლს (მალაში შესვლის თარიღი და ვადა)**, **მე-8 მუხლს (მარგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა)**, **მე-9 მუხლს (გამოყენება და გაცვლა/კონფიდენციალურობა)** და **მე-10 მუხლს (ზოგადი დებულებები)**.
- 3.5.7.1. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** წინასწარი **შეტყობინების** გარეშე ავტომატურად შეწყვიტოს **კლიენტის SMS-ბანკით მომსახურება**, თუ:
- 3.5.7.1.1. **კლიენტს** აღარ აქვს **ბანკში** გახსნილი არცერთი ტიპის ანგარიში;
- 3.5.7.1.2. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული **SMS-ბანკით მომსახურების** საკომისიო;
- 3.5.7.2. **SMS-ბანკით მომსახურების** ავტომატური შეწყვეტა მოხდება ზემოაღნიშნული პირობებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში.
- 3.6. ონლაინ გადახდებით მომსახურება**
- 3.6.1. ონლაინ-გადახდებით **მომსახურება კლიენტს** შესაძლებლობას აძლევს გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, აგრეთვე შეიძინოს გარკვეული სახის საქონელი და მომსახურება **ზარათების** გამოყენებით. ონლაინ გადახდებით **მომსახურებით** სარგებლობა **კლიენტს** შეუძლია ვებ-გვერდის: www.epay.ge მეშვეობით;

3.6.2. ონლაინ გადახდებით მომსახურების გააქტიურება ავტომატურად მოხდება საბანკო მომსახურების ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე. ონლაინ გადახდებით მომსახურების კონკრეტული პირობები განთავსდება ვებ-გვერდზე: www.epay.ge და კლიენტი უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს ონლაინ გადახდებით მომსახურებით მხოლოდ აღნიშნულ პირობებზე თანხმობის გაცხადების შემთხვევაში.

3.7. მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურება

3.7.1. მუდმივი საგადასახადო დავალებით სარგებლობის უფლება ენიჭება როგორც უნივერსალური, ისე სტანდარტული მიმდინარე ანგარიშის მფლობელებს, ავტომატურად, უნივერსალური ან სტანდარტული ანგარიშის გახსნისთანავე და ამ უფლების გააქტიურება მოხდება მხოლოდ კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადების შევსების საფუძველზე;

3.7.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურების მოთხოვნისას კლიენტს შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს წინასწარ განსაზღვრული თანხები ან ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხების წინასწარ შეთანხმებული ნაწილი წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშ(ებ)ზე წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში;

3.7.3. მუდმივი საგადასახადო დავალების ჩართვა კლიენტისათვის მოხდება მის მიერ განაცხადის შევსების შემდეგ, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად;

3.7.4. კლიენტის ამგვარი მუდმივი საგადასახადო დავალების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე არსებობს თუ არა საკმარისი თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე, რომლებიც მითითებულია შევსებული მუდმივი საგადასახადო დავალების განაცხადის ფორმაში. მუდმივი საგადასახადო დავალების შესასრულებლად საკმარისი თანხის პირობების 3.7.2. პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშზე არარსებობის შემთხვევაში დავალება შესრულებდა მომდევნო პერიოდის დადგომისას.

3.7.5. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურების სააბონენტო საკომისიო;

3.7.6. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის წინასწარი შეტყობინების გარეშე ავტომატურად შეწყვიტოს მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურება, თუ:

3.7.6.1. დაიხურა ანგარიშ(ებ)ი საიდანაც ხდებოდა მუდმივი საგადასახადო დავალებით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა/მიღება;

3.7.6.2. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურების საკომისიო;

შენიშვნა: მუდმივი საგადასახადო დავალებით მომსახურების ავტომატური შეწყვეტა მოხდება ზემოაღნიშნული პირობებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში.

3.8. ავტომატური გადახდებით მომსახურების კონკრეტული პირობები

3.8.1. ტერმინთა განსაზღვრებები: **3.8. პუნქტში** მოყვანილი სიტყვები შემდეგნაირად განიმარტება:

ავტომატური გადახდებით მომსახურება	ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშიდან, მისი ერთჯერადი დავალების საფუძველზე და ამ დავალების მოქმედების პერიოდში წინასწარ განსაზღვრული პროვადიერ(ებ)ისადმი, კლიენტის მიერ განსაზღვრული აბონენტების გადასახადების გადახდა კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ამგვარი დავალების შესრულების მომენტში არსებული ხელმისაწვდომი თანხის ფარგლებში.
დავალება	კლიენტის მიერ ბანკისათვის მიცემული პერიოდულად განმეორებადი დავალება ავტომატური გადახდებით მომსახურების შესახებ. ერთი დავალების ფარგლებში პერიოდულად განმეორებადი გადახდები სრულდება ერთ კონკრეტულ აბონენტზე, ერთი კონკრეტული ტიპის გადასახადისა (ფიქსირებული ან ცვალებადი თანხა) და ერთი კონკრეტული ბილინგის დღის ტიპის (ფიქსირებული ან ცვალებადი თარიღი) სახით.
კლიენტი	ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც ბანკში მინიმუმ ერთი მიმდინარე უნივერსალური ანგარიში მაინც აქვს გახსნილი და სარგებლობს ავტომატური გადახდებით მომსახურებით.
პროვადიერი კომპანია	კომუნალური, საკომუნიკაციო ან სხვა ტიპის მომწოდებელი კომპანია, რომლის გადასახადებსაც იხდის კლიენტი ავტომატური გადახდებით მომსახურების საშუალებით.
აბონენტი	ფიზიკური პირი, რომელსაც მომსახურებას უწევს პროვადიერი კომპანია.
გადასახად(ებ)ი	ფულადი სახსრები, რომელსაც კლიენტი გადაუხდის პროვადიერ კომპანიას გაწეული და/ან გასაწევი მომსახურების მთლიანად და/ან ნაწილობრივ ასანაზღაურებლად.
საბილინგო სისტემა	პროვადიერი კომპანიის მონაცემთა ბაზა, სადაც ცალ-ცალკე (გამოყოფილად) მოცემულა ყველა აბონენტის ანგარიში და რომელზედაც ბანკს გააჩნია პროვადიერი კომპანიისგან დამკვეთი წვდომის ელექტრონული საშუალება.
ბილინგის დღე	დღე, როდესაც პროგრამა იწყებს დავალების შესრულებას.

3.8.2. ავტომატური გადახდებით მომსახურებით სარგებლობის უფლება ენიჭება უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის მფლობელ კლიენტებს. ავტომატურად, უნივერსალური ანგარიშის გახსნისთანავე და ამ უფლების გააქტიურება მოხდება მხოლოდ კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადის შევსების საფუძველზე.

3.8.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომატური გადახდებით მომსახურების მოთხოვნისას კლიენტი ბანკს აძლევს ერთ ან რამდენიმე დავალებას, კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს ამავე თარიღისათვის ავტომატური გადახდებით მომსახურებაში ჩართული პროვადიერი კომპანი(ებ)ის მიმართ დაფიქსირებული დავალიანების დასაფარი თანხები;

3.8.4. ავტომატური გადახდებით მომსახურების ჩართვა კლიენტისათვის მოხდება მის მიერ შესაბამისი განაცხადის შევსების საფუძველზე, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად;

3.8.5. კლიენტი უფლებამოსილია დავალების შესრულების ანგარიშად აირჩიოს უნივერსალური საკრედიტო ბარათის ანგარიში. ამასთან, დავალების შესრულების ანგარიშებად შესაძლოა არჩეულ იქნეს მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ სამი ანგარიში. ანგარიშების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს კლიენტი შესაბამისი განაცხადების საფუძველზე, ამასთან თუ ნებისმიერი მიზეზით გაუქმდა/დაიხურა რომელიმე ანგარიში, შემდგომში მის ადგილს პრიორიტეტულობის ნუსხაში იკავებს პრიორიტეტულობის რიგითობით შემდეგი ანგარიში და ა.შ., თუ პრიორიტეტულობის ნუსხაში ჩანაცვლებული ანგარიშის

- შესაბამისი პრიორიტეტის **ანგარიშად** გამოყენება დაუშვებელია მოქმედი კანონმდებლობით ან **ბანკში** არსებული წესების და პირობების საფუძველზე, მის ადგილს იკავებს შემდგომი პრიორიტეტის მქონე **ანგარიში**;
- 3.8.6. **დავალების** შესრულების **ანგარიშებს** შორის განისაზღვრება ძირითადი **ანგარიში**. ძირითადი **ანგარიშის** სახით მიეთითება მხოლოდ სალარე **ანგარიში**. თუ ამ **ანგარიშზე დავალების** შესასრულებლად თანხები იქნება არასაკმარისი ან სრულად ამოწურული, თანხების საჭირო ნაწილი შეივსება დანარჩენი **ანგარიშებიდან ავტომატური გადახდებით მომსახურების** შესახებ **განაცხადში** მითითებული თანმიმდევრობის შესაბამისად;
- 3.8.7. **დავალების** შესრულება და/ან მის შესასრულებლად საჭირო თანხების გადმოტანა დანარჩენი **ანგარიშ(ებ)იდან** არ განხორციელდება მომდევნო **საბილინგო დღემდე**, თუ **დავალების** შესრულების დღეს ძირითად **ანგარიშზე** დადგენილი მინიმალური ნაშთი დარღვეულია;
- 3.8.8. თუ **დავალების** შესრულების **ანგარიშად კლიენტმა** აირჩია უნივერსალური **ანგარიში**, **დავალება** განხორციელდება სალარე **ანგარიშიდან**, თუ ამ **ანგარიშზე** თანხები იქნება არასაკმარისი ან სრულად ამოწურული, თანხების საჭირო ნაწილი დანარჩენი **ანგარიშ(ებ)იდან** სალარე **ანგარიშზე** თანხების გადასატანად ჩამოიჭრება შემდეგი თანმიმდევრობით: აშშ დოლარი, ევრო, ინგლისური გირვანქა სტერლინგი;
- 3.8.9. თუ **დავალების** ან მისი ნაწილის შესრულება ხდება უცხოური ვალუტის **ანგარიშიდან**, თანხის ჩამოჭრა მოხდება მიმდინარე მომენტისათვის **ბანკში** დაფიქსირებული კომერციული კურსით;
- 3.8.10. **დავალების** შესრულების **ანგარიშს** ირჩევს **კლიენტი**, მაგრამ მის მიერ **ბანკისათვის** ერთდროულად რამდენიმე **დავალების** მიცემის შემთხვევაში ყველა ამ **დავალებისთვის** შესაძლოა შერჩეულ იქნეს მხოლოდ ერთი, საერთო **ანგარიში**;
- 3.8.11. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკისთვის** რამდენიმე **დავალების** მიცემისას შესაბამის **განაცხადში** განსაზღვროს თითოეული **დავალების** პრიორიტეტი;
- 3.8.12. ერთსა და იმავე **ბილინგის დღეს** დაფიქსირებული რამდენიმე **დავალების** შესრულება **ბანკის** მიერ განხორციელდება **კლიენტის** მიერ შესაბამის **განაცხადში** დაფიქსირებული პრიორიტეტულობის შესაბამისად;
- 3.8.13. ერთსა და იმავე **ბილინგის დღეს** დაფიქსირებულ რამდენიმე **დავალებას** შორის პრიორიტეტის მიუხედავად უფრო დაბალი პრიორიტეტის **დავალება** მაინც შესრულდება, თუ **ანგარიშზე** არსებული თანხა არ იყო საკმარისი უფრო მაღალპრიორიტეტული ამოგანის შესასრულებლად, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა დაბალპრიორიტეტული ამოგანისათვის.
- 3.8.14. ერთი **დავალების** ფარგლებში **კლიენტი** უფლებამოსილია აირჩიოს **დავალების** შესრულების კონკრეტული ან ცვალებადი **ბილინგის დღე**, აგრეთვე **გადასახად(ებ)ის** გადახდის ფიქსირებული ან ცვალებადი თანხა. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **დავალების** შესრულების ცვალებადი **ბილინგის დღე კლიენტმა** შეიძლება აირჩიოს, მხოლოდ **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში;
- 3.8.15. **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკისთვის** მიცემული თითოეული **დავალებისთვის** განსაზღვროს **დავალების** შესრულების მაქსიმალური თანხა. აირჩიოს მომდევნო საბილინგო დღემდე შესრულდეს თუ არა **დავალება** იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახად(ებ)ის ოდენობა აღემატება **დავალების** შესრულების მაქსიმალურ თანხას ან აირჩიოს **დავალების** შესრულება მხოლოდ შესრულების მაქსიმალური თანხის ფარგლებში;
- 3.8.16. მიუხედავად იმისა, **ავტომატური გადახდებით მომსახურების** ფარგლებში **კლიენტი** **ბანკს** რამდენ **დავალებას** მისცემს, **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **ავტომატური გადახდებით მომსახურების** სააბონენტო საკომისიო. საკომისიო აიღება იმ შემთხვევაშიც, თუ გასული თვისათვის **კლიენტს** **ავტომატური გადახდებით მომსახურება** ჩართული ჰქონდა, მაგრამ საკომისიოს ადების მომენტისათვის რაიმე მიზეზით მისით აღარ სარგებლობს;
- 3.8.17. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** წინასწარი **შეტყობინების** გარეშე ავტომატურად შეწყვიტოს **კლიენტის ავტომატური გადახდებით მომსახურება**, თუ:
- 3.8.17.1. მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული **ავტომატური გადახდებით მომსახურების** საკომისიო;
- 3.8.17.2. დაიხურა **ანგარიშ(ებ)ი** საიდანაც ხდებოდა **ავტომატური გადახდებით მომსახურებისათვის** გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა/მიღება, **ბარათს** გაუვიდა ვადა ანდა დაიხურა/შეიცვალა მიმღების რაიმე ისეთი რეკვიზიტი რაც გავლენას ახდენს **ავტომატური გადახდებით მომსახურებაზე**;
- 3.8.18. **ავტომატური გადახდებით** კონკრეტული **მომსახურების** ავტომატური შეწყვეტა მოხდება ზემოაღნიშნული პირობებიდან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში;
- 3.8.19. **კლიენტი** უფლებამოსილია, ცვლილება შეიტანოს **ავტომატური გადახდებით მომსახურების** ფარგლებში **ბანკისთვის** მიცემულ **დავალებაში**, მაგრამ ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ **დავალებაში** ცვლილების შეტანის მომენტში სააბონენტო საკომისიოს დავალიანების არარსებობის შემთხვევაში;
- 3.8.20. **ავტომატური გადახდებით მომსახურების** განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე**, რომლებიც მითითებულია შევსებული **ავტომატური გადახდებით მომსახურების განაცხადის** ფორმაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული **დავალება ბანკის** მიერ არ განხორციელდება;
- 3.8.21. **ბანკი** უფლებამოსილია **დავალების** შესრულების შესახებ ინფორმაცია, **მოკლე ტექსტური** შეტყობინებით, მხოლოდ ერთხელ გააგზავნოს **კლიენტის** მობილურ ტელეფონზე. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი თუ რაიმე მიზეზით, გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება არ აისახა **კლიენტის** მობილურ ტელეფონზე;
- 3.8.22. **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში ამგვარი **ბანკისათვის** მიწოდებაზე პასუხისმგებელია **კლიენტი**;
- 3.8.23. ზარალის ანაზღაურება, პასუხისმგებლობის შეზღუდვა, გარანტიის არარსებობა
- 3.8.23.1. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ ზარალის ანაზღაურებაზე წაყენებულ მოთხოვნაზე **ბანკი** პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ზარალი გამოწვეულია **ბანკის** მიერ **გადასახად(ებ)ის** ჩარიცხვის პროცესში დაშვებული შეცდომით – **პროვადერი კომპანიისთვის** დაგვიანებით, არასწორად, არასრულად და/ან არაზუსტად მიწოდებით და/ან **გადასახადის** გადახდაზე **დავალების** დაგვიანებით შესრულებით მაშინ, როდესაც **კლიენტის ანგარიშზე ბილინგის** დღეს იყო **დავალების** შესასრულებლად საკმარისი თანხა. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, აღნიშნული პასუხისმგებლობა **ბანკს** არ დაეკისრება, თუ იგი განპირობებული **კლიენტის** მიერ შეუსაბამო მონაცემების მიწოდებით და/ან **პროვადერი კომპანიის** ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით;
- 3.8.23.2. თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული **ავტომატური გადახდებით მომსახურების პირობებში** ზარალის ანაზღაურების და პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ დებულებები, რომლებიც მითითებულია ქვემოთ მოყვანილ **მე-5 მუხლში** მისადაგება **ავტომატური გადახდებით მომსახურებასაც**;
- 3.9. **ვალუტის გაცვლა**
- 3.9.1. **ბანკი კლიენტს** გაუწევს ვალუტის გაცვლითი **ოპერაციებით** მომსახურებას. ვალუტის გაცვლითი **ოპერაციაში** იგულისხმება **კლიენტის** ერთ-ერთ სავალუტო **ანგარიშზე** არსებული თანხების გაყიდვა მეორის სანაცვლოდ. ვალუტის გაცვლითი **ოპერაციას** **ბანკი** შესასრულებს **კლიენტის განაცხადის** შესაბამისად **ბანკში** დადგენილი კომერციული კურსით;

- 3.9.2. **ბანკი** იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ვალუტის გაცვლითი **ოპერაცია კლიენტის** სტანდარტულ და/ან უნივერსალურ **ანგარიშებზე**, ამგვარი **ოპერაციის** საწარმოებლად საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაში და ვალუტის გაცვლითი **ოპერაციის** შესრულებისთანავე ჩარიცხოს **კლიენტის ანგარიშზე კლიენტის** მიერ ნაყიდი თანხა **განაცხადში** მითითებულ ვალუტირების (**კლიენტის ანგარიშებზე** თანხების ჩამოწერისა და ჩარიცხვის) თარიღში;
- 3.9.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ ვალუტის გაცვლითი **ოპერაციის** წარმოების შესახებ **განაცხადის** მიღების მომენტიდან, ბლოკირება გაუკეთოს **კლიენტის** სტანდარტულ და/ან უნივერსალურ **ანგარიშებზე** თანხებს, **განაცხადში** არსებული **კლიენტის** მიერ გასაყიდი თანხის ფარგლებში (**ოპერაციის** საზღაურის გათვალისწინებით) **ოპერაციის** დასრულებამდე (**ანგარიშებზე** შესაბამისი თანხების ჩამოჭრა/ჩარიცხვამდე ან **ბანკის** მიერ **ოპერაციის** შეუსრულებლობისას);
- 3.9.4. **ბანკი** არ იღებს ვალდებულებას ვალუტის გაცვლითი **ოპერაციის** წარმოების შესახებ **განაცხადის** შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** მიერ დადგენილი კურსი არ აკმაყოფილებს კურსის შეზღუდვის მოთხოვნებს. კურსის შეზღუდვა გულისხმობს მხოლოდ **განაცხადში** მითითებულ კურსში ვალუტის გაცვლითი **ოპერაციის** შესრულების მოთხოვნას;
- 3.9.5. **კლიენტი** ვალდებულია ვალუტის გაცვლითი **ოპერაციების** ჩატარებისათვის დააკმაყოფილოს **ბანკში** დადგენილი ზოგადი წესები (**განაცხადის** წარდგენის ვადები, შევსების წესები და ა.შ.) და გადაიხადოს აღნიშნული **ოპერაციებისათვის** დადგენილი საკომისიო გადასახადი **ბანკში** იმ დროისათვის მოქმედი ტარიფების შესაბამისად თუ **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
- 3.10. მომსახურების სააბონენტო საკომისიოს გადახდის წესი და პირობები**
- 3.10.1. **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **3.1., 3.2., 3.7.** და **3.8.** პუნქტებით გათვალისწინებული **მომსახურების** სააბონენტო საკომისიო (შემდგომში – **სააბონენტო საკომისიო**) გადახდის დროისათვის **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად, თუ **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესახებ ინფორმაცია **კლიენტს** შეუძლია მიიღოს **ბანკის** ინტერნეტ-გვერდზე ან/და სერვის-ცენტრებში;
- 3.10.2. **სააბონენტო საკომისიო კლიენტის** მიერ გადახდილ უნდა იქნეს ყოველ მომდევნო კალენდარულ თვეში **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **საბანკო დღეს**, ხოლო **ბანკთან** შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შეთანხმებული პერიოდულობით და თარიღში;
- 3.10.3. **ბანკი** უფლებამოსილია **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად, **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან** უაქცეპტოდ, საკუთარი შეხედულებისამებრ, ხოლო **კლიენტთან** შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შეთანხმებული თანმიმდევრობით, ჩამოწეროს **სააბონენტო საკომისიო**. თუ **სააბონენტო საკომისიო** და **ანგარიშ(ებ)ზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** თავად განახორციელებს კონვერტიციას გადახდის თარიღისათვის დადგენილი **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, რომლის **მომსახურების** ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოიწერება **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან**, ხოლო კონვერტირებული თანხა მიიმართება **სააბონენტო საკომისიოს** დასაფარად;
- 3.10.4. **ბანკი** უფლებამოსილია, იმ შემთხვევაში, თუ **სააბონენტო საკომისიოს** ჩამოსაწერად საჭირო ოდენობის თანხა სრულად არ აღმოჩნდა **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე**, **სააბონენტო საკომისიოს** ნაწილი ჩამოიწეროს **ანგარიშ(ებ)ზე** არსებული თანხის ოდენობით, ხოლო **სააბონენტო საკომისიოს** დარჩენილი ნაწილი – **ანგარიშ(ებ)ზე** თანხის მოხვედრისთანავე.
- 3.11. იმეილ-ბანკით მომსახურების კონკრეტული პირობები**
- 3.11.1. იმეილ-ბანკით **მომსახურების** საშუალებით **კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** შეთავაზებული სხვადასხვა **მომსახურებით** იმეილ-ბანკით **მომსახურების** განმახორციელებელი **ოპერატორის** დახმარებით იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე **პირობების** დაკმაყოფილების შემდეგ **კლიენტი** აღნიშნული **მომსახურებით** სარგებლობისათვის დაუკავშირდება **ბანკს** იმეილ-ბანკის **განაცხადში** მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე;
- 3.11.2. **ბანკი კლიენტს** სთავაზობს იმეილ-ბანკით **მომსახურებას** **ბანკის** სამუშაო საათებში. აღნიშნული პირობა შეიძლება დაირღვეს, თუ **ბანკში** საჭირო სისტემურ განახლებებთან დაკავშირებით ელექტრონული ფოსტის კავშირი დროებით გაითიშება. თუ და როდესაც იმეილ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობა შესაძლებელი გახდება სამუშაო საათების შემდეგ, **ბანკი** აღნიშნულის თაობაზე შეატყობინებს **კლიენტს**;
- 3.11.3. იმეილ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობისათვის **კლიენტი** უნდა ფლობდეს ელექტრონულ ფოსტას;
- 3.11.4. როდესაც **კლიენტი** უკავშირდება **ბანკს** იმეილ-ბანკის **განაცხადში** მითითებულ ელექტრონულ მისამართზე აღნიშნული კავშირით **კლიენტი** დაუკავშირდება **ბანკის** იმეილ-ბანკით **მომსახურებას**;
- 3.11.5. **კლიენტი** იმეილ-ბანკით **მომსახურების** მეშვეობით და **ბანკისათვის** შესაბამისი **დავალებების** მიცემით უფლებამოსილია განახორციელოს იმეილ-ბანკის შესაბამის **განაცხადში** მითითებული **ოპერაციები**;
- 3.11.6. ფულადი სახსრების გადარიცხვის და სხვა სახის **გადახდების** შესახებ **დავალებები** **ბანკის** მიერ შესასრულებლად მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული **დავალებები** შეესაბამება **კლიენტის ბანკთან** დადებულ ხელშეკრულებას და/ან **ბანკში** არსებულ შესაბამის წესებს ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით. აღნიშნული გადარიცხვები და **გადახდები** შესაძლოა არ განხორციელდეს **დავალების** მიღებისთანავე, მაგრამ **ბანკი** შესაბამის თანხებს სრული მოცულობით **კლიენტს ანგარიშ(ებ)იდან** ჩამოაჭრის ასეთი **დავალების** მიღებისთანავე;
- 3.11.7. **ბანკის** მიერ **კლიენტის** წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული **დავალებების** ჯეროვნად შესრულების დასადასტურებლად, იმეილ-ბანკით **მომსახურების** სერვისის გასაუმჯობესებლად და **კლიენტის** უსაფრთხოების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია აწარმოოს **კლიენტის ბანკთან** არსებული მიმოწერის შენახვა. **კლიენტი** თანახმაა და აღიარებს, რომ აღნიშნული გზით მოპოვებული მონაცემები შესაძლოა **ბანკის** მიერ გამოყენებულ იქნეს მტკიცებულების სახით, წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას და აქვს იურიდიული ძალა. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს გარკვეული ლიმიტები **კლიენტის** მიერ იმეილ-ბანკით **მომსახურებით** განხორციელებულ გადარიცხვებზე (როგორც **ბანკის** შიგნით, ასევე მის გარეთ). **ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული ლიმიტები ცვალოს პერიოდულად საკუთარი შეხედულებისამებრ.
- 3.11.8. უსაფრთხოების პირობები
- 3.11.8.1. როდესაც **კლიენტი** დაუკავშირდება **ბანკს** იმეილ-ბანკის შესაბამის **განაცხადში** მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მას **ოპერატორი** ელექტრონული ფოსტის ან სხვა ნებისმიერი საშუალებით მოსთხოვს **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად იდენტიფიცირებას;
- 3.11.8.2. **კლიენტის** იდენტიფიცირება მოხდება **ოპერატორის** მიერ, რომელიც განახორციელებს **ბანკში** დაწესებულ პროცედურებს რათა მოახდინოს **კლიენტის** იდენტიფიცირება. **ბანკი** ვერ შეძლებს მოემსახუროს **კლიენტს** თუ მიიჩნევს რომ **კლიენტის** იდენტიფიცირება შეუძლებელია;
- 3.11.8.3. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს **კლიენტის** იდენტიფიკაცია დიჯიტალური დაგენირებული ერთჯერადი კოდით ან/და **ცენტრალური იდენტიფიკაციის სისტემაში** დაფიქსირებულ **კლიენტის** მობილურ ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი სმს კოდით.

- 3.11.8.4. **კლიენტის** მიერ ყველა ამ **პირობებით** გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დაეყრდნოს **კლიენტის დავალებებს**, **ბანკი** არ არის ვალდებული გადაამოწმოს ან მოახდინოს **კლიენტის** შემდგომი იდენტიფიკაცია. **კლიენტი** ვერ შეედავება **ბანკს** ასეთი პრეზუმფციის გამო. **კლიენტს** ეკისრება სრული პასუხისმგებლობა უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე.
- 3.11.9. **კლიენტის დავალებები**
- 3.11.9.1. როდესაც **კლიენტი** გაივლის ყველა ზემოაღნიშნულ უსაფრთხოების ზომებს, **ბანკი** უფლებამოსილია შეასრულოს **კლიენტის დავალებები** წინამდებარე **პირობების** შესაბამისად, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს **ანგარიშ(ებ)იდან** ფულადი სახსრების გადარიცხვას, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც აღნიშნული **დავალებები** არ იყო გაცემული **კლიენტის** მიერ ან გაცემულია **კლიენტის** ავტორიზაციის გარეშე. ამასთან, მას შემდეგ რაც **კლიენტი ბანკს** აცნობებს იმეილ-ბანკით **მომსახურებით** არავტორიზირებული სარგებლობაზე ეჭვის ან რეალური ფაქტების შესახებ ან იმის შესახებ, რომ შესაძლოა მესამე მხარეს ჰქონოდა ან ჰქონდეს გარკვეული წვდომა **კლიენტის** იმეილ-ბანკით **მომსახურების განაცხადში** დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტასთან, **კლიენტი** აღარ იქნება პასუხისმგებელი არავტორიზირებულ **დავალებაზე**, რომელიც განხორციელდება ასეთი **შეტყობინების** მიღებიდან **ბანკის** მხრიდან უსაფრთხოების ზომების მისაღებად საკმარისი დროის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **კლიენტი** მოქმედებდა თაღლითურად;
- 3.11.9.2. **ბანკი** უფლებამოსილია:
- 3.11.9.2.1. **კლიენტის** მიერ იმეილ-ბანკის **განაცხადში** მითითებულ **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე გამოგზავნილი **კლიენტის დავალება (დავალების რეკვიზიტები და მონაცემები)** გადაიტანოს **ბანკისთვის** სასურველ ელექტრონულ ფორმაში (მათ შორის WORD; PDF), გაუგზავნოს აღნიშნული სახის **დავალება კლიენტს** საპასუხო ელ. წერილის სახით და მოსთხოვოს მას ელ. წერილით განსაზღვრული **დავალების** სისწორისა და **კლიენტს** მიერ მისი შესრულების მოთხოვნის დადასტურება (**ბანკის** მიერ აღნიშნული დადასტურების მოთხოვნის შემცველ ელ. წერილზე საპასუხო დადასტურების ელ. წერილის გაგზავნის გზით) აღნიშნული ელ. წერილის გაგზავნის დღის ბოლომდე (18:00 საათამდე). იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ განსაზღვრული პირობების შესაბამისად **კლიენტი** არ განახორციელებს **ბანკის** მიერ გაგზავნილი ელ.წერილით განსაზღვრული **დავალების** სისწორისა და **კლიენტს** მიერ მისი შესრულების მოთხოვნის დადასტურებას, **ბანკი** უფლებამოსილია ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე არ შეასრულოს აღნიშნული **დავალება**; ან/და
- 3.11.9.2.2. დაუკავშირდეს **კლიენტს საბანკო** სისტემაში **კლიენტის** სარეგისტრაციო ფორმაში განსაზღვრულ მობილური ტელეფონის ნომერზე და მოსთხოვოს **კლიენტის** მის მიერ იმეილ-ბანკის **განაცხადში** მითითებულ **ბანკის** ელექტრონული ფოსტის მისამართზე გამოგზავნილი **დავალების** სისწორისა და **კლიენტს** მიერ მისი შესრულების მოთხოვნის დადასტურება. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი** ვერ დაუკავშირდება **კლიენტს** მის მობილური ტელეფონის ნომერზე ზემოთ აღნიშნული დადასტურების მიზნით დასადასტურებელი **დავალების კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** გაგზავნის დღის ბოლომდე (18:00 საათამდე) (იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული დღე ემთხვევა **არასაბანკო დღეს**, მომდევნო **საბანკო დღის** ბოლომდე) **ბანკი** უფლებამოსილია ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე არ შეასრულოს აღნიშნული **დავალება**;
- 3.11.9.2.3. უარი განაცხადოს **დავალების** შესრულებაზე, თუ ამგვარი **დავალება** გულისხმობს **ოპერაციას**, რომელიც აღემატება შესაბამის ლიმიტს, ან როდესაც **ბანკის** შეხედულებით ასეთი უარი მართებულია, ან არსებობს ეჭვი უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შესახებ. **ბანკი** შეატყობინებს **კლიენტს** აღნიშნული უარის შესახებ.
- 3.11.10. იმეილ-ბანკით **მომსახურების** გაუქმება, დროებითი შეწყვეტა, ცვლილებები
- 3.11.10.1. **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს ან დროებით შეწყვიტოს იმეილ-ბანკით **მომსახურება** ან მისი ნაწილი ნებისმიერ დროს. **ბანკი** მიმართავს ყველა შესაძლო ზომას, რათა წინასწარ აცნობოს **კლიენტს** აღნიშნულის თაობაზე, მაგრამ ეს შესაძლოა ყოველთვის ვერ მოხერხდეს;
- 3.11.10.2. **ბანკი** იტოვებს უფლებას, შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ამ იმეილ-ბანკით **მომსახურების პირობებში**, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ახალი ტიპის ინსტრუქციების შემოღებას. იმ შემთხვევაში თუ ასეთი ცვლილება და/ან დამატება საზიანოა **კლიენტისათვის** და ზღუდავს მის წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრულ უფლებებს, **ბანკი** ვალდებულია შეატყობინოს **კლიენტს** აღნიშნული ცვლილებების თუ დამატებების შესახებ მანამ სანამ ისინი შევა კანონიერ ძალაში. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სხვა სახის ცვლილებები თუ დამატებები და შეატყობინოს **კლიენტს** ამის შესახებ შემდგომ. ნებისმიერი სახის ასეთი ცვლილება თუ დამატება ძალაში შევა შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** მითითებული ცვლილებების და დამატებების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ განაგრძობს იმეილ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობას, იგულისხმება რომ იგი ეთანხმება და მიიღო აღნიშნული ცვლილებები და დამატებები;
- 3.11.10.3. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს იმეილ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობის საკომისიო ან/და შევჯალს აღნიშნული საკომისიოს ოდენობა და მისი გადახდის პირობები. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი 6 (ექვსი) საანგარიშო თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული იმეილ-ბანკით **მომსახურების** საკომისიო, **კლიენტს** იმეილ-ბანკით **მომსახურება** შეუწყდება ავტომატურად;
- 3.11.10.4. იმეილ-ბანკით **მომსახურებით** სარგებლობის საკომისიოს ოდენობა მოცემულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge.
- 3.11.11. ზარალის ანაზღაურება, პასუხისმგებლობის შეზღუდვა
- 3.11.11.1. გარდა ზემოაღნიშნულისა, თუ წინამდებარე **პირობებით** სხვაგვარად არ არის დადგენილი, ამ **პირობებით** განსაზღვრული ზარალის ანაზღაურების და პასუხისმგებლობის შეზღუდვის პირობები შესაბამისად ვრცელდება ამ იმეილ-ბანკით **მომსახურების** დებულებებზე.
- 3.11.12. ზოგადი დებულებები
- 3.11.12.1. ამ **პირობების** სხვა მუხლების/პუნქტების დებულებები შეეხება **3.12. პუნქტის** პირობებს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამგვარი მუხლები გულისხმობს **მე-4 მუხლს** (**კლიენტის** განაცხადებები), **მე-6 მუხლს** (გადასახადები), **მე-7 მუხლს** (ძალაში შესვლის თარიღი და ვადა), **მე-8 მუხლს** (მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა), **მე-9 მუხლს** (გამოყენება და გაცვლა/კონფიდენციალურობა) და **მე-10 მუხლს** (ზოგადი დებულებები).
- 3.12. კურიერ-სერვისით მომსახურების პირობები**
- 3.12.1. ტერმინთა განსაზღვრებები: **3.12. პუნქტში** მოყვანილი სიტყვები შემდეგნაირად განიმარტება:

კურიერ-სერვისი

შესაბამისი **განაცხადის** საფუძველზე **კლიენტისთვის ბანკის** მიერ შეთავაზებული სერვისებით **ბანკში** მოუსვლელოდ სარგებლობა;

კურიერი

ფიზიკური პირი, რომელიც გადამზიდავი კომპანიის მეშვეობით უზრუნველყოფს **ბანკისგან**

საიდენტიფიკაციო დოკუმენტი

ბანკში მოქმედი პროცედურის შესაბამისად დადგენილი **კლიენტის** საიდენტიფიკაციო დოკუმენტი.

- 3.12.2. **ბანკი კლიენტს კურიერ-სერვისით მომსახურებას** სთავაზობს **საბანკო დღის** განმავლობაში. აღნიშნული პირობა შეიძლება დაირღვეს, თუ დროებით შეფერხებულია **კურიერ-სერვისით მომსახურება**;
 - 3.12.3. **კურიერ-სერვისით მომსახურებით** სარგებლობისათვის კლიენტის მოთხოვნა **ბანკში** უნდა დაფიქსირდეს ავტორიზებული (**ბანკში** რეგისტრირებული) ტელეფონის ნომრის ან იმეილ-ბანკის მეშვეობით;
 - 3.12.4. დადგენილი წესით **კურიერ-სერვისით მომსახურების** მოთხოვნის და სარგებლობის შემთხვევაში **კლიენტი**:
 - 3.12.4.1. ეთანხმება **ბანკის** მიერ შეთავაზებულ **კურიერ-სერვისით მომსახურების** ვადებს და პირობებს;
 - 3.12.4.2. ვალდებულია ზუსტად მიუთითოს **ბანკს** მისამართი სადაც უნდა გამოცხადდეს **კურიერი**, წარუდგინოს **კურიერს** მხოლოდ ის **საიდენტიფიკაციო დოკუმენტები**, რომლის გამოყენებაც შეთანხმებული იქნა **ბანკთან** და მისთვის განკუთვნილი კონვერტი ჩაიბაროს პირადად;
 - 3.12.4.3. ვალდებულია შეამოწმოს **კურიერის** მიერ მისთვის წარდგენილი კონვერტების სიმრთელე და ლუქის მთლიანობა. კონვერტის სიმრთელის ან/და ლუქის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს **ბანკს** და აცნობოს აღნიშნული ფაქტის თაობაზე;
 - 3.12.4.4. ვალდებულია **კურიერის** მიერ მისთვის მიტანილ დოკუმენტაციას საჭიროების შემთხვევაში ხელი მოაწეროს პირადად, **კურიერის** თანდასწრებით და **ბანკში** დაფიქსირებული ფაქსიმილიის შესაბამისად;
 - 3.12.4.5. ვალდებულია არ გაანდოს **კურიერს** დავალების ან/და გაგზავნილი/მიღებული დოკუმენტ(ებ)ის შინაარსი. მისთვის განკუთვნილი კონვერტის გახსნის შემდეგ არ გადასცეს კონვერტ(ებ)ი ან/და მასზე განთავსებული **საიდენტიფიკაციო დოკუმენტის** ასლი **კურიერს** და დაიცვას კონფიდენციალურობა;
 - 3.12.4.6. **მომსახურების** შინაარსიდან გამომდინარე დოკუმენტაციის **ბანკში** გაგზავნის საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულია მოათავსოს დოკუმენტაცია **ბანკის** მიერ გაგზავნილ ცარიელ კონვერტში და **კურიერისთვის** ჩაბარებამდე სათანადო წესით დაალოქოს იგი.
 - 3.12.5. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის ანგარიშიდან, ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად, უაქცეპტოდ ჩამოაწეროს **კურიერ-სერვისით მომსახურებისთვის** დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები/საფასური;
 - 3.12.6. **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს გარკვეული ლიმიტები **კლიენტის** მიერ **კურიერ-სერვისით მომსახურებით** განხორციელებულ გადარიცხვებზე (როგორც **ბანკის** შიგნით, ასევე მის გარეთ). **ბანკი** უფლებამოსილია აღნიშნული ლიმიტები ცვალოს პერიოდულად საკუთარი შეხედულებისამებრ;
 - 3.12.7. **კურიერ-სერვისით** მეშვეობით **ბანკისთვის** მიცემული **დავალებების** ჯეროვნად შესრულების დასადასტურებლად, **კურიერ-სერვისით მომსახურების** გასაუმჯობესებლად და **კლიენტის** უსაფრთხოების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის ბანკთან** არსებული მიმოწერა და სატელეფონო ჩანაწერები შეინახოს. **კლიენტი** თანახმაა და აღიარებს, რომ აღნიშნული გზით მოპოვებული მონაცემები (ინფორმაცია) შესაძლოა **ბანკის** მიერ გამოყენებულ იქნეს მტკიცებულების სახით და იგი წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას და აქვს იურიდიული ძალა;
 - 3.12.8. უსაფრთხოების პირობები
 - 3.12.8.1. თუ **კლიენტი** დაუკავშირდება **ბანკს** ავტორიზებული (**ბანკში** რეგისტრირებული) ტელეფონის ნომრის ან იმეილ-ბანკის საშუალებით, მას **ბანკი** ელექტრონული ფოსტის ან სხვა ნებისმიერი საშუალებით მოსთხოვს **ბანკში** დადგენილი პროცედურით განსაზღვრული იდენტიფიკაციის გავლას;
 - 3.12.8.2. **კლიენტის** იდენტიფიკაცია ასევე ხორციელდება **კურიერის** მეშვეობით **კლიენტის** მიერ მითითებულ მისამართზე გამოცხადებისას.
 - 3.12.8.3. **კლიენტის** იდენტიფიკაცია მოხდება, როგორც **ბანკის** ასევე **კურიერის** მიერ **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად. **ბანკი** ვერ შეძლებს მოემსახუროს **კლიენტს**, თუ მიიჩნევს, რომ **კლიენტის** იდენტიფიკაცია შეუძლებელია;
 - 3.12.8.4. **კლიენტის** მიერ ყველა ამ პირობებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დაეყრდნოს **დავალებას**. **ბანკი** არ არის ვალდებული გადაამოწმოს ან მოახდინოს **კლიენტის** შემდგომი იდენტიფიკაცია. **კლიენტს** ეკისრება სრული პასუხისმგებლობა უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე;
 - 3.12.8.5. **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს **დავალების** შესრულებაზე, თუ ამგვარი **დავალება** გულისხმობს **თერაპიას**, რომელიც აღემატება შესაბამის ლიმიტს, ან როდესაც **ბანკის** შეხედულებით ასეთი უარი მართებულია, ან არსებობს ეჭვი უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შესახებ. **ბანკი** შეატყობინებს **კლიენტს** აღნიშნული უარის შესახებ;
 - 3.12.9. **კურიერ-სერვისის მომსახურების** გაუქმება, დროებითი შეწყვეტა, ცვლილებები
 - 3.12.9.1. **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს ან დროებით შეწყვიტოს **კურიერ-სერვისის მომსახურება** ან მისი ნაწილი ნებისმიერ დროს. **ბანკი** მიმართავს ყველა შესაძლო ზომას, რათა წინასწარ აცნობოს **კლიენტს** აღნიშნულის თაობაზე, მაგრამ ეს შესაძლოა ყოველთვის ვერ მოხერხდეს;
 - 3.12.9.2. **ბანკი** იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ამ **კურიერ-სერვისის მომსახურების** პირობებში, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ახალი ტიპის ინსტრუქციების შემოღებას.
 - 3.12.10. ზოგადი დებულებები
 - 3.12.10.1. ამ **პირობების** სხვა მუხლების დებულებები შეეხება **3.12. პუნქტის** პირობებს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად ამგვარი მუხლები გულისხმობს **მე-4 მუხლს (კლიენტის განცხადებები), მე-6 მუხლს (გადასახადები), მე-7 მუხლს (ძალაში შესვლის თარიღი და ვადა), მე-8 მუხლს (მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა), მე-9 მუხლს (გამოყენება და გაცვლა/კონფიდენციალურობა) და მე-10 მუხლს (ზოგადი დებულებები).**
- 3.13. დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით გაცემული კრედიტი**
- 3.13.1. ტერმინთა განსაზღვრებები: **3.13. პუნქტში** მოყვანილი სიტყვები შემდეგნაირად განიმარტება:

კრედიტი	დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ბანკის მიერ დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით კლიენტისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები.
კრედიტის თანხა	ბანკსა და კლიენტს შორის დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით შეთანხმებული თანხა.

კრედიტის მომსახურე ანგარიში პირგასამტეხლო (ჯარიმა)	<p>ბანკში არსებული მიზნობრივი ანგარიში, რომელიც ბანკის მიერ გამოიყენება კრედიტთან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების წარმოებისთვის.</p> <p>ხელშეკრულებით და დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით კლიენტის მიერ ნაკისრი ფინანსური ან/და სხვა ვალდებულებების შესრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით და რომლის კონკრეტული პირობებიც ბანკსა და კლიენტს შორის თანხმდება დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით.</p>
საკომისიო	<p>ხელშეკრულების ფარგლებში და მის შესაბამისად, ბანკის მიერ კრედიტით სარგებლობისათვის კლიენტისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით და რომლის კონკრეტული პირობებიც ბანკსა და კლიენტს შორის თანხმდება დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით.</p>
საპროცენტო სარგებელი	<p>ხელშეკრულების ფარგლებში და მის შესაბამისად, ბანკის მიერ კრედიტით სარგებლობისათვის დაწესებული ბანკისათვის გადასახდელი სარგებელი, რომელიც, როგორც წესი, დაიანგარიშება შესაბამისი ათვისებული თანხის ფიქსირებული ან ცვალებადი პროცენტული მაჩვენებლით და რომლის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ხელშეკრულებით და რომლის კონკრეტული პირობებიც ბანკსა და კლიენტს შორის თანხმდება დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით.</p>
3.13.2.	<p>ბანკის მიერ განხორციელებული შეთავაზების ან/და კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით გაცემული კრედიტით სარგებლობისას კლიენტს შესაძლებლობა ეძლევა, დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით, შესაბამისი წვდომის კოდების გამოყენებით, მიიღოს კრედიტი მაქსიმუმ შემდეგი პირობებით:</p>
3.13.2.1.	<p>კრედიტის მოცულობა და ვალუტა: მაქსიმუმ 500,000.00 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარი ან მისი ექვივალენტი სხვა ვალუტაში;</p>
3.13.2.2.	<p>კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი: თვეში – წლიური 0%–დან 90 (ოთხმოცდაათი) %-მდე, ბანკის მიერ განსაზღვრული კონკრეტული პროდუქტის პირობების შესაბამისად;</p>
3.13.2.3.	<p>კრედიტის მოქმედების ვადა: მაქსიმუმ 48 თვე;</p>
3.13.2.4.	<p>კრედიტის თანხის ათვისების საკომისიო: ასათვისებელი თანხის 0%–დან 4%-მდე, ბანკის მიერ განსაზღვრული კონკრეტული პროდუქტის პირობების შესაბამისად;</p>
3.13.2.5.	<p>ათვისებულ კრედიტის თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობა: ყოველთვიური;</p>
3.13.2.6.	<p>დაზღვევის მართვის საკომისიოს მაქსიმალური მოცულობა: 10 (ათი) ერთეული კრედიტის ვალუტის შესაბამისად; გადახდის პერიოდულობა: კრედიტის თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობის შესაბამისი;</p>
3.13.2.7.	<p>საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვი საკომისიოს მაქსიმალური მოცულობა - საკრედიტო შენატანის 5% (ხუთი პროცენტი); გადახდის პერიოდულობა: კრედიტის თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობის შესაბამისი;</p>
3.13.2.8.	<p>პირგასამტეხლო კრედიტის თანხის ან/და საპროცენტო სარგებლის ვადაზე დაფარვისათვის: მაქსიმუმ 2%;</p>
3.13.2.9.	<p>პირგასამტეხლო ათვისებული კრედიტის თანხ(ებ)ის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის: ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (ექსპრეს სესხის შემთხვევაში მინიმუმ 0.2 ლარი) და პირველი ვადაგადაცილებული დღისათვის, ერთჯერადად მაქსიმუმ 10 ლარი (თუ კრედიტი გაცემულია სხვა ვალუტაში - 5 ერთეული შესაბამის ვალუტაში).</p>
3.13.3.	<p>კრედიტთან დაკავშირებული ურთიერთობა რეგულირდება წინამდებარე პირობებით;</p>
3.13.4.	<p>საპროცენტო სარგებელი, საკომისიო და მათი დაანგარიშებისა და დარიცხვის წესი:</p>
3.13.4.1.	<p>საპროცენტო სარგებლის და საკომისიოს მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, ხოლო თითოეული კრედიტის კონკრეტული საპროცენტო სარგებელი და საკომისიო ბანკსა და კლიენტს შორის თანხმდება მომსახურების საშუალებით;</p>
3.13.4.2.	<p>საპროცენტო სარგებელი იანგარიშება ხელშეკრულებით განსაზღვრული კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით;</p>
3.13.4.3.	<p>საკომისიოს ოდენობა იანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და პერიოდულობით. მათ შორის, თუ გათვალისწინებულია წლიური საკომისიო, მაშინ მისი დაანგარიშება მოხდება საპროცენტო სარგებლის დაანგარიშებისათვის გათვალისწინებული წესით, ხოლო სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა წესით;</p>
3.13.4.4.	<p>თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, საპროცენტო სარგებლის (როგორც მიუღებელი სარგებლის) დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება კრედიტის დაფარვის ვადაგადაცილების შემთხვევაშიც, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა ან სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა, კრედიტის იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე.</p>
3.13.5.	<p>პირგასამტეხლო (ჯარიმა)კრედიტით სარგებლობის პირობების დარღვევისათვის და მისი დარიცხვის წესი:</p>
3.13.5.1.	<p>პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა კრედიტით სარგებლობის პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება ხელშეკრულებით, ხოლო თითოეული კრედიტის პირგასამტეხლოს კონკრეტული ოდენობა ბანკსა და კლიენტს შორის თანხმდება დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით;</p>
3.13.5.2.	<p>თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შემდეგ შემთხვევებში: ა) კრედიტის თანხის ან/და საპროცენტო სარგებლის დადგენილი ოდენობით და ვადებში გადაუხდელობისათვის; ბ) კრედიტის თანხის ან/და საპროცენტო სარგებლის დადგენილ ვადაზე წინსწრებით გადახდისათვის; გ) ხელშეკრულებით დადგენილ სხვა შემთხვევებში;</p>
3.13.5.3.	<p>თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება და გადახდას ექვემდებარება კრედიტის დაფარვის ვადაგადაცილების შემთხვევაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედებისა ან შეწყვეტისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების იძულებითი ან კლიენტის მიერ ნებაყოფლობითი დაფარვის მომენტამდე;</p>
3.13.5.4.	<p>განაცხადის შევსებით, აგრეთვე დისტანციური საბანკო მომსახურების საშუალებით კლიენტი ადასტურებს/დაადასტურებს, რომ ის აცნობიერებს და ეთანხმება ხელშეკრულებით დადგენილი პირგასამტეხლოს არსებობას და მის ოდენობას და რომ ის არ არის შესაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო;</p>
3.13.5.5.	<p>პირგასამტეხლოს გადახდა არ ათვისებული კლიენტს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების (გადასახდელის) შესრულებისაგან (გადახდისაგან).</p>
3.13.6.	<p>კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს (ჯარიმის) და სხვა გადასახდელის გადახდის წესი:</p>

- 3.13.6.1. **კლიენტი** ცალსახად და გამოუთხოვად აცხადებს თანხმობას **კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ თანმიმდევრობაზე: პირველ რიგში იფარება **საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ **პირგასამტეხლო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული **საპროცენტო სარგებელი**, შემდეგ **კრედიტის თანხა** და ბოლოს სხვა გადასახდელები. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს **ბანკის** შეხედულებით;
- 3.13.6.2. **კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებლის ან/და პირგასამტეხლოს** დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით და შესაბამისად. **ბანკის** მიერ **კლიენტზე** შესაძლოა გაიყვას გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტს, რომლის შესაბამისადაც **კლიენტი** მოახდენს **კრედიტის თანხის** და **საპროცენტო სარგებლის** გადახდას. **კლიენტის** მიერ **ბანკის** მიმართ წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი განცხადების საფუძველზე **მხარეთა** შეთანხმებით **კრედიტის თანხა** და **საპროცენტო სარგებელი** შეიძლება წინასწარებით დაიფაროს გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც;
- 3.13.6.3. **კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებლის** და **პირგასამტეხლოს** გადახდა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიც დამტკიცებულია **კრედიტი**, ხოლო აღნიშნული მიზნით **თანხის** კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს **კლიენტის** ხარჯზე კონვერტაციის თარიღისათვის ბაკში დაწესებული კომერციული კურსით;
- 3.13.6.4. **კლიენტის** მიერ გადახდილი ნებისმიერი **თანხა** ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია **ბანკსა** და **კლიენტს** შორის **დისტანციური საბანკო მომსახურების** საშუალებით შეთანხმებულ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების **დღეს**, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღისა**. ამასთან, თუ ამგვარი მომდევნო **საბანკო დღე** არის (ემთხვევა) საანგარიშო თვის მომდევნო თვეში, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს **ბანკსა** და **კლიენტს** შორის **დისტანციური საბანკო მომსახურების** საშუალებით შეთანხმებული თარიღის წინა **საბანკო დღეს**. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, **კლიენტი** არ იხდის **პირგასამტეხლოს** გადასახდელის ვადაზე გადახდისათვის;
- 3.13.6.5. **კლიენტს** ასევე ადასტურებს და აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **კლიენტი** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და ამგვარი ვალდებულების სრულად ან ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- 3.13.6.5.1. **კლიენტის** შემდგომი დამატებითი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე მასთან არსებული წესების დაცვით გახსნას **კრედიტის მომსახურებ ანგარიში** ან/და **კრედიტის მომსახურებ ანგარიშად** გამოიყენოს **კლიენტის** ნებისმიერი სხვა არსებული **ანგარიში**;
- 3.13.6.5.2. **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშ(ებ)იდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს **ხელშეკრულებით** და **ბანკსა** და **კლიენტს** შორის **დისტანციური საბანკო მომსახურების** საშუალებით შეთანხმებულ ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და **ანგარიშ(ებ)ზე** რიგული **თანხა** სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** უფლებამოსილია თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის **მომსახურების** ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან**, კონვერტირებული **თანხა** კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად;
- 3.13.6.5.3. ისარგებლოს **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკსა** და **კლიენტს** შორის **დისტანციური საბანკო მომსახურების** საშუალებით შეთანხმებული სხვა უფლებებით.
- 3.13.7. დაზღვევის მართვის **საკომისიო** დაერიცხება არაუმეტეს **ბანკის** მიერ განსაზღვრული თანხის მოცულობას, რომელიც მოცემულია **ბანკის** ვებ მისამართზე www.bankofgeorgia.ge და გადაიხდება ათვისებულ **კრედიტის თანხაზე** დასარიცხი **საპროცენტო სარგებლის** გადახდის პერიოდულობით. **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს **კლიენტის** სიცოცხლის ან/და უზედური შემთხვევის დაზღვევა. ამგვარი სადაზღვევო პოლისით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნება მხოლოდ **ბანკი**. **კლიენტის** მიერ დასაცავი დაზღვევის პირობები მოცემულია **ბანკის** ვებ მისამართზე www.bankofgeorgia.ge. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ: ა) აღნიშნული **საკომისიო** გადაიხდება **ხელშეკრულების** მოქმედების მთელ პერიოდზე, მიუხედავად იმისა **კლიენტი ხელშეკრულების** მოქმედების მთელ პერიოდზე იქნება თუ არა დაზღვეული; ბ) იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** წარმოადგენს ერთზე მეტი **პირი** - დაზღვეული იქნება თუ არა ყველა ეს **პირი**; გ) **ბანკი** არ არის ვალდებული აცნობოს, ხოლო **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია იმის თაობაზე დაზღვეულია თუ არა **კლიენტი ხელშეკრულების** მოქმედების შესაბამის პერიოდზე; დ) დაზღვევის არ არსებობა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებისგან.
- 3.13.8. წინამდებარე **ხელშეკრულების** გაფორმებისთანავე (თუ **მხარეები** შეთანხმდებიან საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის **საკომისიოს** ოდენობაზე) ან/ შემდგომში **კლიენტის** განცხადების საფუძველზე, **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს **კლიენტის** შემოსავლების დაზღვევა. ამგვარი სადაზღვევო პოლისით მოსარგებლე (ბენეფიციარი) იქნება მხოლოდ **ბანკი**. **კლიენტის** მიერ დასაცავი დაზღვევის პირობები მოცემულია **ბანკის** ვებ მისამართზე www.bankofgeorgia.ge. საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის **საკომისიო** გადაიხდება ათვისებულ **კრედიტის თანხაზე** დასარიცხი **საპროცენტო სარგებლის** გადახდის პერიოდულობით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ: ა) აღნიშნული **საკომისიო** გადაიხდება **ხელშეკრულების** მოქმედების მთელ პერიოდზე, მიუხედავად იმისა **კლიენტი ხელშეკრულების** მოქმედების მთელ პერიოდზე იქნება თუ არა დაზღვეული; ბ) იმ შემთხვევაში თუ **კლიენტს** წარმოადგენს ერთზე მეტი **პირი** - დაზღვეული იქნება ყველა ეს **პირი**; გ) **ბანკი** არ არის ვალდებული აცნობოს, ხოლო **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს ინფორმაცია იმის თაობაზე დაზღვეულია თუ არა **კლიენტი ხელშეკრულების** მოქმედების შესაბამის პერიოდზე; დ) დაზღვევის არ არსებობა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებისგან. ე) **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დაზღვევა საკუთარი შეხედულებისამებრ და აღნიშნული არ საჭიროებს **კლიენტისათვის** დამატებით შეტყობინებას. ვ) იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** რამდენიმე **პირია**, ნებისმიერი მათგანი უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს** განაცხადით საკრედიტო შენატანის დაზღვევის ან საკრედიტო შენატანის დაზღვევის შეწყვეტი დაზღვევის შეწყვეტა გაგრძელდება ყველა **კლიენტზე**. ზ) საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის **საკომისიო** დაერიცხება **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პერიოდულობით გადასახდელი **კრედიტის თანხის, საპროცენტო სარგებლისა** და **დაზღვევის მართვის საკომისიოს** ოდენობას (საკრედიტო შენატანის), ამასთან **კრედიტის თანხის** წინასწარებით დაფარვა არ გამოიწვევს საკრედიტო შენატანის დაზღვევის მართვის **საკომისიოს** ოდენობის ცვლილებას.
- 3.13.9. **კრედიტით** სარგებლობის დამატებითი პირობები;
- 3.13.9.1. იმ შემთხვევაში, თუ **კრედიტის თანხის** მოცულობა დამტკიცებულია ერთ რომელიმე ვალუტაში და შესაბამისი **კრედიტის თანხის** ან მისი ნაწილის გაცემა ხდება სხვა ვალუტაში, სავალუტო კურსის ცვლილების გამო **კრედიტის თანხის** მოცულობის გადაჭარბება არ ჩაითვლება **ხელშეკრულების** ან/და **ბანკსა** და **კლიენტს** შორის **დისტანციური საბანკო მომსახურების** საშუალებით შეთანხმებული პირობების დარღვევად და **კლიენტი** ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;

- 3.13.9.2. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად განაცხადოს უარი **კრედიტის** თანხების ან მის ნაწილის გაცემაზე, თუკი **კლიენტის** ქონებაზე ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე (მათ შორის, **ანგარიშ(ებ)ზე**) აღრიცხულია (რეგისტრირებულია) რაიმე სახის შეზღუდვა, მათ შორის საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა.
- 3.13.10. ზოგადი დებულებები
- 3.13.10.1. ამ **პირობების** სხვა მუხლების/პუნქტების დებულებები შეეხება **3.13 პუნქტის** პირობებს. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, ამგვარი მუხლები გულისხმობს **მე-4 მუხლს** (კლიენტის განცხადებები), **მე-6 მუხლს** (გადასახადები), **მე-7 მუხლს** (ძალაში შესვლის თარიღი და ვადა), **მე-8 მუხლს** (მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა), **მე-9 მუხლს** (ინფორმაციის გამოყენება და გაცვლა/კონფიდენციალურობა) და **მე-10 მუხლს** (ზოგადი დებულებები).
- 3.14. ბარათის/დამატებითი ბარათის** ადგილზე მიტანის მომსახურება:
- 3.14.1. **კლიენტის** მიერ **განაცხადით** მოთხოვნილი პირობების შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი **განაცხადით** მოთხოვნილი **ბარათის/დამატებითი ბარათის** ადგილზე მიტანის მომსახურება, შესაბამისი **ბარათის/დამატებითი ბარათის** მოთხოვნიდან 4 (ოთხი) **საბანკო დღის** ვადაში;
- 3.14.2. **ბარათის/დამატებითი ბარათის** ადგილზე მიტანის მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ იმ **კლიენტებს**, რომლებიც სარგებლობენ PIN-კოდის სმს-ით მიღების მეთოდით;
- 3.14.3. **ბარათის/დამატებითი ბარათის** ადგილზე მიტანის მომსახურების შესრულებისას **ბარათის/დამატებითი ბარათის** მიღება, აგრეთვე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ **კლიენტის**, ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ;
- 3.14.4. **კლიენტის** მიერ, **ბარათის/დამატებითი ბარათის** ადგილზე მიტანის მომსახურების მოთხოვნის **განაცხადით** შესაძლებელია განსაზღვრულ იქნას მაქსიმუმ 2 (ორი) უფლებამოსილი პირი.
- 3.14.5. **კურიერისა** და **კლიენტის** ან/და უფლებამოსილი პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დასტურდება **ბანკის** მიერ, **ბარათის/დამატებითი ბარათის** გადაცემა და **კლიენტის** მიერ **ბარათის/დამატებითი ბარათის** მიღება-ჩაბარება;
- 3.14.6. **კლიენტის** ან უფლებამოსილი პირების მიერ **ბარათის** მიუღებლობის/ჩაუბარებლობის შემთხვევაში **კლიენტი ბარათის/დამატებითი ბარათის** მიიღებს **ბარათის/დამატებითი ბარათის** ადგილზე მიტანის **მომსახურების** მოთხოვნის განაცხადით განსაზღვრულ **ბანკის** სერვის ცენტრში შესაბამისი **ბარათის/დამატებითი ბარათის** მოთხოვნიდან 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში;
- 3.14.7. **ბარათის/დამატებითი ბარათის** აქტივაცია განხორციელდება **ბანკის** სატელეფონო ცენტრის საშუალებით, **ბანკში** დადგენილი პროცედურებისა და სტანდარტების შესაბამისად;
- 3.14.8. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს **ბარათის/დამატებითი ბარათის** ადგილზე მიტანის **მომსახურების საკომისიო**, ასევე ყველა არსებული გადასახდელი/გადასახადი, ხოლო თუ **საკომისიო/გადასახდელი/გადასახადი** და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსის შესაბამისად, ხოლო კონვერტაციის **მომსახურების** ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშებიდან**;
- 3.14.9. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე შეცვალოს/დააწესოს **ბარათის/დამატებითი ბარათის** ადგილზე მიტანის საკომისიოს ოდენობა;
- 3.14.10. **კლიენტი** ვალდებულია, **ბარათის/დამატებითი ბარათის** ადგილზე მიტანის **მომსახურების** მოთხოვნის განაცხადში მითითებული რომელიმე მონაცემის ცვლილების შემთხვევაში დაუყოფნით შეატყობინოს **ბანკს**.
- 3.14.11. **ბანკი** არ აგებს პასუხს ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დაადგეს უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული ქმედებებით.
- 3.15. ფულადი გზავნილების სისტემა „ელვა“-ს პირობები**
- 3.15.1. **ბანკი** შესაძლებლობას აძლევს **კლიენტს ბანკის** ფულადი გზავნილების სისტემა „ელვა“-ს საშუალებით განახორციელოს ფულადი გზავნილი (შემდგომში – **გზავნილი**) სხვა ფიზიკური პირებისათვის ან/და მიიღოს **გზავნილი** სხვა ფიზიკური პირებისაგან, **ანგარიშის** გაუხსნელად/**ანგარიშის** გავლის გარეშე;
- 3.15.2. ფულადი გზავნილების სისტემა „ელვა“ წარმოადგენს **ბანკის** შიდა სისტემას და **გზავნილის** განხორციელება შესაძლებელია **ბანკის** შიდა ქსელში ან/და სხვა ქსელში, რომელშიც გამოიყენება/ინტეგრირებულია ფულადი გზავნილების სისტემა „ელვა“.
- 3.15.3. **გზავნილის** განხორციელება შესაძლებელია **ბანკის** სერვისცენტრის, SMS-ბანკის, ინტერნეტ-ბანკის, მობილ-ბანკის, **ბანკის** თვითმომსახურების ტერმინალის ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით;
- 3.15.4. **გზავნილის** მიღება შესაძლებელია **ბანკის** სერვისცენტრიდან, **ბანკის** სატელეფონო ცენტრის, ბანკომატის და თვითმომსახურების ტერმინალის მეშვეობით. სატელეფონო ცენტრის, ბანკომატის და თვითმომსახურების ტერმინალის მეშვეობით **თანხის** მიღებისას აუცილებელია **გზავნილის** მიმღები ფლობდეს ბარათს. ბანკომატით **გზავნილის** მიღებისას, **გზავნილის** მიღება შესაძლებელია ბარათის გარეშე, თუ **გზავნილი** განხორციელებულია სერვისით „ელვა **გზავნილის** განაღდება უბარათოდ“;
- 3.15.5. სერვისი „ელვა **გზავნილის** განაღდება უბარათოდ“ გულისხმობს მიმღების მიერ **გზავნილის** ბანკომატით **ბარათის** გარეშე მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული სერვისის არჩევისთვის აუცილებელია **გზავნილი** აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
- 3.15.5.1. **გზავნილი** უნდა განხორციელდეს ლარში;
- 3.15.5.2. **გზავნილის თანხა** უნდა იყოს 10-ის ჯერადი და არ უნდა აღემატებოდეს 1,500 ლარს.
- 3.15.6. სერვისით „ელვა **გზავნილის** განაღდება უბარათოდ“ სარგებლობისას **გზავნილის** გასანაღდებად საჭირო **გზავნილის** საკონტროლო ნომერი გამგზავნს მიეწოდება მობილური ტელეფონის ნომერზე;
- 3.15.7. **ბანკის** სერვისცენტრიდან და თვითმომსახურების ტერმინალის მეშვეობით **გზავნილის** განხორციელებისას თუ **გზავნილი** აკმაყოფილებს სერვისის „ელვა **გზავნილის** განაღდება უბარათოდ“ პირობებს, **გზავნილის** განხორციელება ხდება აღნიშნული სერვისით;
- 3.15.8. SMS-ბანკით, მობილ-ბანკით და ინტერნეტ-ბანკით – **გზავნილის** გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ სერვისით „ელვა **გზავნილის** განაღდება უბარათოდ“;
- 3.15.9. **გამგზავნი** უფლებამოსილია გააუქმოს **გზავნილი**, რაც გულისხმობს თანხის განაღდებას/უკან დაბრუნებას გამგზავნის მიერ;
- 3.15.9.1. **გამგზავნი** უფლებამოსილია შეცვალოს **გზავნილი**, რომელიც გულისხმობს **გზავნილის** ნებისმიერი პარამეტრის ცვლილებას;
- 3.15.9.2. **გზავნილის** გაუქმება და შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ მომხდარა **გზავნილის** განაღდება/მიღება მიმღების მიერ;
- 3.15.9.3. **გზავნილის** გაუქმების დროს გამგზავნს არ უბრუნდება **გზავნილის საკომისიო**, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც **გზავნილის** გაუქმება მოხდა „ელვას“ რომელიმე **ოპერატორის** ან სისტემის შეცდომის გამო;

- 3.15.9.4. **გზავნილში** მიმღების სახელის და/ან გვარის შეცვლა ხორციელდება უშუალოდ განხორციელებულ **გზავნილში** მონაცემების დაკორექტირებით და ამ შემთხვევაში გამგზავნისგან დამატებითი **საკომისიო** არ მოითხოვება;
- 3.15.9.5. **გზავნილის განაცხადში გზავნილის** თანხის და სხვა ნებისმიერი პარამეტრის შეცვლისას ხდება **გზავნილის** ანულირება და ახალი **გზავნილის** განხორციელება, რის დროსაც გამგზავნს ძველი **გზავნილის საკომისიო** არ უბრუნდება, ხოლო ახალი **გზავნილის** განხორციელება მოხდება სტანდარტული ტარიფებით.
- 3.15.10. **გზავნილის** განხორციელების ლიმიტები და ტარიფები, **გზავნილის** განხორციელების ვალუტა **გზავნილის** შესრულების დრო განისაზღვრება **ბანკის** მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ და **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს აღნიშნულ მონაცემებს **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge;
- 3.15.11. ზოგადი დებულებები
- 3.15.11.1. ამ **პირობების** სხვა მუხლების დებულებები შეეხება **3.15. პუნქტის** პირობებს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად ამგვარი მუხლები გულისხმობს **მე-4 მუხლს** (**კლიენტის** განცხადებები), **მე-6 მუხლს** (გადასახადები), **მე-7 მუხლს** (ძალაში შესვლის თარიღი და ვადა), **მე-8 მუხლს** (მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა), **მე-9 მუხლს** (ინფორმაციის გამოყენება და გაცვლა/კონფიდენციალურობა) და **მე-10 მუხლს** (ზოგადი დებულებები).

4. კლიენტის განცხადებები

- 4.1. **კლიენტი** აღნიშნული **ხელშეკრულების** დადებით აცხადებს თანხმობას, რომ:
- 4.1.1. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს და შეასრულოს **ხელშეკრულებით** ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებებით და **განაცხადებით** გათვალისწინებული ვალდებულებები.
- 4.1.2. **ბანკის** მიერ **მომსახურების** გაწევისას, **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** წარდგენილი/გადაცემული **ინფორმაცია/მონაცემები** ზუსტი, უტყუარი და სრულია. აგრეთვე, **კლიენტის** მიერ მოპოვებულია **ინფორმაციის/მონაცემების** გადაცემისათვის აუცილებელი ყველა სახის ნებართვა/თანხმობა (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში)
- 4.1.3. აქ გათვალისწინებული **ოპერაციის** შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებების პირობები ან **კლიენტის** სხვა ვალდებულებები (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც **კლიენტი** პასუხისმგებელია. **ხელშეკრულების** პირობებით განსაზღვრული **ოპერაციის** შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც **კლიენტი** წარმოადგენს;
- 4.1.4. **კლიენტი** არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომლის შედეგადაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობას ან საქმიანობაზე;
- 4.1.5. **კლიენტი** არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არც ერთი იურისდიქციის კანონმდებლობით (რაც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობას და იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **კლიენტი**) გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებას, იარაღით ვაჭრობას, ტერორიზმს ან სხვა სახის უკანონო საქმიანობას).
- 4.2. აღნიშნული განცხადებები არ არის დამოკიდებული არანაირ ინფორმაციაზე, რომლის შესახებაც **კლიენტს** აქვს ფაქტობრივი ან სხვაგვარი ცოდნა და ამგვარი არ შეზღუდავს არანაირ საჩივარს გარანტიებთან მიმართებაში ან არ შეზღუდავს ამ **პირობებით** გათვალისწინებული თანხების ანაზღაურებას;
- 4.3. აღნიშნული განცხადებები ძალაშია **ხელშეკრულების** მთელი ვადის განმავლობაში;
- 4.4. **კლიენტი** ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის მფლობელებს**) **ხელშეკრულების** მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს აქ მოყვანილი გარანტიების დარღვევას;
- 4.5. **ხელშეკრულების** ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ბანკს ისეთი გარემოებების შესახებ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს **ხელშეკრულებაში** მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.
- 4.6. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (არ იზღუდება **ბანკის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **ბანკს** აღნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას;
- 4.7. **ბანკის** მიერ საკუთარი უფლებების განხორციელების გადავადება (რაც მოიცავს გარანტიების დარღვევის ან შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ უფლებებსაც) არ ნიშნავს იმას, რომ **ბანკი** უარს ამბობს თავის უფლებებზე; აგრეთვე ნებისმიერი უფლების ნაწილობრივ ან სრულად გამოყენებლობა არ ნიშნავს მომავალში ამ უფლების სრულად გამოყენების შეზღუდვას.

5. ზარალის ანაზღაურება და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

- 5.1. იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი** მოქმედებს **კლიენტის** დავალებით, **მომსახურების** გაწევისას, **კლიენტი** აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აღნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, **კლიენტის** ან მესამე მხარის მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დამატებითი ბარათის მფლობელებს**) წამოყენებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, რომლის შედეგადაც **ბანკს** მიადგა ზიანი ან ზარალი. ასევე **კლიენტი** აღნაზღაურებს და დაიცავს **ბანკს** ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **მომსახურების** გამოყენების შედეგად (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციურ საბანკო მომსახურებას**), ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიქმნა ამგვარი **მომსახურების** (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციურ საბანკო მომსახურებას**) მეშვეობით განხორციელებული **ოპერაციის** შედეგად; **კლიენტი** აღიარებს, რომ აღნიშნული **ოპერაციები** განხორციელდება **ბანკის** მიერ მიღებული **დავალებების** და ავტორიზაციის შესაბამისად ამ **პირობების** მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. **კლიენტი** აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და **კლიენტისთვის** მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება აღნიშნული საბანკო **მომსახურების** ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება;

- 5.2. **კლიენტი** აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც **წვდომის კოდ(ებ)ის** გამოყენებით განხორციელდა. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამოირჩევა აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ;
- 5.3. **ხელშეკრულების** დებულებების მიუხედავად, **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი **კლიენტის** წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა წინამდებარე **პირობებთან** დაკავშირებით. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, **ბანკი** გამოირჩევა ნებისმიერ პასუხისმგებლობას ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია **ხელშეკრულებაში** განსაზღვრულ **მომსახურებებთან**;
- 5.4. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება **ბანკის** აღმსრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია **ბანკის** ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან **ხელშეკრულების** პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ **პირობების** დარღვევას);
- 5.5. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მომსახურების** შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ **მხარეები** ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ **ხელშეკრულებიდან** წარმოშობილ ვალდებულებებს.

6. გადასახადები

- 6.1. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განცხადის შეტანაზე ამ **პირობების** შესაბამისად. **კლიენტი** აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), ზეგარა, საბაჟო გადასახადს, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას **ანგარიშ(ებ)ის** მართვასთან ან **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა **მომსახურებასთან** მიმართებაში (ერთად შემდგომში - **საგადასახადო ვალდებულება**); ამასთან, **ბანკი** თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია **კლიენტისგან** მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, **ბანკი** ან/და **ჯგუფის ნებისმიერი კომპანია** ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოჭრას **კლიენტის** ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკი კლიენტს** გაუზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ კანონის შესაბამისად **ბანკს** ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა **კლიენტის** საგადასახადო ვალდებულების გამო, **კლიენტი** დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს **ბანკს** ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ **შემთხვევის** გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია **ბანკის** რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით;
- 6.2. **ბანკი** ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნებთან. საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად **კლიენტმა** უნდა დააკმაყოფილოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის **კლიენტი** ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

7. ძალაში შესვლის თარიღი და ვადა

- 7.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი დადების/ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
- 7.2. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:
- 7.2.1. **ბანკის** მიერ ნებისმიერ დროს, **კლიენტისათვის** 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;
- 7.2.2. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 7.3. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **ხელშეკრულება** არ შეწყდება მანამ, სანამ **კლიენტი** არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად **ოპერაციებსაც** (მოიცავს **მუდმივ საგადასახადო დავალებას**, განმეორებად **ოპერაციებს** და განგრძობად ავტორიზაციას, რომელიც **კლიენტმა** გასცა საქონლის ან მომსახურების მომწოდებელზე და რაც გულისხმობს მისი **ანგარიშიდან** თანხის რეგულარულად ჩამოჭრას), რომლებიც დაკავშირებულია **კლიენტის ანგარიშ(ებ)თან**.
- 7.4. 10.6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში **კლიენტი** უფლებამოსილია შეწყვიტოს **ხელშეკრულება** დაუყოვნებლივ, ხოლო **კლიენტის** მიერ ცვლილებაზე/დამატებაზე დაუთანხმებლობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს **ხელშეკრულება** ასეთი ცვლილების/დამატების ამოქმედების თარიღის შემდეგ ნებისმიერ დროს.
- 7.5. **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.
- 7.6. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ რომელიმე **საბანკო პროდუქტით** მომსახურება, მაშინ აღნიშნულის
- 7.7. თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას ან გამოცხადდება გაკოტრებულად, **ბანკი** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის უნარს განუცხადებს **კლიენტს** მომსახურების გაწყვეტა და გააუქმებს **ხელშეკრულებას, ბარათ(ებ)ს**, დახურავს **კლიენტის ანგარიშ(ებ)ს**, გააუქმებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ **მომსახურებას** (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციურ საბანკო მომსახურებას**) და მოითხოვს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას;
- 7.8. თუ რომელიმე **მხარე** გადაწყვეტს **ხელშეკრულების** შეწყვეტას, მაშინ:
- 7.8.1. ყველა **ბარათი**, რომელიც **ბანკმა** გასცა **კლიენტზე** ან **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე**, უნდა დაუბრუნდეს **ბანკს** (**ბარათი** გადაიჭრება ხელმოწერისა და მაგნიტური ზოლის გასწვრივ);
- 7.8.2. ყველა **წვდომის კოდი** გაუქმდება;
- 7.8.3. **კლიენტმა ბანკს** უნდა გადაუხადოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი **თანხა** (რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს გადასახადებს, საკომისიოს, **ოვერდრაფტებს/არაავტორიზებულ ოვერდრაფტებს, ანგარიშზე** დარიცხულ თანხებს).

8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

- 8.1. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 8.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობება ან შეეხება **ხელშეკრულებას** ან **ხელშეკრულების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე;
- 8.3. თუ **მხარეები** 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმებას ვერ მიაღწევენ მოლაპარაკების გზით, ისინი უპირობოდ თანხმა არიან, შეიტანონ საჩივარი შესაბამისი იურისდიქციის მქონე საქართველოს სასამართლოში;
- 8.4. ზემოაღნიშნული მუხლი არ ნიშნავს **ბანკის** უფლების შეზღუდვას დაიწყოს სასამართლო პროცესი **კლიენტის** წინააღმდეგ (ა) შესაბამისი იურისდიქციის მქონე სხვა სასამართლოში ან (ბ) შესაბამისი იურისდიქციის მქონე ერთზე მეტ სასამართლოში.

9. ინფორმაციის გამოყენება და გაცვლა/კონფიდენციალურობა

- 9.1. **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია (მომავალში **ინფორმაცია**) შეიძლება, შენახულ იქნას **ბანკის** ან **ჯგუფის კომპანიების** მონაცემთა ბაზაში და გამოყენებულ იქნას **ბანკის** ან **ჯგუფის ნებისმიერი კომპანიის** მიერ **მე-9 მუხლში** მოყვანილი მიზნებისთვის. **ინფორმაციაში** იგულისხმება ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მოხვდეს და/ან ინახებოდეს **ბანკში** ან **ჯგუფის ნებისმიერ კომპანიაში კლიენტისთვის** შესაბამისი მომსახურების გაწევის შედეგად და რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს ან შეეხებოდეს:
 - 9.1.1. საჯარო განაცხადის ფორმებს ან **ბანკსა** და **ჯგუფის კომპანიებთან** სხვა სახის გარიგებებს;
 - 9.1.2. მესამე **მხარეებს**, როგორებიც არიან: საკრედიტო სააგენტოები, **9.9. პუნქტში** მოცემული განმარტების შესაბამისად, და **კლიენტთან** დაკავშირებული მხარეები;
 - 9.1.3. **კლიენტისთვის ბანკის** ან **ჯგუფის კომპანიების** მიერ მიწოდებულ პროდუქტებსა და **მომსახურებას**;
 - 9.1.4. **კლიენტის** მიერ განხორციელებული **ოპერაციების** შესახებ დოკუმენტაციას, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს: მომწოდებლის სახელს და იმ საქონელსა და მომსახურებას, რომლისთვისაც **კლიენტი** იხდის საკუთარი **ანგარიშიდან ბარათის** ან სხვა უნაღდო ანგარიშსწორების მეთოდების გამოყენებით.
- 9.2. **ბანკი** უზრუნველყოფს, რომ განვითარდეს ურთიერთობა **ბანკსა** და **კლიენტს** შორის, რაც ურთიერთობების გაანალიზების შედეგად საბოლოოდ შეიძლება ემსახუროდეს შემდეგ მიზნებს:
 - 9.2.1. **კლიენტის განაცხადების** განხილვის საფუძველზე **ბანკის** დახმარებას **კლიენტის** საკრედიტო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად;
 - 9.2.2. მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი მომსახურების გაწევას;
 - 9.2.3. **კლიენტსა** და **ჯგუფის კომპანიებს** შორის ურთიერთობების დარეგულირებას მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი პირობების შესაბამისად;
 - 9.2.4. ფინანსური რისკების შეფასებას, ფულის გათვრების წინააღმდეგ კონტროლის განხორციელებასა, მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას, თაღლითობის თავიდან აცილებას;
 - 9.2.5. **კლიენტისთვის** დახმარების გაწევას **კლიენტის** ან მისი ოჯახის წევრების ავტომანქანის, უძრავი ქონების, კრედიტისა და სიცოცხლის დასაზღვევად, ასევე, დაზღვევის სხვა წინადადებების შეთავაზებასა და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის საქმეში;
 - 9.2.6. **ბანკისა** და **ჯგუფის კომპანიებისთვის** დახმარების გაწევას იმ პროდუქტებისა და **მომსახურების** იდენტიფიცირებაში, რომლებიც შეიძლება საინტერესო ან გამოსადეგი იყოს **კლიენტისთვის** (იმ შემთხვევის გარდა, თუ **კლიენტმა ბანკს** სთხოვა, რომ აღნიშნული არ გააკეთოს);
 - 9.2.7. **ბანკისა** და **ჯგუფის კომპანიებისთვის** დახმარების გაწევას **ბანკისა** და **ჯგუფის კომპანიების** საქმიანობის განვითარებაში, რაც მოიცავს ახალი პროდუქტებისა და **მომსახურების** შემუშავებას.
- 9.3. ზემოთ მოყვანილი მუხლის **9.2. პუნქტში** განსაზღვრული საოპერაციო მიზნებისთვის **ბანკმა** შეიძლება დააკავშიროს მის ხელთ არსებული ინფორმაცია **კლიენტის ანგარიშ(ებ)ის** და **კლიენტის** მიერ გამოყენებული მომსახურების შესახებ სხვა **მხარეების** შესახებ ინფორმაციასთან, რომელთანაც **კლიენტს** ფინანსური კავშირი ან მსგავსი ურთიერთობა აქვს (კერძოდ, **დამატებითი ბარათის მფლობელები**). **ბანკი** არ გამოიყენებს აღნიშნულ კავშირებს მარკეტინგული მიზნებისთვის **კლიენტის** თანხმობის გარეშე;
- 9.4. **ბანკის** საქმიანობისა და **კლიენტთან** ურთიერთობის განვითარებასთან ერთად წესები, რომლითაც **ბანკი** განიხილავს, ინახავს და იყენებს აღნიშნულ **ინფორმაციას** შეიძლება შეიცვალოს. უმეტეს შემთხვევებში აღნიშნული ცვლილებები შეიძლება გამოწვეულ იქნას ტექნოლოგიების განვითარებით და **ბანკს** მიაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებები შეესაბამება **კლიენტის** მოლოდინს. თუ **ბანკს** მიაჩნია, რომ ამგვარი ცვლილებები **კლიენტისთვის** აშკარად არ არის გასაგები, **ბანკი კლიენტს** გაუზიარებს შეტყობინებას ამგვარი ცვლილებების შესახებ.
- 9.5. როდესაც **კლიენტი** შეავსებს **განაცხადს მომსახურების** შესახებ ან/და შესაბამის **განაცხადებს** (ან სხვა დოკუმენტებს), **კლიენტი** თანხმდა, რომ თუ იგი **ანგარიშის** შენარჩუნების გზით ან **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ცვლილების შეტყობინების გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში გააგრძელებს **მომსახურების** ან პროდუქტის გამოყენებას, ჩაითვლება, რომ **კლიენტი** თანახმაა ამგვარ ცვლილებაზე (თუ **კლიენტი ბანკს** წერილობით არ შეატყობინებს იმის შესახებ, რომ **კლიენტს** არ სურს, რომ **ბანკმა** გამოიყენოს **ინფორმაცია** ცვლილების შედეგად მიღებული მეთოდით);
- 9.6. **ბანკი კლიენტის** შესახებ **ინფორმაციას** გაუმხელს მხოლოდ **ჯგუფის კომპანიებს**, ქვემოთ მოცემული შემთხვევების გარდა:
 - 9.6.1. ზემოთ მოყვანილი მუხლის **9.2. პუნქტში** მოცემული საოპერაციო მიზნებისთვის;
 - 9.6.2. როდესაც **ბანკს** აქვს **კლიენტის** თანხმობა;
 - 9.6.3. როდესაც **ბანკს** კანონის შესაბამისად უფლება აქვს ან მოეთხოვება **ინფორმაციის** გამჟღავნება;
 - 9.6.4. **ინფორმაციას** გაუმხელს ნებისმიერ პირს, რომელიც მომსახურებას უწევს **ბანკს** და თანხმაა **კლიენტის ინფორმაცია** კონფიდენციალურად დაიცვას;
 - 9.6.5. **ინფორმაციას** გაუმხელს ნებისმიერ პირს, კრედიტორების ჩათვლით, რომელიც მომსახურებას უწევს **კლიენტს ხელშეკრულების** შესაბამისად;
 - 9.6.6. **ინფორმაცია**, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო ან სხვა წყაროებიდან, მესამე მხარეების ჩათვლით;
 - 9.6.7. **ინფორმაციას** გაუმხელს **საკრედიტო სააგენტოებს**, როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული.
 - 9.6.8. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი, წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე, **ინფორმაცია** მიაწოდოს;
 - 9.6.8.1. **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული სხვა ხელშეკრულების და შესაბამისი უზრუნველყოფის ხელშეკრულების/გარიგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარეებს.

- 9.6.8.2 მესამე პირებს: ა) **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **ბანკის** უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და **კლიენტის** მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით; ბ) რომლებიც დაინტერესებულნი არიან **ხელშეკრულებიდან** ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე **ბანკის** მოთხოვნების შექმნით/სინდიცირებით ან/და **კლიენტის** ვალდებულებების გადაკისრებით.
- 9.7. **კლიენტის** მიერ გარკვეული **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მომსახურების** მისაღებად შესაძლებელია საჭირო გახდეს **ინფორმაციის** გადაცემა ისეთი პირისთვის, რომელიც მომსახურებას უწევს სს „საქართველოს ბანკს“ ან/და **ჯგუფის სხვა კომპანიებს**. ასეთ შემთხვევებში **ბანკი** უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი პირი, რომელსაც **ბანკი** გადასცემს **ინფორმაციას კლიენტის** შესახებ, დაიცავს ამგვარი **ინფორმაციის** კონფიდენციალურობას **ბანკის** მსგავსად;
- 9.8. **კლიენტს** უფლება აქვს სამუშაო საათების განმავლობაში დაუკავშირდეს **ბანკს** და შეამოწმოს მისი პირადი მონაცემები **ბანკისათვის** წერილობითი თხოვნის საფუძველზე;
- 9.9. **საკრედიტო სააგენტოები**
- 9.9.1. **ბანკი** ამ მუხლში მოხსენიებულ „**საკრედიტო სააგენტოში**“ გულისხმობს საქციო საზოგადოება „კრედიტ ინფო ჯორჯიას“ (დარეგისტრირებულია თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ 2005 წლის 14 თებერვალს, რეგისტრაციის N 06/5-51), აგრეთვე ნებისმიერი სხვა საკრედიტო სააგენტო, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებდეს ან დაარსდეს საქართველოში ან ნებისმიერი სხვა იურისდიქციის ქვეშ;
- 9.9.2. **ხელშეკრულების** თანხმად, **კლიენტი** უპირობოდ თანახმაა და უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, ერთჯერადად ან მრავალჯერადად მიაწოდოს **საკრედიტო სააგენტოს** ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები) **კლიენტის** შესახებ, **საკრედიტო სააგენტოს** მიერ საკუთარ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისთვის, ასევე იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი უფლებამოსილი იქნება **ბანკის** მიერ მიწოდებული **კლიენტის** მონაცემები გადასცეს მესამე პირებს. აღნიშნული ინფორმაცია სხვა მონაცემებთან ერთად მოიცავს: **კლიენტის** პირადობის დამადასტურებელ ინფორმაციას, ინფორმაციას **კლიენტის** ნებისმიერი დავალიანების მოცულობის შესახებ, დარიცხული პროცენტის მიზნისა და მოცულობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაციას კრედიტ(ებ)ის (ასეთის არსებობის შესახებ) ვადის ამოწურვის შესახებ, გადახდების სიხუსტის შესახებ, არსებული დავალიანებ(ებ)ის შესახებ, ინფორმაციას ნებისმიერი უზრუნველყოფის/გირაოს შესახებ, ან სასამართლო პროცესის შედეგისა და განხორციელების შესახებ, იმ პირების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებში მოცემულ ინფორმაციას, რომლებთანაც **კლიენტს** აქვს ფინანსური კავშირები (კერძოდ, **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი**);
- 9.9.3. **საკრედიტო სააგენტოები** დააკავშირებენ **კლიენტის** შესახებ ფინანსურ მონაცემებს იმ პირების შესახებ ინფორმაციასთან, რომელთაც **კლიენტთან** ფინანსური კავშირი აქვთ (კერძოდ, **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი**). **კლიენტი** აცნობიერებს და უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერ **მხარესთან** ერთად, რომელთანაც მას ფინანსური კავშირი აქვს (კერძოდ, **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი**), და ამ **მხარეების** მიერ ერთმანეთის შესახებ მითითებული ინფორმაცია გათვალისწინებული იქნება ნებისმიერი მხარის მიერ შევსებულ ნებისმიერი სახის განაცხადში;
- 9.9.4. **ბანკი** უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, **კლიენტისათვის** (უშუალოდ ან მესამე პირებთან ერთად) **მომსახურების** ერთჯერადად ან მრავალჯერადად გაწევის (ასევე, აღნიშნული **მომსახურების** ფარგლებში კანონმდებლობის შესაბამისად მასზე დაკისრებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების) და აღნიშნული **მომსახურების** ფარგლებში, **კლიენტის** მიერ ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ერთჯერადად და მრავალჯერადად უზრუნველყოფის (მათ შორის, შესაბამისი ინფორმაციის ერთჯერადად ან მრავალჯერადად მიღების) მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, გამოიყენოს **საკრედიტო სააგენტოს** ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულების მონაცემთა ბაზა (მათ შორის, ელექტრონული ბაზა). კერძოდ, ერთჯერადად ან მრავალჯერადად მიიღოს და გამოიყენოს **ბანკისათვის** აუცილებელი, **კლიენტს** შესახებ დაცული ინფორმაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემები).
- 9.9.5. თუ **კლიენტი** აიღებს კრედიტს და დროულად ან მთლიანად არ დააბრუნებს მას, **ბანკი** შეაუკებინებს **საკრედიტო სააგენტოს**, რომელიც აღრიცხავს **კლიენტის** არსებულ დავალიანებას, იმ ფაქტს, რომ **კლიენტმა** დროულად ან მთლიანად არ გადაიხადა კრედიტის თანხა ან ნებისმიერი სხვა სახის შესაბამის ინფორმაციას;
- 9.9.6. **კლიენტს** უფლება აქვს იხილოს მის შესახებ **საკრედიტო სააგენტოში** არსებული პირადი ინფორმაცია.
- 9.10. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებები
- 9.10.1. **კლიენტი** აღიარებს, რომ **ბანკის**, ისევე როგორც **ჯგუფის კომპანიების** საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონებით ფულის გათეთრების და მსგავსი დანაშაულის აღკვეთის შესახებ. აქედან გამომდინარე, **ბანკი** და **ჯგუფის კომპანიები** კანონის შესაბამისად ვალდებული არიან მოახდინონ **კლიენტის** პიროვნების და მისი შემოსავლის წყაროს ინდენტიფიცირება, სანამ **კლიენტის** მიერ **ბანკში** გახსნილი **ანგარიში** მოქმედი გახდება. თუ **კლიენტი** არ გასცემს პასუხს განაცხადში მოცემულ ყველა კითხვას ან არ მიაწვდის **ბანკს** ყველა სახის მოთხოვნილ ინფორმაციას, **ბანკმა** შესაძლოა ვერ მიიღოს **კლიენტის განაცხადი**;
- 9.10.2. **ხელშეკრულების** თანხმად **კლიენტი** უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკმა** მიაწოდოს ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ (განსაკუთრებით, თანხების საერთაშორისო გადარიცხვების შესახებ, **კლიენტის ანგარიშიდან** გადარიცხული თანხების მიმღების ან **კლიენტის ანგარიშზე** ჩარიცხული თანხების შესახებ) შესაბამისი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სამსახურებს (საქართველოში და საზღვარგარეთ) **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე. ამგვარი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს იმ პირების სახელებს და პირადობის დამადასტურებელ მონაცემებს, რომლებთანაც **კლიენტს** ფინანსური კავშირი აქვს (კერძოდ, **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი**);
- 9.10.3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებების შედეგად, შესაძლებელია დაგვიანდეს **კლიენტის დავალებების** განხორციელება ან თანხების მიღება, მაგრამ თუ შესაძლებელი იქნება, **ბანკი კლიენტს** განუმარტავს დაგვიანების გამოწვევ მიზეზებს;
- 9.10.4. ინფორმაციის გადაცემა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი სამსახურებისთვის არ განიხილება კონფიდენციალურობის დარღვევად აქ მოყვანილი დებულებების შესაბამისად; არც **ბანკი** და არც **ჯგუფის კომპანიები** არ იქნებიან ვალდებული **კლიენტის** არანაირ პირდაპირ ან შედეგობრივ ზარალზე (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს მიუღებელ მოგებას), რომელიც გამოწვეულია ამგვარი კანონმდებლობის დაცვით.
- 9.11. **ბანკი** უფლებამოსილია სხვა კლიენტებისათვის საბანკო მომსახურების ერთჯერადად ან მრავალჯერადად გაწევის ან სხვა კლიენტების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ერთჯერადად და მრავალჯერადად უზრუნველყოფის (მათ შორის, მონიტორინგის) მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, ერთჯერადად ან მრავალჯერადად მიმართოს **კლიენტს** და შესაბამისად მიაწოდოს ან მიიღოს მისი მომსახურებით დაინტერესებული სხვა პირის/კლიენტის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემები).
- 9.12. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** წინასწარი თანხმობის გარეშე **პირობების 4.1.2** პუნქტის და **ხელშეკრულების** საფუძველზე **კლიენტისაგან** მოპოვებული (მათ შორის **განაცხად(ებ)ში** დაფიქსირებული) ინფორმაციის სისწორე გადაამოწმოს ნებისმიერ მესამე პირთან.

10. **ზოგადი დებულებები**

- 10.1. **ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები/უფლებებზე უარის თქმა.** ხელშეკრულება და მასში ნახსენები დოკუმენტები შეადგენენ მხარეების ერთიან ვალდებულებებს ხელშეკრულებაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით და ამით გაუქმდება ყველა მანამდე მიღწეული შეთანხმება აქ აღწერილ ოპერაციებსა და პროდუქტებთან/მომსახურებასთან მიმართებაში. თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული, რომელიმე მხარისათვის მინიჭებული უფლებების გამოყენების გადავადება არ ნიშნავს აღნიშნული მხარის მიერ ამ უფლებაზე ან მის სხვა ნებისმიერ უფლებაზე უარის თქმას. ამგვარი უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენება არ ზღუდავს ამგვარი უფლების დამატებით ან მომავალში გამოყენებას. რომელიმე ამგვარ უფლებაზე უარის თქმა არ გულისხმობს სხვა უფლებებზე უარის თქმას;
- 10.2. **უფლებების კუმულატიურობა.** ხელშეკრულებით ან სხვა მსგავსი დოკუმენტებით გათვალისწინებული უფლებები კუმულატიურია და არ გამოიცხადება კანონმდებლობით ან სხვაგვარი შეთანხმებით გათვალისწინებულ უფლებებს;
- 10.3. **მემკვიდრეობა და უფლებამონაცვლები.** ხელშეკრულება სავალდებულო იქნება და შესაბამისი იურიდიული ძალა ექნება მხარეების შესაბამისი მემკვიდრეების და უფლებამონაცვლებების სასარგებლოდ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კლიენტი არ ნიშნავს უფლებამონაცვლეს ან სხვაგვარად არ გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს და ვალდებულებებს **ბანკისთვის** (ან/და **ჯგუფის კომპანიებისთვის** ან ნებისმიერი სხვა მხარისთვის, რომელთანაც კლიენტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ამ პირობების შესაბამისად) წინასწარი შეტყობინების გაგზავნით;
- 10.4. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით (ან/და **ბანკისათვის** მისაღები სხვა ფორმით) თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, შეცვალოს ხელშეკრულების პირობები (მათ შორის, ნებისმიერი **საბანკო პროდუქტის** პირობები, **საკომისიოს** მოცულობა და სხვ.). ამგვარი ცვლილება სავალდებულოა **კლიენტისთვის** მისი გამოქვეყნების დღის მომდევნო **საბანკო დღიდან**, თუ **ბანკის** მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამასთან, აღნიშნული ცვლილებები შესაძლებელია შეეხოთ, როგორც **პირთა** გარკვეულ ჯგუფს, ისე კონკრეტულ **პირს**. (გარდა **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge განთავსებული ტარიფებისა, რომლის ცვლილება ხორციელდება ავტომატურად, ამავე ვებ გვერდზე განთავსებით, **კლიენტისათვის** დამატებითი შეტყობინების გარეშე).
- 10.5. თუ **ხელშეკრულების** ცვლილება/დამატება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ, ან/და არ აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას, ან/და ცვლილება/დამატება ეხება ახალ საგადახდო მომსახურებას, რომელიც არ აწვდის ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებას, **ბანკი** არ არის ვალდებული შეტყობინოს **კლიენტს** ასეთი ცვლილების/დამატების შესახებ.
- 10.6. იმ შემთხვევაში თუ **კანონმდებლობით** გათვალისწინებული ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე გათვალისწინებულია წინასწარი შეტყობინების ვადა, ნებისმიერი ასეთი ცვლილება/დამატება ჩაითვლება **კლიენტთან** შეთანხმებულად, თუ **კლიენტი** ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე არ შეატყობინებს **ბანკს** რომ არ ეთანხმება ცვლილებას/დამატებას.
- 10.7. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და დამატება წარმოადგენს **ხელშეკრულების დანართს** და მის განუყოფელ ნაწილს.
- 10.8. **შეუსაბამობა.** თუ **ხელშეკრულების** რომელიმე დებულება ნებისმიერი მიზეზის გამო გაუქმდება, ეს გავლენას არ მოახდენს **ხელშეკრულების** დანართზე დებულებებზე. ამგვარ შემთხვევაში **ხელშეკრულების მხარეები** დაუყოვნებლივ შეცვლიან გაუქმებულ დებულებას იურიდიულად ნამდვილი დებულებით, რომლის შინაარსიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნება გაუქმებულ დებულებასთან;
- 10.9. **დანართები.** ხელშეკრულების ყველა დანართი **ხელშეკრულების** განუყოფელი ნაწილია;
- 10.10. **შეტყობინებები.** თუ **ხელშეკრულებაში** სხვაგვარად არ არის მითითებული (რომელიმე მომსახურებასთან მიმართებაში) **ბანკი** ყველა შეტყობინებას და **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული სხვა სახის ინფორმაციას გაუგზავნის/მიაწვდის **კლიენტს** ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით, მათ შორის ინფორმაციის/შეტყობინების **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge ან/და **ბანკის** სერვის-ცენტრებში განთავსების გზით ან/და კურიერის, ან რეგისტრირებული ფოსტის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე **დისტანციური საბანკო მომსახურების** საშუალებებით **კლიენტის** მიერ **განაცხადში** მითითებულ მისამართზე ინფორმაციის/შეტყობინების გაგზავნით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა კომუნიკაციის წესით;
- 10.11. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე. თუ **კლიენტმა** არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან **მხარეებს** ან ერთ-ერთ მხარეს სურს, მაშინ **ხელშეკრულება** შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე **მხარეთათვის** მისაღებ სხვა ენაზეც. **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე **კლიენტსა** და **ბანკს** შორის ურთიერთობაზე ან/და **ხელშეკრულების**, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.
- 10.9. **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე შესასრულებელი ნებისმიერი ვალდებულების (მათ შორის **კლიენტის** მიერ უშუალოდ **ბანკთან** ურთიერთობაში წარმოშობილი თუ **ბანკის** მიერ **მესამე პირისგან** შეძენილი მოთხოვნის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების) სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **ბანკის** უფლებებისა და მოთხოვნების რეალიზების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტის** შემდგომი/დამატებითი თანხმობის ან/და აქცეპტის ან/და ინფორმირების გარეშე:
- 10.9.1. არ შესრულოს **კლიენტის** წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულება, მათ შორის არ გადაუხადოს **კლიენტს** მისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხა, რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** შესასრულებელი ვალდებულების, მათ შორის გადასახდელი თანხის, ანგარიშში. **ბანკი** უფლებამოსილია ვალდებულებათა გაქვითვა განახორციელოს იმ შემთხვევაშიც თუ ერთ-ერთი მოთხოვნის (შესაბამისად **ბანკის** ან **კლიენტის** მოთხოვნის) შესრულების ვადა არ იქნება დამდგარი გაქვითვის განხორციელების მომენტისათვის; ან/და
- 10.9.2. **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწროს ყველა გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწროს **ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად; ან/და
- 10.9.3. შესაბამისი გადასახდელის ოდენობით **კლიენტის** ნებისმიერი სახის **ანგარიშზე** არაუმეტეს ერთი წლის ვადით უაქცეპტოდ, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად დაუშვას **ოვერდრაფტი** ან/და გაზარდოს არსებული **ოვერდრაფტის** მოცულობა და შესაბამისი თანხები მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად. აღნიშნული მიზნით, **კლიენტი** ცალსახად და უპირობოდ ადასტურებს, რომ:
- 10.9.3.1. თუკი ამ დროისათვის **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** უკვე დაშვებულია **ოვერდრაფტი**:
(ა) ასეთ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია ერთპიროვნულად (**კლიენტის** შემდგომი თანხმობის გარეშე) გაზარდოს **ოვერდრაფტის** მოცულობა შესაბამისი გადასახდელის ოდენობით;

- (ბ) გაზრდილი **ოვერდრაფტის** ფარგლებში ათვისებულ თანხებზე გავრცელდება შესაბამისი **ოვერდრაფტის** ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;
- (გ) **კლიენტის ანგარიშზე** თანხ(ებ)ის ჩარიცხვის შემთხვევაში დაშვებული **ოვერდრაფტის** მოცულობა ავტომატურად შემცირდება **ოვერდრაფტის** ხელშეკრულებით დადგენილ ოდენობამდე.
- 10.9.3.2. თუკი ამ დროისათვის **კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე** არ არის დაშვებული **ოვერდრაფტი**:
- (ა) ასეთ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი **მხარეთა** შორის გაფორმდეს **ოვერდრაფტის** ხელშეკრულება ან/და სხვა რაიმე დოკუმენტი და **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის ანგარიშზე ოვერდრაფტი** დაუშვას ერთპიროვნულად;
- (ბ) **ოვერდრაფტი** დაიშვება შესაბამისი გადასახდელის ოდენობით;
- (გ) **ოვერდრაფტის** ფარგლებში ათვისებულ და შესაბამისი გადასახდელის დასაფარად გადახდილ თანხას დაერიცხება **საპროცენტო სარგებელი ბანკში** დადგენილი მაქსიმალური ოდენობით;
- (დ) **ოვერდრაფტი** დაიშვება 3 (სამი) თვის ვადით და ათვისებული **ოვერდრაფტის** თანხების დაფარვის ვადის გადაცილების შემთხვევაში, გადაუხდელ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5%-ის (ნული მთელი ხუთი მეათედელ პროცენტის) ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე;
- (ე) **ოვერდრაფტზე** გავრცელდება **პირობებით** გათვალისწინებული სხვა დებულებები.
- 10.12. **ბანკის** საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, ვებ გვერდის მისამართი: nbg.ge.
- 10.13. **ბანკის** საზედამხედველო ორგანო არ არის პასუხისმგებელი **ბანკის**, როგორც პროვაიდერის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.
- 10.14. **საგადახდო დავალების** მიღების დროდ ითვლება მომენტი, როდესაც **ბანკი** მიიღებს **საგადახდო დავალებას**, მიუხედავად იმისა, ის ინიცირებულია **კლიენტის** თუ **მიმღების** მიერ.
- 10.15. იმ შემთხვევაში თუ **საგადახდო დავალება** მიღებულია არასაბანკო დღეს, იგი მიღებულად ჩაითვლება მომდევნო **საბანკო დღეს**.
- 10.16. საქართველოს ტერიტორიაზე საგადახდო მომსახურების განხორციელების მაქსიმალური დროა **საგადახდო დავალების** მიღებიდან 2 (ორი) **საბანკო დღე**.
- 10.17. გადარიცხვის ოპერაციის შესახებ **დავალება** (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა **მიმღები** არის სახელმწიფო ხაზინა), მისი სათანადო შესრულებისათვის აუცილებელია მოიცავდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვარის №8/04 გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანებით დადგენილ რეკვიზიტებს და ბანკის ან მიმღების მიერ დამატებით განსაზღვრულ სხვა რეკვიზიტებს, რომელიც შესაძლებელია დამახასიათებელი იყოს საგადახდო დავალების ტიპიდან გამომდინარე.
- 10.18. ელექტრონული საგადახდო **დავალება** აუცილებელია მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ რეკვიზიტებს:
- 10.19. **ანგარიშის** ნომერს საიდანაც უნდა განხორციელდეს საგადახდო **დავალება**;
- 10.20. თანხის ოდენობას და ვალუტას;
- 10.21. **მიმღების ანგარიშის** ნომერს;
- 10.22. **ბანკის** მიერ დამატებით განსაზღვრულ სხვა რეკვიზიტებს, რომელიც შესაძლებელია დამახასიათებელი იყოს საგადახდო **დავალების** ტიპიდან გამომდინარე.
- 10.23. გადახდის ოპერაციის შესრულებისათვის აუცილებელია **კლიენტისა** და **ბანკის** მხრიდან განხორციელდეს საგადახდო **დავალებაზე** ხელმოწერა, გარდა ელექტრონული საგადახდო **დავალებისა**.
- 10.24. **კლიენტს** საშუალება აქვს ვალუტის კურსების შესახებ ინფორმაცია იხილოს **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.bankofgeorgia.ge.
- 10.25. **კლიენტი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** პირობების შესახებ ინფორმაცი, **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, მოიძიოს **ბანკის** ვებ-გვერდის (www.bankofgeorgia.ge) საშუალებით.
- 10.26. **კლიენტი** პასუხისმგებელია მოპარული ან დაკარგული საგადახდო ინსტრუმენტით ან მისი უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენებით გამოწვეული, საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული არაავტორიზებული **ოპერაციის** შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არა უმეტეს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობისა.
- 10.27. **კლიენტი** სრულად აგებს პასუხს არაავტორიზებულ გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეულია მისი დანაშაულებრივი ქმედებით ან/და იმ შემთხვევაში თუ:
- კლიენტი** გამოიყენებს საგადახდო ინსტრუმენტს ამ საგადახდო ინსტრუმენტისათვის დადგენილი პირობების დარღვევის შესაბამისად;
 - არ დაიცავს მისთვის გაცემული საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომებს, არ უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული საშუალებების დაცვა;
 - საგადახდო ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში არ შეატყობინოს ამის თაობაზე **ბანკს** ან **ბანკის** მიერ განსაზღვრულ **პირს**.
- 10.28. **კლიენტი** ვალდებულია არაავტორიზებული ან არასწორად შესრულების **ოპერაციის** შესახებ, ასეთი **ოპერაციის** განხორციელებიდან დაუყოვნებლივ წერილობით მიმართოს **ბანკს**.
- 10.29. **კლიენტი** არ არის პასუხისმგებელი მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული ან უკანონოდ გამოყენებული საგადახდო ინსტრუმენტის, ასევე მის მიერ საგადახდო ინსტრუმენტის უსაფრთხოების ზომების ან პერსონიფიცირებული უსაფრთხოების საშუალებების დაუცველობით გამოწვეული არაავტორიზებული **ოპერაციის** შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის;
- 10.30.
- თუ მან ოპერაცია განხორციელა **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობების შესაბამისად **ბანკის** მიერ შეტყობინების მიღების შემდეგ, თუკი ეს ზიანი გამოწვეული არ არის **კლიენტის** დანაშაულებრივი ან განზრახვი ქმედებით.
 - თუ **ბანკმა** არ უზრუნველყო შეტყობინების მიღება, თუკი ეს ზიანი გამოწვეული არ არის **კლიენტის** დანაშაულებრივი ან განზრახვი ქმედებით.
- 10.31. **ბანკი** პასუხისმგებელია დამდგარ ზიანზე თუ მის მიერ განზრახ ან ბრალეული ქმედებით არ შესრულდება გადახდის ოპერაცია, ან შესრულდება არასწორად ან ვადის დარღვევით.
- 10.32. არაავტორიზებულად ან არასწორად შესრულებული **ოპერაციის** შემთხვევაში **ბანკი კლიენტს** თანხას ჩაურიცხავს პრეტენზიის დადასტურებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 10.33. **მხარეები** სრულად აგებენ პასუხს დამდგარ ზიანზე/ზარალზე იმ შემთხვევაში თუ ასეთი ზიანი/ზარალი გამოწვეულია მათ მიერ, საგადახდო ინსტრუმენტთან დაკავშირებული, კანონმდებლობით დადგენილი წესების განზრახ ან დაუდევრობით დარღვევის შედეგად.
- 10.34. **კლიენტი** იღებს ვალდებულას **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის ცვლილებისას დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინოს **ბანკს** ცვლილების განხორციელების თაობაზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **ბანკი** თავისუფლდება

ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ **განაცხადში** დაფიქსირებული ინფორმაცია არ შეესაბამება **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს და ამის გამო **კლიენტი** ვერ მიიღებს **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მომსახურებას ან დაირღვევა ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ცვლილებების შესახებ შესაბამისი შეტყობინების განხორციელებამდე **ბანკის** კომუნიკაცია მის ხელთ არსებულ ნებისმიერ საკონტაქტო მონაცემზე ჩაითვლება სათანადოდ გაგზავნილად **კლიენტისათვის** და **ბანკი** არ აგებს პასუხს ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესაძლო დარღვევაზე, ან მისგან წარმოშობილ ზიანზე/ზარალზე.

- 10.35. **კლიენტის** მიერ **ბანკში** სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ **განაცხადის** შევსება ავტომატურად არ იწვევს იმ საკონტაქტო არხების ცვლილებას, რომელიც მოცემულია კონკრეტული **საბანკო პროდუქტის/საბანკო მომსახურების** მოთხოვნის **განაცხადში**.
- 10.36. **ბანკი კლიენტის ანგარიშებზე** საგადასახადო ორგანოს მიერ წარდგენილი საინკასო დავალების შესახებ ინფორმაცია, კანონმდებლობის შესაბამისად, მიაწვდის **კლიენტს** სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ **განაცხადში** მოცემულ ერთ-ერთ საკონტაქტო არხზე და აღნიშნული ინფორმაცია **კლიენტისათვის** ჩაბარებულად ჩაითვლება, **ბანკის** მიერ გაგზავნიდან მეორე კალენდარულ დღეს.
- 10.37. **კლიენტის** განაცხადის პირობების ცვლილება ხორციელდება ახალი განაცხადის შევსების გზით. ახალი განაცხადის ძალაში შესვლის მომენტიდან ძალადაკარგულად ითვლება იმავე **საბანკო მომსახურებაზე/პროდუქტზე ბანკში** დადგენილი წესით გაფორმებული **კლიენტის** ადრინდელი განაცხად(ებ)ი.